საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

2 ოქტომბერი **სამშაბათი** 2012 **№233 (13 839)** ფასი 80 თეთრი

# ჟორჟიკაშვილი მეტალურგიდან მიდის



2

# გიორგი ლორია ვარჯიშს ერთ კვირაში დაიწყებს




ეროვნული ბიბლიოთეკა

2




## დღეს ლიგა განახლდება...
# ცენტრალური მატჩის გარეშე

სამშაბათს დაუმარცხებელი ბარსა და ბაიერნი ითამაშებენ 8

# საფრანგეთში ოლიმპიური ჩემპიონი დაიჭირეს

ჩაწყობა ხელბურთშიც მოსულა 15





## ქართული ფეხბურთი

● გადადგომა



# ყორყიკაშვილი მეტალურგიდან მიდის

### შემცვლელის ვინაობა ჯერ უცნობია

რუსთავის "მეტალურგი" ფაქტობრივად მთავარი მწვრთნელის გარეშეა დარჩენილი – **კობა ყორყიკაშვილს** მალე ალბათ ახალ გუნდში მოუწევს მუშაობა.

ეროვნული ჩემპიონატის ბოლო ორ ტურში "მეტალურგმა" ჯერ გორის "დილასთან" წააგო სტუმრად 0:3, მერე კი შინ "ვიტ ჯორჯიასთან" დამარცხდა 0:2. "მეტალურგი" ახლა მეექვსე ადგილზეა.

რუსთავული გუნდი, რომელმაც წინა ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავა, ერთ-ერთ ფავორიტად მიიჩნეოდა ამ სეზონშიც, თუმცა რვა თამაშიდან ჩემპიონატში მხოლოდ ოთხი მოიგო და ამდენივე წააგო.

*"თითქმის გადაწყვეტილია, რომ "მეტალურგს" დავტოვებ. როგორც მითხრეს, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ხელმძღვანელობა უკმაყოფილოა ჩემი მუშაობით"* – გვითხრა ყორყიკაშვილმა.

და რა იყო "მეტალურგის" წარუმატებლობათა მიზეზი? ამ კითხვაზე ყორყიკაშვილმა ჯერ არ გვიპასუხა, როცა გუნდიდან ჩემს წასვლას წერტილი დაესმება, ამაზე მერე ვისაუბროთო.

50 წლის ყორყიკაშვილს არაერთი გუნდი გაუწვრთნია, იყო საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრების მთავარი მწვრთნელიც. ვნახოთ, სად გააგრძელებს კარიერას ეს გამოცდილი სპეციალისტი. ისიც საინტერესოა, ვის დანიშვნას აპირებენ ყორყიკაშვილის შემცვლელად. ამის თაობაზე "მეტალურგის" სპორტულ დირექტორ **კახა კოპალეიშვილს** მივმართეთ, რომელმაც გვითხრა, რომ სავარაუდოდ, 3 ოქტომბრისთვის იქნება ახალი ინფორმაცია.

**დავით თავართქილაძე**

● U17

# ბრძოლა ელიტრაუნდისთვის თვის ბოლოს დაიწყება



**30 ოქტომბერი**

14.00 თბილისი. ბასა

**შოტლანდია–ლუქსემბურგი**

არბიტრი: ჯ. კაზანოვა (სან მარინო)

17.00 თბილისი. მ. მესხი

**საქართველო–უკრაინა**

არბიტრი: ვ. დიმიტრიუ (კვიპროსი)

**1 ნოემბერი**

14.00 თბილისი. ბასა

**შოტლანდია–უკრაინა**

არბიტრი: ი. სტოიანოვი (ბულგარეთი)

17.00 თბილისი. მ. მესხი

**ლუქსემბურგი–საქართველო**

არბიტრი: ჯ. კაზანოვა (სან მარინო)

**4 ნოემბერი**

17.00 თბილისი. მ. მესხი

**საქართველო–შოტლანდია**

არბიტრი: ი. სტოიანოვი (ბულგარეთი)

17.00 თბილისი. ბასა

**უკრაინა–ლუქსემბურგი**

არბიტრი: ვ. დიმიტრიუ (კვიპროსი)

**ოქტომბრის ბოლოს საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩაერთვება. ჩვენი ჯგუფის მატჩებს თბილისი უმასპინძლებს, შესარჩევი ტურნირის ფორმატი კი უცვლელია – პირველი ეტაპის ყოველი ჯგუფიდან ელიტრაუნდში ორ-ორი საუკეთესო გუნდი და ორიც საუკეთესო მესამეადგილოსანი გავა.**

საინტერესო სიახლე ის არის, რომ უეფას ოფიციალურმა ვებგვერდმა ჩვენი ჯგუფის დეტალური კალენდარი გამოაქვეყნა, სადაც მატჩების ჩატარების ადგილიც მითითებულია და არბიტრებიც. **გიორგი დევდარიანის** გუნდი ელიტრაუნდში გასასვლელად ბრძოლას უკრაინით იწყებს, ლუქსემბურგით აგრძელებს და შოტლანდიით ასრულებს.

**ვასილ მაისურაძის** გუნდის ევროპულმა წარმატებამ ქართული ფეხბურთის უკეთესი მომავლის იმედი გაგვიჩინა და იმედს გამოვთქვამთ, რომ ჩვენი 17-წლამდელთა ახალი თაობაც მაღალი მიზნებისთვის იბრძოლებს. იმაშიც დარწმუნებულები ვართ, რომ შინაურ მატჩებში საქართველოს ნაკრებს ქომაგთა მხარდაჭერა არ მოაკლდება.

ბოლოს იმასაც გეტყვით, რომ რამდენიმე ჯგუფში პირველი ეტაპი უკვე დასრულდა. ელიტრაუნდის საგზური უკვე მოიპოვეს სერბეთმა, ბელარუსმა, სლოვენიამ, საფრანგეთმა, ჩეხეთმა და რუსეთმა, ხოლო ბრძოლას გამოეთიშნენ მოლდოვა, სომხეთი, ბოსნია, საბერძნეთი, დანია და ჩერნოგორია.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● ტრავმის შემდეგ

## გიორგი ლორია:

# ვარჯიშს ერთ კვირაში დავიწყებ

### დინამოს ტრავმები მოეძალა

საქართველოს ნაკრებისა და თბილისის "დინამოს" მეკარე **გიორგი ლორია** ბელარუსისა და განსაკუთრებით, ესპანეთის ნაკრებთან შეხვედრების შემდეგ გულშემატკივრის ფავორიტი გახდა.

უცხოური, მათ შორის, ესპანური გამოცემები, თბილისის "დინამოს" მეკარის მიმართ საქებარ სიტყვებს არ იშურებდნენ. მაგრამ ესპანეთთან მატჩის 69-ე წუთზე ლორიამ ტრავმა მიიღო და მოედანი დატოვა.



გიორგი ლორია

გამოკვლევების შემდეგ დაადგინეს, რომ ლორიას აღენიშნებოდა მუხლის სახსრის და მის გარშემო არსებული რბილი ქსოვილების შეშუპება. მერე ითქვა, რომ ვარჯიშის განახლებას თვენახევარში თუ შეძლებსო.

არადა, ლორია "დინამოსა" და "სიონის" მატჩის შემდეგ ვნახეთ, ყავარჯნების გარეშე დადიოდა და როგორც გვითხრა, ყველაზე ცუდი მოლოდინი არ გამართლდა: *"საბედნიეროდ, ჩვეულებრივად დავდივარ, ტკივილი არ მაწუხებს. საბედნიეროდ, არც მუხლის ტრავმა დამიდასტურდა და სხვა საფრთხეც გამოირიცხა. მოკლედ, ვარჯიშს მაქსიმუმ ერთ კვირაში დავიწყებ, შესაძლოა, უფრო ადრეც".*

ლორიას გარდა, "დინამოს" კიდევ რამდენიმე მოთამაშეა ტრავმირებული. მაგალითად, **კარლეს კოტო.** ესპანელი გარემარბი ევროპიდან საქართველოში იმიტომ წამოვიდა, რომ ხანგრძლივმა ტრავმებმა გააწვალა. საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, სწორედ ახალი სეზონიდან აჩვენა საუკეთესო თამაშები. სამწუხაროდ, 15 სექტემბერს გორში "დილასთან" ჩატარებული მატჩის შემდეგ, კოტო აღარ გამოჩენილა - მას მუხლი დაუზიანდა.

კუნთი აწუხებს ბრაზილიელ ლეგიონერ **რობერტინიოს**, რომელიც ვარჯიშს მალე უნდა შეუდგეს და, წესით, შემდეგი მატჩისთვის მზად უნდა იყოს. "ჩიხურასთან" მატჩის დასაწყისშივე დაშავდა ესპანელი **ჩისკო** - საშიში არც მისი ტრავმა გამოდგა და ვარჯიშს ისიც მალე განაახლებს.

ტრავმამ შეახსენა თავი **ლევან კაკუბავასაც**, მაგრამ საშიში არაფერია და წესით, 22 წლის მცველი მოედანს მალე დაუბრუნდება.

გამოჯანმრთელდა ახალგაზრდა მცველი **დათა ხოჭოლავაც.** ოპერაციის შემდეგ, მან რეაბილიტაცია დაასრულა, უკვე ერთი თვეა, ვარჯიშობს, თავს კარგად გრძნობს და იმედია, ფორმას მალე აღიდგენს.

კომენტარი თბილისის "დინამოს" ექიმს, **მერაბ ვარძუკაშვილსაც** ჩამოვართვით: *"გიორგი ლორიას აღენიშნებოდა მარცხენა სახსრის შიგნითა გვერდითი იოგის დაზიანება. მკურნალობის პირველმა ეტაპზე წარმატებით ჩაიარა, ამჟამად სარეაბილიტაციო მკურნალობა უტარდება".*

*კოტოს აღენიშნება მუხლის ხრტილის დაზიანება, რაც სერიოზულ მკურნალობას საჭიროებს და სავარაუდოდ, ორი თვე დაისვენებს. რობერტინიომ ინდივიდუალური ვარჯიში უკვე დაიწყო. ჩისკო კი მკურნალობა-რეაბილიტაციას ერთდროულად, დაჩქარებული ტემპით გადის და და ვნახოთ, მოედანს როდის დაუბრუნდება".*

**მერაბ მამულაშვილი**

● ინტერვიუ



## ვლადიმერ ვოსკობოინიკოვი:

# ზოგიერთი ქართული კლუბი ფიზიკურად სუსტია

**29 წლის ვლადიმერ ვოსკობოინიკოვი თბილისის "დინამოში" ზაფხულში გამოჩნდა. გამოცდილმა თავდამსხმელმა კარიერა ესტონურ "ლევადიაში" დაიწყო, უთამაშია ბელგიურ "ბრიუსელში" (2004-2006) და "ეუპენში" (2005), მოსკოვის "ტორპედოში" (2007-2008), შვედურ "სირიანსკაში" (2009), რუსულ "ლუჩ-ენერგიაში" (2009), ბაქოს "ნეფთჩიში" (2010), ბოლოს კი რუსეთის პირველი ლიგის "ხიმკიში" (2011-2012). ესტონეთის ნაკრებში ჩატარებულ 25 შეხვედრაში თავი სამჯერ გამოიჩინა.**

**ესტონელმა "დინამოში" უკვე მეშვიდე მატჩი ჩაატარა, მაგრამ პირველი გოლი სწორედ ბოლო ტურში ბოლნისის "სიონთან" გაიტანა: შეხვედრის 26-ე წუთზე ლევან ხმალაძის ფლანგური გადაცემა მშვენიერი თავური დარტყმით დაასრულა.**

**"ლელომ" ვლადიმერ ვოსკობოინიკოვს ინტერვიუ ჩამოართვა:**

- მიხარია, "დინამოს" მაისურით პირველი გოლი რომ გავიტანე. იმედია, შემდეგშიც ასე გავაგრძელებ.

**- ამ მატჩში "დინამოს" შეტევაში ყველაფერი იოლად გამოსდიოდა. ალბათ, ნავსის გატეხაში ესეც დაგეხმარათ.**

- ყველაზე რთული პირველი გოლის გატანაა. ეს მეხება მეც და გუნდსაც. პირველ ტაიმში ცუდად არც მეტოქე გამოიყურებოდა, გატანაც შეეძლოთ. მაგრამ შესვენებამდე რომ 3:0 დაფიქსირდა, ყველაფერი ნათელი გახდა.

**- საკუთარ თამაშს როგორ შეაფასებდით?**

- როდესაც საქართველოში ჩამოვედი, თავიდან მათამაშებდნენ, მერე ვითარება შეიცვალა და ძირითადში ველარ ვხვდებოდი. ალბათ, შედარებით უკეთ თავის გამოვლენა სწორედ დღეს მოვახერხე, გოლიც გავიტანე.

**- პირველი გოლი ყველა თავდამსხმელზე დადებითად მოქმედებს.**

- ვერ ვიტყვი, რომ ამას დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდი. თავდამსხმელი შესაძლოა ადრე გაიხსნას, შესაძლოა, გვიან, მთავარია, გუნდს მოერგოს.

**- თუმცა, ლეგიონერი თავდამსხმელისგან ყველა გოლს ითხოვს. თქვენც გექნებოდათ ნდობის გამართლების სურვილი – უგოლო სერიაზე არ ნერვიულობდით?**

- მერწმუნეთ, ეს არ მთრგუნავდა. თუკი ფსიქოლოგიურად ძლიერი ხარ, ამასაც გაუძლებ. ახალ გუნდთან შეგუებას და თანაგუნდელებთან საერთო ენის გამონახვას ყოველთვის დრო სჭირდება. პატარა წარუმატებლობა მათზე მოქმედებს, ვინც ყველაფერს განიცდის და სუსტია. მე კი ვიცოდი, რომ აუცილებლად გავიტანდი.

**- წლეულს "დინამო" ისეთ ქულებს არ ჰკარგავს, რომლის გამოც წინა სეზონში სამეულშიც ვერ მოხვდა. თქვენი აზრით, რა არის გუნდის ლიდერობის მიზეზი?**

- საერთოდაც, აქ ურიგო გუნდები და ფეხბურთელები არ არიან, მაგრამ ნაწილი ფიზიკურად კარგად მომზადებული არ არის. ამის გამო, თავიდან წინააღმდეგობას კი გვიწევენ, მაგრამ შეხვედრის ბოლოს ძალა ეცლებათ და სირბილი და წინააღმდეგობის გაწევა უჭირთ. თუ დააკვირდებით, გოლები ხშირად მატჩის ბოლოს გაგვაქვს.

**- ანუ, ჩვენს ჩემპიონატში ფიზიკურად სუსტი გუნდები თამაშობენ?**

- ამას ნამდვილად ვერ ვიტყვი. არიან ძლიერი გუნდები, მაგრამ ბევრი ყურადღებას ტექნიკას უფრო აქცევს, ვიდრე ფიზიკურ მომზადებას. შესაძლოა, ბევრს სირბილიც არ უყვართ.

**- ჩისკო პირიქით ამბობს, ფიზიკურად ძლიერი მოთამაშეები გყავთ, მაგრამ არასწორად თამაშობენ და ამიტომ ილლებიანო.**

- არც უამისობაა. ვიმეორებ, რამდენიმე გუნდი სწორედ უკეთესი ფიზიკური მომზადების ხარჯზე დავამარცხეთ. მაგრამ, მომეწონა "ტორპედო", "დილა" და "ჩიხურა". სამივე ძლიერი გუნდია. ჯერ სხვებთან არ გვითამაშია და მათი შეფასება გამიჭირდება. მაგრამ აშკარად დავინახე, რომ ეს სამეული ფიზიკურადაც კარგად არის მომზადებული და ტექნიკურ-ტაქტიკურადაც. მიმაჩნია, რომ ჩემპიონობისთვის ბრძოლა სწორედ ამ გუნდებთან მოგვიწევს.

**მერაბ მამულაშვილი**

საქართველოს ჩემპიონატი. პრემიერლიგა. VIII ტურის მიმოხილვა

# საფეხბურთო ნეიტრალიტეტი

არჩევნების წინადღეს ჩატარებულმა ტურმა უექსცესოდ ჩაიარა; ანდა, რატომ უნდა მომხდარიყო რამე? საბედნიეროდ, საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე გუნდებს... პოლიტიკური „გემოვნების" გამო არც ავიწროებენ და განსაკუთრებულ შეღავათებს უკეთებენ. ასეთივე მდგომარეობა იყო საქართველოს თასის ბოლო გათამაშებაშიც, რომელიც ჭეშმარიტად სპორტული პრინციპების დაცვით ჩატარდა; მეტსაც ვიტყვით: 2011-12 წლების საქართველოს თასის გათამაშება „სამართლიანი თამაშისა", საერთოდ, საფეხბურთო დემოკრატიის მწვერვალი იყო! სასიამოვნოა, რომ ასე გრძელდება ახალ სეზონშიც და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განსხვავებული პოლიტიკური შეხედულების გამო არც ერთ ქართულ გუნდს პრობლემები არ შეჰქმნია! თუმცა, ამ ქვეყანაზე „ეჭვიან ხალხს" რა გამოლევს: „ბოროტი ენები" ამტკიცებენ, რომ სულ ახლახან, ერთ-ერთი მატჩის მსვლელობისას (უფრო ზუსტად, შესვენებაზე) კონკრეტული გუნდის ფეხბურთელებს „მიანიშნეს", რომ სამ ქულას ვერაფრით აიღებდნენ. არადა, ის გუნდი ორბურთიანი უპირატესობით იყო დაწინაურებული, მაგრამ საბოლოოდ მაინც დამარცხდა! რამდენად დასაჯერებელია ეს ამბავი, ძნელი სათქმელია, ისევე როგორც არავინ იცის, მომავალი ტურის წინ რა სიტუაცია იქნება არა მხოლოდ ქართულ ფეხბურთში, არამედ, საერთოდ, საქართველოში. გავანებოთ თავი პოლიტიკურ სიმპათია-ანტიპათიებს და მხოლოდ ის ვთქვათ, რომ ამ საარჩევნო ვნებათაღელვამ, შესაძლოა, ჩვენს ჩემპიონატზეც არასასურველი გავლენა იქონიოს. აი, ეს კი, გვერწმუნეთ, ნამდვილად არ გვინდა; ისე როგორც არავის ენდომება მოვლენების ისეთი განვითარება, რომლის მიხედვითაც არჩევნების შედეგების გამო ამა თუ იმ გუნდს გარკვეული პრობლემა შეექმნას. თანაც, „პრობლემა" კიდევ რბილად ნათქვამია — შესაძლოა, ამა თუ იმ გუნდის ყოფნა-არყოფნის საკითხიც დადგეს. იმედია, ეს პესიმისტური მოლოდინი არ გამართლდება და გუშინ ჩატარებული არჩევნები ჩვენს ჩემპიონატსა და, საერთოდ, ქართულ ფეხბურთზე უარყოფითად არ იმოქმედებს. ისე, ქართული ფეხბურთის დღევანდელ ხელმძღვანელობას მართლაც გვინდა მოვუწონოთ სრული პოლიტიკური ნეიტრალიტეტი: ამ გაგანია წინასაარჩევნო პერიოდში არც ზვიად სიჭინავას, არც რევაზ არველაძეს, არც ალექსანდრე ჩივაძეს და არც გია ფირცხალავას პოლიტიკური განცხადებებიც არ გაუკეთებიათ და თავიანთი სიმპათიებიც საჯაროდ არ დაუფიქსირებიათ.

*P.S. აუცილებლად უნდა განვმარტოთ: როცა ჩვენი ფედერაციის ხელმძღვანელების სრულ პოლიტიკურ ნეიტრალიტეტზე ვლაპარაკობთ, ყოველგვარი სარკაზმი თუ ირონია გულში არც გაგვივლია; რასაც, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით შესავალში ნახსენებ საქართველოს თასის ბოლო გათამაშებასა თუ წინა სეზონში ამა თუ იმ გუნდის პოლიტიკური ნიშნით ხელშეწყობაზე...*



დინამომ კიდევ ერთი მატჩი მოიგო დიდი ანგარიშით

## გოლთაცვენა დინამოსგან

ჩემპიონატში „ორხელისუფლებიანობა" მორჩა: თბილისის „დინამომ" მორიგი გოლთაცვენა მოაწყო და ერთპიროვნულად გალიდერდა! ამ სეზონში **დუშან უჰრინის** გუნდმა უკვე მეოთხე მატჩი მოიგო დიდი ანგარიშით, ხუთბურთიანი სხვაობით კი — მეოთხე შეხვედრა! შედარებისთვის: წინა სეზონის განმავლობაში „დინამომ" ორივე ეტაპზე ხუთი მატჩი მოიგო სამი და მეტი ბურთის სხვაობით. ახლა კი, ჯერჯერობით რვა ტურია გასული და გუნდს თითქმის ანალოგიური მაჩვენებელი აქვს. დინამოელთა ასეთი შედეგიანი თამაში იმითაც არის დასაფასებელი, რომ „სიონთან" შეხვედრაში აშკარად არაოპტიმალური შემადგენლობით ასპარეზობდა - **გიორგი ლორია, ჩისკო, კოტო, რობერტინიო** და **ირაკლი ძარია** გუნდს ვერ ეხმარებოდნენ, **გიორგი რეხვიაშვილის** ადგილი ძირითადში კი **დარკო გლიშიჩმა** დაიკავა. აქვე, ერთი მნიშვნელოვანი ნიუანსიც: ამ სეზონში „დინამო" მხოლოდ შესაშური შედეგიანობით (საშუალოდ, ერთ მატჩში სამი ბურთი გააქვს მეტოქის კარში) კი არ გამოირჩევა, არამედ ერთიმეორეზე უკეთესი და ლამაზი გოლებითაც. ასე იყო „სიონთან" შეხვედრაშიც და ნურც **ჯაბა დვალისა** და **გიორგი მერებაშვილის** აქტიურ თამაშს დავივიწყებთ: ორივემ „დუბლი" შეასრულა!

## დილა და ისტორია

ჩემპიონატის სტარტის მთავარი მოულოდნელობა, რაღა თქმა უნდა, გორის „დილას" წარუმატებელი ასპარეზობა იყო — სეზონის ერთ-ერთმა რეალურმა და გამოკვეთილმა ფავორიტმა საწყის ოთხ ტურში მხოლოდ ერთადერთი ქულა მოაგროვა. სწორედ ამის მერე მოხდა გუნდში საკადრო ცვლილება: ისრაელიდან სამშობლოში დაბრუნდა **გიორგი დარასელია**, რომელიც „დილას" მთავარ მწვრთნელად დაინიშნა და ფავორიტმაც თავისი სტატუსის გამართლება დაიწყო. უფრო მეტიც, ძალიან ცოტა თუ იფიქრებდა „დილას" ასეთ გარდაქმნას: გუნდმა ზედიზედ ოთხი მატჩი ისე მოიგო, საკუთარ კარში არც ერთი ბურთი არ გაუშვია! ახლა, მეტოქეებს აღარ იკითხავთ: თბილისის „დინამო", „ზესტაფონი", „მეტალურგი" და „ტორპედო"! ამ მართლაც შთამბეჭდავი სპორტის შედეგად „დილა" პირველ სამეულსაც მიუახლოვდა და ერთპიროვნულ ლიდერ „დინამოს" მხოლოდ ექვსი ქულითღა ჩამორჩება. მოკლედ, ყველა პირობა არსებობს, „დილამ" რომ საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში საუკეთესო შედეგი უჩვენოს. თანაც, იმავე წინა სეზონისაგან განსხვავებით, ამჟამად ვერავინ იტყვის, რომ „დილას" „ზემოდან" ეხმარებიან და მეტოქეებიც „გვერდზე იწევიანო"... ჰო, ასე ნამდვილად აღარ არის და ერთის მხრით, „დილას" ასეთი წარმატება არც არავის უნდა გაუკვირდეს: ფაქტია, რომ გიორგი დარასელიას სახით ქართულ ფეხბურთში კიდევ ერთი ნიჭიერი მწვრთნელი გამოჩნდა, გუნდის შემადგენლობაში ერთიმეორეზე უკეთესი და გამოცდილი ფეხბურთელები ასპარეზობენ, კლუბს არც ფინანსურად უჭირს და ამას გარდა, ერთი პიროვნებაც გვინდა ვახსენოთ. **მამუკა ჯუღელზე** მოგახსენებთ, ცნობილ ქართველ მენეჯერზე, თავის საქმიანობაში, ალბათ, აღმოსავლეთ ევროპაში ბევრი რომ ვერ დაეტოლება...

## ლეგიონერებიც ვახსენოთ...

გასულ ტურში თავი ლეგიონერებმაც გამოიჩინეს: **მიკელ ალვაროს** შედეგიანი თამაში აღარავის გვიკვირს და „დინამოს" 29 წლის ნახევარმცველმა ამ ჩემპიონატში უკვე მეოთხე გოლი (კვლავაც — ეფექტურადა!) გაიტანა; აი, რაც შეეხება მის თანაკლუბელს, ასევე 29 წლის **ვლადიმერ ვოსკობოინიკოვს**, ესტონელმა ცენტრფორვარდმა „დინამოს" მაისურით პირველად იხეირა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში ვოსკობოინიკოვი პირველი ესტონელი ფეხბურთელია და შესაბამისად, პირველი „ესტონური გოლიც" ვიხილეთ. საქართველოს ჩემპიონატში სადებიუტო გოლი გაიტანა ბათუმის „დინამოს" უკრაინელმა ლეგიონერმა, 25 წლის **ოლექსანდრ ტიმჩიშინმაც**. თუმცა, ჩვენ ჩემპიონატში უკრაინელ ლეგიონერთა გოლები არავის უნდა გაგვიკვირდეს — ბოლოს და ბოლოს, **ანდრეი პორომშინი** გავიხსენოთ, ქუთაისის „ტორპედოს" ერთ-ერთი გამორჩეული ფორვარდი.

**გია ტუხაშვილი**

### VIII ტურის სიმბოლური ნაკრები




## პირველი ლიგა, VI ტური

### A ჯგუფი

| | |
|---|---|
| ჭიათურა – მეშახტე | 2:0 |
| სულორი – ბეთლემი | 1:0 |
| იმერეთი – სქური | 2:0 |
| დინამო-2 – სასკო | 2:4 |
| გურია – რაჭა | 3:1 |
| გაგრა – სტუ | 3:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გურია | 6 | 5 | 0 | 1 | 16-4 | 15 |
| 2. სასკო | 6 | 5 | 0 | 1 | 19-9 | 15 |
| 3. გაგრა | 6 | 4 | 0 | 2 | 14-3 | 12 |
| 4. სტუ | 6 | 4 | 0 | 2 | 16-12 | 12 |
| 5. იმერეთი | 5 | 3 | 0 | 2 | 6-7 | 9 |
| 6. დინამო 2 | 5 | 2 | 1 | 2 | 18-13 | 7 |
| 7. ჭიათურა | 6 | 2 | 1 | 3 | 9-11 | 7 |
| 8. სქური | 6 | 2 | 1 | 3 | 5-10 | 7 |
| 9. ბეთლემი | 6 | 2 | 0 | 4 | 7-8 | 6 |
| 10. სულორი | 6 | 2 | 0 | 4 | 2-13 | 6 |
| 11. მეშახტე | 6 | 1 | 1 | 4 | 6-19 | 4 |
| 12. რაჭა | 6 | 0 | 2 | 4 | 7-16 | 2 |

**მომდევნო ტური**

**5 ოქტომბერი**

გურია – ჭიათურა
სასკო – რაჭა
სქური – დინამო-2
ბეთლემი – იმერეთი
მეშახტე – გაგრა

### B ჯგუფი

| | |
|---|---|
| აეტი – ზოოვეტი | 1:6 |
| შუქურა – მერცხალი | 5:0 |
| კოლხეთი (ხ) – სპარტაკი | 1:0 |
| ჩხერიმელა – ლიახვი | 4:0 |
| ადელი – სამგურალი | 4:2 |
| სამტრედია – ლოკომოტივი | 0:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კოლხეთი (ხ) | 6 | 6 | 0 | 0 | 14-6 | 18 |
| 2. სპარტაკი... | 6 | 5 | 0 | 1 | 13-2 | 15 |
| 3. ლოკომოტივი | 6 | 4 | 1 | 1 | 15-8 | 13 |
| 4. ზოოვეტი | 6 | 3 | 1 | 2 | 13-9 | 10 |
| 5. სამტრედია | 6 | 3 | 1 | 2 | 8-5 | 10 |
| 6. სამგურალი | 6 | 3 | 1 | 2 | 12-9 | 10 |
| 7. ჩხერიმელა | 6 | 3 | 0 | 3 | 10-7 | 9 |
| 8. შუქურა | 6 | 2 | 1 | 3 | 8-7 | 7 |
| 9. მერცხალი | 6 | 2 | 1 | 3 | 9-12 | 7 |
| 10. ადელი | 6 | 2 | 0 | 4 | 8-14 | 6 |
| 11. აეტი | 6 | 0 | 0 | 6 | 6-18 | 0 |
| 12. ლიახვი | 6 | 0 | 0 | 6 | 1-20 | 0 |

**6 ოქტომბერი**

ზოოვეტი – სამტრედია
სამგურალი – აეტი
ლიახვი – ადელი
სპარტაკი – ჩხერიმელა
შუქურა – კოლხეთი (ხ)
ლოკომოტივი – მერცხალი

### II ლიგა, აღმოსავლეთი ზონა

**IV ტური**

| | |
|---|---|
| იბერია (თბ.) – ფარავანი (ნინოწმინდა) | 2:1 |
| ქართლი-2011 (გორი) – აბული (ახალქ.) | 4:1 |
| ივერია (ხაშური) – იუსი ბესტი (თბ.) | 3:1 |
| ალგეთი-XXI (თბ.) – სპარტაკი-2 (ცხ.) | 1:2 |
| გაგრა-2 – ლაგოდეხი | 2:0 |
| ნორჩი დინამო (თბილისი) – დუშეთი | 2:5 |

**V ტური**

| | |
|---|---|
| იუსი ბესტი – ალგეთი XXI | 9:2 |
| ლაგოდეხი – იბერია | 6:2 |
| საქ. უნივერსიტეტი – ნ. დინამო | 6:1 |
| ფარავანი – ქართლი-2011 | დღეს |
| სპარტაკი-2 – გაგრა-2 | დღეს |
| დუშეთი – ივერია | დღეს |
| ლიახვი-2 – აბული | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუსი ბესტი | 5 | 4 | 0 | 1 | 23-8 | 12 |
| 2. ქართლი | 3 | 3 | 0 | 0 | 13-1 | 9 |
| 3. ივერია | 4 | 3 | 0 | 1 | 14-7 | 9 |
| 4. საქ. უნივერს. | 4 | 3 | 0 | 1 | 12-5 | 9 |
| 5. გაგრა-2 | 4 | 3 | 0 | 1 | 11-7 | 9 |
| 6. სპარტაკი-2 | 4 | 2 | 0 | 2 | 12-9 | 6 |
| 7. ფარავანი | 4 | 2 | 0 | 2 | 3-5 | 6 |
| 8. ლაგოდეხი | 5 | 2 | 0 | 3 | 12-16 | 6 |
| 9. აბული | 4 | 1 | 1 | 2 | 8-13 | 4 |
| 10. იბერია | 4 | 1 | 1 | 2 | 5-13 | 4 |
| 11. დუშეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 6-5 | 3 |
| 12. ალგეთი | 5 | 1 | 0 | 4 | 8-15 | 3 |
| 13. ლიახვი-2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0-0 | 0 |
| 14. ნ. დინამო | 5 | 0 | 0 | 5 | 6-29 | 0 |

### დუბლების ჩემპიონატი, VIII ტური

| | |
|---|---|
| მერანი – ზუგდიდი | 1:3 |
| დინამო (ბთ) – კოლხეთი | 2:1 |
| დინამო (თბ) – სიონი | 8:1 |
| ზესტაფონი – ჩიხურა | 4:3 |
| ტორპედო – დილა | 1:2 |
| მეტალურგი – ვიტ ჯორჯია | 3:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო (თბ) | 8 | 7 | 0 | 1 | 26-6 | 21 |
| 2. ზესტაფონი | 8 | 6 | 2 | 0 | 24-12 | 20 |
| 3. ვიტ ჯორჯია | 8 | 4 | 3 | 1 | 16-9 | 15 |
| 4. მეტალურგი | 8 | 4 | 2 | 2 | 18-13 | 14 |
| 5. ზუგდიდი | 8 | 4 | 2 | 2 | 9-7 | 14 |
| 6. ტორპედო | 8 | 3 | 2 | 3 | 12-8 | 11 |
| 7. დინამო (ბთ) | 8 | 2 | 2 | 4 | 12-13 | 8 |
| 8. დილა | 8 | 2 | 2 | 4 | 7-9 | 8 |
| 9. ჩიხურა | 8 | 2 | 1 | 5 | 8-13 | 7 |
| 10. კოლხეთი | 8 | 2 | 1 | 5 | 5-10 | 7 |
| 11. მერანი | 8 | 1 | 1 | 6 | 3-23 | 4 |
| 12. სიონი | 8 | 0 | 4 | 4 | 5-16 | 4 |

რეგიონი




პირველ მატჩში ლანჩხუთის სტადიონის განახლებულ მინდორზე გურია რაჭას შეხვდა

მამუკა ქანთარიას ფოტო

# ლანჩხუთის სტადიონი გაიხსნა, მშენებლობა მომავალ წელს დასრულდება

შაბათს, ლანჩხუთის **ევგრაფი შევარდნაძის** სახელობის სტადიონის სარემონტო სამუშაოების პირველი ეტაპი დასრულდა. პრეზენტაციას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ზვიად სიჭინავა** და გურიის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის თავკაცი **კახაბერ ებრალიძე** ესწრებოდნენ.

ამ დროისთვის „ევგრაფი შევარდნაძეზე“ მთლიანად დასრულებულია მინდვრის საფრის გამოცვლის სამუშაოები, სრულად შეიცვალა სადრენაჟე სისტემა, დაიგო ბერძნული წარმოების ბალახი, რომელიც საბერძნეთიდან გაყინულ მდგომარეობაში ჩამოიტანეს. პარალელურად დაიდგა ახალი, თანამედროვე კარები.

რაც შეეხება სხვა ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს, მისი სრულად დასრულება 2013 წელს მოხდება. ამას იუწყება ტაბლოზე გაკრული ბანერი. როგორც იცით, მთლიანად დაინგრა დასავლეთ და ჩრდილოეთ ტრიბუნები, რომლებიც ავარიულ მდგომარეობაში იყო. აღმოსავლეთ ტრიბუნაზე აიღეს ხის დასაჯდომები, ტრიბუნა შეიღება და მასზე დამონტაჟდა ინდივიდუალური სკამების სამაგრი კონსტრუქცია. თავად სკამების მონტაჟი კი წლის ბოლომდე დასრულდება. დასავლეთ ტრიბუნაზე დამონტაჟდება 4800 ინდივიდუალური სკამი, საბოლოოდ კი არენა 9-10 ათას ქომაგს დაიტევს. ეს მას შემდეგ, რაც დასავლეთ ტრიბუნა აიგება, სადაც დამონტაჟდება მედია და პრესლოჟები, ასევე მოეწყობა გუნდების გასახდელები. ამჟამად დასავლეთ მხარეს განლაგებულია ფიფას, უეფას, სფფ-ის და მისი სპონსორების სარეკლამო ბანერები.

შაბათსვე, „გურიამ“ განახლებულ არენაზე პირველი მატჩი ითამაშა და ამბროლაურის „რაჭას“ 3:1 მოუგო. ლანჩხუთური კლუბი მეორე წელია უმაღლეს ლიგაში დასაბრუნებლად იბრძვის, გასულ წელს ცოტა დააკლდა, ამჟამად კი „გურია“ პირველი ლიგის A ზონას ლიდერობს. სტადიონზე მინდვრის საფრის გამოცვლის ინიციატივა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ეკუთვნის, ხოლო სტადიონის კეთილმოწყობა გურიის განვითარების ფონდიდან ხორციელდება.

**მამუკა ქანთარია**
ლანჩხუთიდან

# რა ხდება ჩელე არენაზე

## ასლან ბალაძე: საჩქარო არაფერია, ჯერ ჩამოყალიბების პროცესში ვართ



**პირველი ლიგის B ჯგუფის მეექვსე ტურში ქობულეთის "შუქურამ" შინ ოზურგეთის "მერცხალი" დაამარცხა 5:0. "შუქურამ" პირველი შეხვედრა გამართა ქობულეთის განახლებულ სტადიონ "ჩელე არენაზე". ეს სახელი ამ სტადიონს რევაზ ჩელებაძის საპატივსაცემოდ შეურჩიეს, ჩელებაძეს ხომ გულშემატკივრები "ჩელეს" ეძახდნენ.**

**მატჩის დასრულების შემდეგ "შუქურას" მთავარ მწვრთნელს ასლან ბალაძეს ვესაუბრეთ, თბილისის და ბათუმის "დინამოს" ყოფილ მეკარეს, რომელსაც მწვრთნელად საქართველოს სხვადასხვა ნაკრებებშიც უმუშავია...**

- მანამდე ბათუმში, "ადელის" სტადიონზე ვთამაშობდით და სასიხარულოა, რომ ამიერიდან "შუქურა" მშობლიურ ქალაქში ითამაშებს. განახლებულ "ჩელე არენაზე" პირველი საშინაო მატჩი კი ბათუმის "დინამომ" ითამაშა 26 სექტემბერს მარტვილის "მერანთან".

**- ოზურგეთის "მერცხალს" იოლად მოუგეთ...**

- "მერცხალი" ხელწამოსაკრავი გუნდი არ არის, ამ გუნდთან თასზეც ვითამაშეთ და საკონტროლო შეხვედრაც ჩავატარეთ. "მერცხალი" კარგად გვყავდა შესწავლილი, სწრაფად გავუტანეთ ორი გოლი და გუნდიც გატყდა, მეორე ტაიმში კი ისეთი მობილიზაციით ვითამაშეთ, რომ საქმე ბოლომდე მივიყვანეთ.

**- სად ვარჯიშობს თქვენი გუნდი?**

- სეზონისწინა მოსამზადებელი პერიოდი არ ჩაგვიგდია, ბობოყვათში ვვარჯიშობდით, სადაც ბაზის აშენებაც იგეგმება. ახლა კი უკვე "ჩელე არენაზე" ვვარჯიშობთ, რომელზეც ხელოვნურსაფრიანი მოედანი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ დაგვიგო. სტადიონის მთლიანი რეკონსტრუქციაც თითქმის დასრულებულია, გასახდელები და პრესლოჟა დარჩა მოსაწესრიგებელი.

**- "შუქურას" დაფინანსების წყარო რა არის?**

- კლუბს ადგილობრივი მუნიციპალიტეტი აფინანსებს, "შუქურას" პრეზიდენტი კი რევაზ ჩელებაძე გახლავთ. მიდის მუშაობა კერძო ინვესტიციების მოზიდვაზეც, ამ თემას კლუბის პრეზიდენტი უძღვება.

**- ზოგადად, რა ვითარებაა ქობულეთში ფეხბურთის განვითარების მხრივ?**

- ფაქტობრივად რვა წელიწადი ქობულეთში ფეხბურთი არ ყოფილა. "შუქურა" ივნისში ჩავიბარე. წარმოშობით ქობულეთიდან ვარ, ჩელებაძეც აქაურია და ერთობლივად ვცდილობთ საქმის გაკეთებას. გრძელვადიანი გეგმა გვაქვს, "შუქურა" ჯერ ჩამოყალიბების პროცესშია, ასე იქნება ამ სეზონში, მერე კი ვნახოთ. "შუქურა" რეგიონში ტრადიციული გუნდია და უნდა ავაღორძინოთ. ქობულეთში ფეხბურთი უყვართ და მჯერა, რომ ჩვენს მატჩებზე ბევრი მაყურებელი მოვა. რაც შეეხება ბავშვთა ფეხბურთს, ქობულეთში ორი სკოლა ფუნქციონირებს - "შუქურა" და განათლების სამინისტროს სკოლა. ბავშვებისთვის მოედნები არის, ქობულეთთან ახლოს, დაბა ოჩხამურშიც არის მოედანი.

**- "შუქურას" კონტინგენტზე რას იტყოდით, როგორ აწარმოებთ სელექციას?**

- ლაშა ჩაფიძეს და ირაკლი ხუჭუას საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებში უთამაშიათ, დავით გაბელია სულაქველიძის აკადემიიდან ავიყვანეთ, "შუქურაში" ყაზანის "რუბინიდან" მოვიდა ავთანდილ ბრაჭული, ვისაც ტრავმა ჰქონდა და მალე შემოგვიერთდება. გუნდის დანარჩენი ფეხბურთელები კი ადგილობრივები არიან.

**- მეკარეებზეც გკითხავთ. თუ ცოტა ხნის წინ ამბობდნენ, ქართულ სამეკარეო სკოლას პრობლემები აქვსო, ახლა სიტუაცია უკეთესობისკენ შეიცვალა. რამ გამოიწვია ეს?**

- ეს სწორი მუშაობის შედეგია. საქართველოში ყოველთვის იყვნენ ნიჭიერი მეკარეები, პრობლემა კი იმით იყო გამოწვეული, რომ მათი წინსვლის პირობები არ არსებობდა. ქართული კლუბები მოლონიერდნენ, შეიქმნა კონკურენციისთვის აუცილებელი უკეთესი გარემო. რვა წელიწადი ვმუშაობდი ფეხბურთის ფედერაციაში და სიტუაციას კარგად ვიცნობ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ნიჭიერი მეკარეების პლეადაც წამოვიდა: ლორია, რევიშვილი, კვასხვაძე, მაკარიძე...მიმუშავია ლორიასთან და კვასხვაძესთან, ძალიან მიხარია, მათ და სხვა ქართველმა მეკარეებს მნიშვნელოვანი წინსვლა რომ აქვთ.

**დავით თავართქილაძე**

ახალი სახე

# ჯორბენაძემ დაუმიზნა: 15

## ბათუმელი, რომელიც დგალს გაუტოლდა

რვა ტურის შემდეგ ეროვნული ჩემპიონატის ბომბარდირებში **ჯაბა დვალი** თუ დაწინაურდებოდა, განსაკუთრებულს ამაში ვერავინ აღმოაჩენდა, მაგრამ საქმე იმაშია, რომ დვალის მსგავსად რვა ტურის შემდეგ ექვსი გოლი ბათუმის "დინამოს" შემტევმა **მიხეილ ჯორბენაძემაც** გაიტანა.



ჯორბენაძის თამაში პირველად მაშინ ვნახე, რომ წინა სეზონის მეორე ეტაპზე "ბათუმი" პირველი ლიგიდან მოხვდა პლეი აუტში და უმაღლესის საგზურიც მოიპოვა. მოძრავი, მოდრიბლინგე, შეუპოვარი თავდამსხმელი – ასეთად გაგვეცნო მაშინ ჯორბენაძე, ახლა კი უკვე დვალის კონკურენტია ბომბარდირობაში...

*"ნამდვილად არ მეგონა, თუ ამ ეტაპზე ასეთი შედეგი მექნებოდა. ეს ყველაზე უფრო ალბათ იმით არის გამოწვეული, რომ მართლაც კარგ ფორმაში ვარ. ყველაფერი ჩინებულად მიდის და ვნახოთ, აწი რა იქნება"* – ამბობს ჯორბენაძე.

ის 24 წლისაა და "ბათუმში" ცენტრფორვარდის პოზიციაზე თამაშობს. **გია გურულის** გაწვრთნილი გუნდი მეტწილად სამი შემტევით გადის მოედანზე, ერთი გამორჩეული თავდამსხმელითა და ორი ფლანგელით.

ჩემპიონატის წინა ტურში "ბათუმმა" ქობულეთში, "ჩელე არენაზე" ფოთის "კოლხეთი" 3:1 დაამარცხა, სტუმრებს პირველი გოლი სწორედ ჯორბენაძემ გაუტანა.

*"დაძაბული თამაში გამოვიდა. "კოლხეთი" თავიდან გვჯობდა თამაშით, მაგრამ პირველმა გაშვებულმა გოლმა გატეხა. ისიც უნდა ითქვას, რომ "კოლხეთი" ამ სეზონში მგონი პირველად თამაშობდა ხელოვნურ საფარზე და ალბათ ამ ფაქტორმაც შეუშალა ხელი"* – ასე ფიქრობს ჯორბენაძე.

"ბათუმი" მიმდინარე სეზონში არასტაბილურად თამაშობს. მეექვსე ტურში ქუთაისის "ტორპედოსთან" 1:5 წააგო, მომდევნო შეხვედრაში კი მარტვილის "მერანი" 4:0 დაამარცხა.

*"არასტაბილურობა იმის ბრალია, რომ გამოცდილება გვაკლია. ახალგაზრდული გუნდი ვართ. გამოცდილი ფეხბურთელიაო, მხოლოდ ამირან მუჯირზე ითქმის, ვინც ასაკის გამო მეტწილად შეცვლაზე შემოდის და თავისი გამოცდილებით დიდად გვეხმარება".*

ჯორბენაძემ ისიც გვითხრა, *"ტორპედოსთან" 1:5 წაგება ალბათ იმის ბრალია, რომ ორი გამოკვეთილი თავდამსხმელით ვითამაშეთ და ნახევარდაცვაში გაგვიჭირდა ტორპედოელებთან, ქუთაისელებს ხომ ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი ჰყავთო. "მერანთან" მოგებაზე გვითხრა, იქაც სწრაფი გოლით გავტეხეთ მეტოქე, მატჩის ბოლოს კი "მერანი" კაცნაკლული დარჩა, თამაშის სადავეები კი სულ ჩვენი იყოო.*

ჯორბენაძე ბათუმელია და სხვა გუნდში არც არასდროს უთამაშია. ის ამბობს, რომ უმაღლეს ლიგაში გაცილებით ძნელია თამაში და გოლების გატანა, ვიდრე პირველში.

წინა სეზონში, პირველ ლიგაში ჯორბენაძემ 11 გოლი გაიტანა, პლეი აუტში კი – 3.

*"თუ "ბათუმი" ზედა ექვსეულში მოხვდება, უფრო გაძნელდება გოლის გატანა. რა თქმა უნდა, ზუსტად ამის თქმა არ შეიძლება, თუმცა მიმდინარე სეზონში თხუთმეტი გოლის გატანა ჩემთვის შეუძლებელი არ უნდა იყოს. რაც შეეხება გუნდის შედეგს, შანსი არ არის, რომ "ბათუმი" უმაღლესი ლიგიდან გავარდეს. ურიგო გუნდი ნამდვილად არ ვართ, მწვრთნელიც კარგი გვყავს"*– იმედიანადაა ჯორბენაძე.

მომდევნო ტურში "ბათუმი" გორის "დილას" ეთამაშება, რომელიც ევროსარბიელის შემდეგ **გიორგი დარასელიას** ხელში ეროვნულ ჩემპიონატში წარმატებით ათამაშდა. თუ ჯორბენაძე გორშიც გამოიჩენს თავს გოლით, შეგვეძლება ვივარაუდოთ, რომ დვალს არცთუ უშანსო კონკურენტი გამოუჩნდა...

**დავით თავართქილაძე**

დილა

# გორიდან ერთი ბრაზილიელი გაუშვეს

## ნათან ჟუნიორმა სამედიცინო შემოწმება გაიარა

ჩაირიცხა თუ არა გორის "დილაში" ბრაზილიის ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი და ლატვიის 2011 წლის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი **ნათან სოარეს დე კარვალიო ჟუნიორი?**

24 წლის ბრაზილიელმა ზაფხულში ავსტრიული "კაპფენბერგი" თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვა და საქართველოში 16 სექტემბერს ჩამოფრინდა.

ამ კონტრაქტის გაფორმებას "დილაში" არ ადასტურებდნენ. არადა, ინტერნეტ-პორტალებზე ("სოკერვეი" და "ტრანსფერმარკტ") ნათან ჟუნიორი უკვე "დილას" მოთამაშედ გამოაცხადეს.

თავად ფეხბურთელს "დილაში" თამაში რომ არ სურდეს, ცხადია, არც ჩამოვიდოდა. მაგრამ ტრანსფერის გადაწყვეტაში მნიშვნელოვანი როლი ბრაზილიელის აგენტს ეკისრებოდა, რომელსაც საქართველოში ელოდნენ.

"ლელო" ვითარებაში გარკვევას შეეცადა. დავაზუსტეთ, რომ ჟუნიორის აგენტი უკვე თბილისშია და კონტრაქტის გაფორმებას მცირე დეტალების დაზუსტებაღა აკლია. მაგალითად, ხელშეკრულებაში როგორ ჩაიწერება დაზღვევის დეტალები, "დილამ" რამდენჯერ უნდა უყიდოს ავიაბილეთი თავდამსხმელს სამშობლოში გამგზავრების დროს....

რაც მთავარია, ჟუნიორმა სამედიცინო შემოწმება გაიარა და ფაქტობრივად, ეს უკვე კონტრაქტის გაფორმებას ნიშნავს. თუმცა, ბრაზილიელს "დილასთან" ერთად კვლავ არ უვარჯიშია.

გარდა ამისა, შევიტყვეთ, რომ "დილას" ახალმა მთავარმა მწვრთნელმა **გიორგი დარასელიამ** კიდევ ერთი ბრაზილიელი გასინჯა. ოღონდ ის ნახევარმცველი გახლდათ, გორში ორი დღე ივარჯიშა და უკან გააბრუნეს.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩელსი



# ჯერ ძალიან ადრეა

"ჩელსის" მთავარმა მწვრთნელმა **რობერტო დი მატეომ** გასულ უქმეებზე "არსენალთან" მოპოვებული უმნიშვნელოვანესი სამი ქულის შემდეგ განაცხადა, რომ მართალია, მისი გუნდი კარგ ფორმაშია, მაგრამ იმის ხელაღებით მტკიცება, რომ "ჩელსი" ჩემპიონატის უმთავრეს ფავორიტთა შორის შედის, ძალიან ადრეა. იტალიელს საამისოდ წონადი არგუმენტი მოჰყავს – პრემიერლიგაში ჯერ მხოლოდ ექვსი ტურია ჩატარებული. მისი მტკიცებით, ასევე ნაადრევია "სტემფორდ ბრიჯზე" ახალი გუნდის საბოლოო ფორმირებაზე ლაპარაკი. ჩვენს ინგლისელ კოლეგებთან დი მატეომ სხვა საინტერესო თემებზეც ილაპარაკა:

- ხუან მატა გარკვეული პაუზის შემდეგ თავის ძველ ფორმას უბრუნდება. აშკარაა, რომ ბოლო შეხვედრებში ის სულ უფრო ეფექტურად თამაშობს. "არსენალთან" ძალიან კარგი იყო ფერნანდო ტორესიც. მან მნიშვნელოვანი გოლი შეაგდო და ამას გარდა გუნდისთვისაც ძალიან ბევრი იმუშავა. მისით ყოველთვის კმაყოფილი ვარ ხოლმე, რადგან მაშინაც კი, როცა გოლი ვერ გააქვს, თანაგუნდელებს უქმნის სახიფათო მომენტებს.

"ემირიტსზე" კარგი ფეხბურთი ვუჩვენეთ და ჩემი აზრით, დამსახურებულად გავიმარჯვეთ. ჩვენ წინააღმდეგ ძალიან ძლიერი მეტოქე იდგა. გეგმის მიხედვით ინიციატივა ჩვენს ხელში უნდა ყოფილიყო, რაც საბოლოოდ გამოგვივიდა კიდეც. რაკი სეზონი ახალი დაწყებულია და გუნდური მექანიზმის დახვეწამდე ჯერ კიდევ ბევრი გვიკლია, ვაპირებთ, რომ ამ მიმართულებით ძალიან ბევრი ვიმუშაოთ. ამის საფუძველს ვარჯიშებზე ვუყრით. დერბიში დავამტკიცეთ, რომ განსხვავებულ სტილში შეგვიძლია თამაში და გუნდი ამ დიაპაზონს სულ უფრო აფართოებს.

## მერე რა, რომ ჩეხი ვარ?

"ჩელსის" მეკარემ, 30 წლის **პეტრ ჩეხმა** განაცხადა, რომ ხანდახან უკვე ფიქრობს კარიერის დასასრულზე, მაგრამ ამ ნაბიჯის გადადგმას მინიმუმ 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატამდე არ გეგმავს, მერე კი იმის მიხედვით იმოქმედებს, რამდენად შერჩება სათანადო მოტივაცია: *"ბრაზილიის მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში ჩემთვის დიდი მიღწევა იქნებოდა. იმედი მაქვს, რომ ეს ოცნება ნამდვილად იქცევა რეალობად. მას მერე კი მხოლოდ იმ დრომდე ვითამაშებ, ვიდრე ეს საქმე სიამოვნებას მომანიჭებს. თუკი 5 ან 6 წელი მოვახერხებ საკუთარი თავის მოტივაციას, მაშინ ამდენი ხნითაც კი დავრჩები. მთავარია, სათამაშო ფორმა შევინარჩუნო. ნამდვილად არ მინდა, მინდორზე მხოლოდ იმის გამო გამოვდიოდე, რომ პეტრ ჩეხი მქვია და უკვე 10 წელია "ჩელსის" ძირითადი მეკარე ვარ".*

პეტრმა "ჩელსიში" მიმდინარე მოვლენებზეც გააკეთა კომენტარი და განაცხადა, რომ აქტიური სატრანსფერო კამპანიის წყალობით მისი გუნდი ძალიან შეიცვალა და თანაც დადებითი კუთხით: *"ჩვენ მთლიანად ახალი გუნდი გვყავს. ახლა ტექნიკურ ფეხბურთზე უფრო ვაკეთებთ აქცენტს, ვიდრე ძალისმიერზე. ახალ სტილს კი ჩვენი მხრიდან შეგუება სჭირდება. ჩვენს თამაშში მეტი დინამიკა იმის წყალობით არის, რომ ბევრი ნიჭიერი შემტევი ფეხბურთელი გვყავს. ამ მხრივ ედენ აზარი სხვებისგან მაინც გამორჩეულია. მან იოლად მონახა საერთო ენა ოსკარსა და მატასთან. მათი ერთად ყურება ერთი სიამოვნებაა".*

## კიდევ ერთი შეთავაზება

ათიოდე დღის წინ ვწერდით, რომ "ჩელსი" **ფრენკ ლემპარდისა** და **ეშლი კოულისთვის** ახალი, ხანგრძლივვადიანი კონტრაქტების შეთავაზებას არ აპირებს. და აი, ამ დღეებში კლუბმა ვეტერანებს კიდევ ერთხელ მიმართა წინადადებით, გაეფორმებინათ თითოწლიანი კონტრაქტები. ლემპარდზე ჯერ ვერაფერს მოგახსენებთ, კოულის პოზიცია კი ცნობილია, ის ამ პირობებზე თანახმა არ არის. შესაბამისად, სეზონის ბოლოს 31 წლის მარცხენა მცველი "სტემფორდ ბრიჯს" აუცილებლად დატოვებს. ჩვენი ვარაუდით, ლემპარდი საბოლოოდ მაინც დათანხმდება **რომან აბრამოვიჩის** წინადადებას. 34 წლის ვარსკვლავს კარიერის დასრულება სწორედ "ჩელსიში" სურს.

ამბები

## აგუეროს ბრალდება

"მანჩესტერ სიტის" 25 წლის არგენტინელმა თავდამსხმელმა **სერხიო აგუერომ** ბოლო პერიოდში პრემიერლიგელი მსაჯების მუშაობით უკმაყოფილება გამოთქვა და განაცხადა, რომ ისინი ინგლისელ ფეხბურთელებს ბევრად მეტს პატიობენ, ვიდრე ლეგიონერებს, მაგრამ ამასთან მას ესმის, თუ რატომ ხდება ეს. "ფულჰემთან" შეხვედრის დასრულების შემდეგ არბიტრების მოქმედებით უკმაყოფილო იყო **რობერტო მანჩინიც**. აი, რა თქვა აგუერომ: *"ძალიან ვცდილობ, სამსაჯო საკითხებზე არასოდეს ვილაპარაკო, რადგან მგონია, რომ ისინი ყველა გუნდის სასარგებლოდ თუ საზიანოდ ცდებიან. ეს მომავალშიც ასე იქნება. ამისგან დაზღვეული არავინ არის. ასე იყო "ფულჰემთანაც" - მარკ ჰალსი შეცდა. არა უშავს, ხდება ხოლმე. მესმის ისიც, რომ ადგილობრივი ფეხბურთელებისადმი ყველა ქვეყანაში განსაკუთრებული დამოკიდებულებაა, მაგრამ მაინც მგონია, რომ უცხოელებისადმი ნდობა უფრო უნდა გაიზარდოს, რადგან არასამართლიანია, როცა ვიღაცას შენზე მეტი პრივილეგია აქვს. სხვა თუ არაფერი, ჩემპიონატში ინგლისელების რაოდენობა ჩვენს რიცხვს ბევრად არ აჭარბებს".*

## პარდიუ ნაკრებს უმიზნებს

ერთ კვირაზე ცოტა მეტი იქნება, რაც **ალან პარდიუმ** "ნიუკასლთან" კონტრაქტი 2020 წლამდე გააგრძელა, მაგრამ 51 წლის სპეციალისტი მაინც არ მალავს, რომ ოდესმე, ოღონდ ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ, დიდი სურვილი აქვს, ძალები ინგლისის ნაკრებში მოსინჯოს. *"ვოცნებობ, რომ ქვეყნის უმთავრეს გუნდთან მუშაობის შანსი მომეცეს. იმედია, კარიერის რომელიღაცა ეტაპზე ეს ახდება. ყოველთვის მიმაჩნდა, რომ ჩვენს გუნდს აქვს წარმატების მიღწევის შანსი. ამ ეტაპზე ამის გაკეთება ძალიან ძნელი იქნება, რადგან როი ჰოჯსონის განკარგულებაში იმდენი მაღალი კლასის ფეხბურთელი ნამდვილად არ არის, რამდენსაც შეჩვეულები ვართ. თუკი ამის შანსი მომეცემა, მასზე უარს ნამდვილად ვერ ვიტყვი,"* – აცხადებს პარდიუ.

მანჩესტერ იუნაიტედი

# უფრო მეტი, ვიდრე ფეხბურთი

"მანჩესტერ იუნაიტედის" 27 წლის შემტევმა ნახევარმცველმა **ეშლი იანგმა** "ტოტენჰემთან" შეხვედრაზე დააგვიანა და ამას მართლა საპატიო მიზეზი ჰქონდა. ეშლი ამჟამად ტრავმირებულია და სტადიონზე მხოლოდ მაყურებლის რანგში მიდიოდა. გზად ის ავტოსაგზაო შემთხვევას შეესწრო, როცა "რეინჯ როვერ სპორტმა" (რომელიც 2.5 ტონამდე იწონის და საკმაოდ მძიმე მანქანებში გადის) 8 წლის ბიჭს გზაზე გადასვლისას დაარტყა. მიუხედავად იმისა, რომ თამაში წუთი-წუთზე იწყებოდა, სასწრაფო დახმარების მანქანის მოსვლამდე იანგს იქიდან ფეხის მოცვლაზეც კი არ უფიქრია. აი, რა უთხრა შემთხვევის თვითმხილველმა **მაიკლ რობინსონმა** "სანს": *"როცა ადგილზე მივედი, დავინახე, რომ დაშავებულ ბავშვს, რომელიც მთლიანად სისხლში იყო მოთხვრილი და მამამისს, ეშლი იანგი ადგა თავზე. ის ტელეფონზე ვიღაცას ელაპარაკებოდა და ძალიან კონცენტრირებულად გამოიყურებოდა. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ მომხდარის გარდა სხვა რამე აღარც აინტერესებდა. სასიამოვნო სანახავი იყო".*

დაბოლოს, გეტყვით, რომ დაზარალებულს თავი რამდენიმეგან აქვს გატეხილი და ტვინის საკმაოდ მძიმე შერყევა აქვს მიღებული.

## მორიგი ტალანტი თეატრის სცენაზე

"სქაი სპორტსის" ცნობით, ზაგრების "დინამოს" 16 წლის ნახევარმცველის **ალენ ჰალილოვიჩის** შეძენით "მანჩესტერ იუნაიტედის" გარდა "რეალიც" არის დაინტერესებული. თინეიჯერი ფეხბურთელი ბოლო წლების ხორვატული ფეხბურთის გამორჩეულ ტალანტად მიიჩნევა. ასაკის მიუხედავად მას "დინამოს" რიგებში დებიუტი უკვე ჰქონდა და თანაც "ჰაიდუკთან" პრინციპულ დაპირისპირებაში (3:1 "დინამოს" სასარგებლოდ). მიუხედავად ევროგრანდების დაინტერესებისა, თავად ალენი უცხოურ ვარიანტებზე ჯერ არ ფიქრობს და აცხადებს: *"გაზეთებში წავიკითხე, რომ თამაშის სტილით ლიონელ მესის მადარებენ, მაგრამ ეს აშკარად გადაჭარბებულია. მე მისით აღფრთოვანებული ვარ. ლეო ჩემი თაობის ფეხბურთელებისთვის მისაბაძ მაგალითად დიდი ხანია იქცა. ამ ეტაპზე მასთან გატოლებას მსოფლიოში არავინ იმსახურებს. გაზეთებში "იუნაიტედისა" და "რეალის" დაინტერესებაზე წავიკითხე. სიმართლე გითხრათ, ამ თემაზე ფიქრიც არ მინდა. "დინამოს" ხელმძღვანელობა ჩემს ბედს თავად გადაწყვეტს. იქამდე კი უნდა ვეცადო, რომ მაქსიმალურ პროგრესს მივაღწიო. სხვა რამეზე არც ვფიქრობ,"* – განუცხადა ჰალილოვიჩმა ხორვატულ Jutarnji List-ს.



ლი იანგი დაზარალებულ მოზარდს სასწრაფოს მოსვლამდე თავზე ადგა

არსენალი



აბუ დიაბის ჩელსისთან თამაში ოცდღიან დასვენებად დაუჯდა

# ავანტიურისტი არსენი

"არსენალის" 26 წლის საყრდენმა ნახევარმცველმა **აბუ დიაბიმ** "ჩელსისთან" შეხვედრაში ბარძაყის ტრავმა მიიღო და ახლა მას 20 დღით დასვენება მოუწევს. შეგახსენებთ, რომ ფეხბურთელს პრაქტიკულად მთელი შარშანდელი სეზონი არ უთამაშია. **არსენ ვენგერის** თქმით, ის გარკვეულწილად ავანტიურაზე წავიდა, რამაც არ გაამართლა. ფრანგი სათამაშოდ მზად არ აღმოჩნდა. *"დიაბის ჯანმრთელობის ისტორია კარგად ვიცი. ბუნებრივია, სიტუაციას წინასწარ ვაფასებდი კიდეც. ახლა ვაღიარებ, რომ ძირითადში მისი დაყენება არ შეიძლებოდა, მაგრამ ძალიან მინდოდა, რომ სხვა ტრავმირებულების მოედანზე დაბრუნებას ის ფორმაში შეხვედროდა. ჩვენ ხომ უახლოეს ხანებში ჯეკ უილშირის, ფრანსის კოკლენისა და ემანუელ ფრიმპონგის გამოჯანმრთელებასაც ველით. ცოტა მოგვიანებით შემოგვიერთდება ტომაშ როსიცკიც.*

*უშუალოდ თამაშს რაც შეეხება, ფეხბურთელები იმედგაცრუებულები არიან, რადგან მათ ისეთი თამაში ნაავეს, რომელიც არ უნდა ნაეგოთ. მე შემიძლია მათი განცდების აღქმა. ვფიქრობ, ამ წაგებას გადავიტანთ. მსგავსი რამ გუნდს სეზონის განმავლობაში ნებისმიერ მომენტში შეიძლება დაემართოს. უნდა ითქვას, რომ ორივე გოლის მომენტში ჩემი ფეხბურთელები მეტისმეტად პასიურად მოქმედებდნენ და ყველაფერი სწორედ ამის ბრალია. ძნელია, გაიხსენო შემთხვევა, როცა გუნდს გასვლით თამაშში ორი გოლი ასე იოლად გააქვს. თუმცა ვაღიარებ, რომ საქმე ძალიან ძლიერ მეტოქესთან გვქონდა".*

## გიბსის იმედები

სეზონის დაწყებიდან დღემდე "არსენალის" დაცვის მარცხენა ფლანგზე **კირან გიბსი** თამაშობს. 23 წლის ინგლისელი ფეხბურთელი ბოლო ორი წლის განმავლობაში ტრავმებისგან იტანჯებოდა, რის გამოც ვენგერმა **ანდრე სანტოსიც** შეიძინა. ბედის ირონიაა, რომ შარშან ბრაზილიელმა განაპირა მცველმაც ტრავმა მიიღო. ერთი პერიოდი ისინი ლაზარეთში ერთად იმყოფებოდნენ. გიბსი კმაყოფილია იმით, თუ როგორ მიდის წელს მისი საქმეები: *"ვგრძნობ, რომ სულ უფრო კარგად გამომდის თამაში და ეს გუნდზეც დადებითად აისახება. ამ წუთას არაფერი მაწუხებს და ყველაფერი სწორედ ამის დამსახურება მგონია. ექიმებსა და ფიზმომზადების სპეციალისტებს დიდ მადლობას ვუხდი იმ დიდი ამაგისთვის, რაც ამ თვეების განმავლობაში დამდეს".*

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ინგლისი. პრემიერლიგა

**ქუინზ პარკი–ვესტ ჰემი 1:2**

**ქუინზ პარკი:** ჟულიო სეზარი – ონუოჰა (84. ჯუნიორ-ჰოილეტი), მ'ბია, ნელსენი, ჰილი – პარკი (55. დიაკიტე), ფორლინი, გრანერო, რაიტ-ფილიპსი (55. ტაარაბტი) – სისე, ზამორა

**ვესტ ჰემი:** იაასკელაინენი – დემელი, რიდი (23. ტომკინსი), კოლინსი, ო'ბრაიენი (35. მაკარტნი) – ნოუბლი, დიამე, ვას ტე, ნოლანი – ჯარვისი, კოული (72. კეროლი)

**გოლები:** 0:1 ჯარვისი (3), 0:2 ვას ტე (35), 1:2 ტაარაბტი (57),

**გაფრთხილება:** ტაარაბტი, დიაკიტე - დიამე, ნოუბლი, მაკარტნი, იაასკელაინენი, ნოლანი, კოული, კოლინზი, ტომკინსი

**გაძევება:** დიაკიტე (75)

**კარში დარტყმა:** 10-7 (5-4) **კუთხური:** 3-3 **თამაშგარე:** 3-3 **ჯარიმა:** 18-11 **ბურთის ფლობა:** 52%-48%

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 6 | 5 | 1 | 0 | 11-3 | 16 |
| 2. ევერტონი | 6 | 4 | 1 | 1 | 12-6 | 13 |
| 3. იუნაიტედი | 6 | 4 | 0 | 2 | 14-9 | 12 |
| 4. სიტი | 6 | 3 | 3 | 0 | 12-8 | 12 |
| 5. ტოტენჰემი | 6 | 3 | 2 | 1 | 11-8 | 11 |
| 6. ვესტ ჰემი | 6 | 3 | 2 | 1 | 7-5 | 11 |
| 7. ვესტ ბრომვიჩი | 5 | 3 | 1 | 1 | 7-4 | 10 |
| 8. არსენალი | 6 | 2 | 3 | 1 | 10-4 | 9 |
| 9. ფულჰემი | 6 | 3 | 0 | 3 | 13-9 | 9 |
| 10. ნიუკასლი | 6 | 2 | 3 | 1 | 8-8 | 9 |
| 11. სუონსი | 6 | 2 | 1 | 3 | 10-9 | 7 |
| 12. სტოკ სიტი | 6 | 1 | 4 | 1 | 6-5 | 7 |
| 13. სანდერლენდი | 5 | 1 | 4 | 0 | 5-4 | 7 |
| 14. ლივერპული | 6 | 1 | 2 | 3 | 9-12 | 5 |
| 15. ასტონ ვილა | 5 | 1 | 1 | 3 | 5-9 | 4 |
| 16. უიგანი | 6 | 1 | 1 | 4 | 5-11 | 4 |
| 17. საუთჰემპტონი | 6 | 1 | 0 | 5 | 10-18 | 3 |
| 18. ნორვიჩი | 6 | 0 | 3 | 3 | 4-13 | 3 |
| 19. რედინგი | 5 | 0 | 2 | 3 | 6-11 | 2 |
| 20. ქუინზ პარკი | 6 | 0 | 2 | 4 | 4-13 | 2 |

ესპანეთი. ლა ლიგა. VI ტური

**ხეტაფე–მალიორკა 1:0**

**ხეტაფე (4-2-3-1):** მოია – ვალერა, აბრაამი, რაფა, მ. ტორესი – ხ. ტორესი, ლასენი (36. პედრო ლეონი) – ლაფიტა (81. გავილანი), ბარადა, დ. კასტრო – ა. ვასკესი (57. ალკასერი).

**მალიორკა (4-4-2):** ავატე – ჩ. ნავარო, ჟერომელი, ა. კონსეისაო, ა. ლოპესი – ნსუე, ჟოაო ვიქტორი, პინა (70. მარტი), მ. პერეირა (21. ნუნიეში) – ჰემედი (52. არისმენდი), ვიქტორი.

**გოლი:** 1:0 დ. კასტრო (49)

**გაფრთხილება:** კასტრო, პედრო ლეონი –ჟოაო ვიქტორი, ვიქტორი, ჟერომელი

**გაძევება:** ჩ. ნავარო (11)

**კუთხური:** 12-2; **ჯარიმა:** 18-12; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 14-9 (6-4); **ბურთის ფლობა:** 72%-28%.

**მაყურებელი:** 7 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 6 | 6 | 0 | 0 | 17-5 | 18 |
| 2. ატლეტიკო | 6 | 5 | 1 | 0 | 16-7 | 16 |
| 3. მალაგა | 6 | 4 | 2 | 0 | 10-2 | 14 |
| 4. სევილია | 6 | 3 | 2 | 1 | 8-5 | 11 |
| 5. მალიორკა | 6 | 3 | 2 | 1 | 7-4 | 11 |
| 6. რეალი | 6 | 3 | 1 | 2 | 12-5 | 10 |
| 7. ვალიადოლიდი | 6 | 3 | 0 | 3 | 10-6 | 9 |
| 8. სოსიედადი | 6 | 3 | 0 | 3 | 8-9 | 9 |
| 9. ბეტისი | 6 | 3 | 0 | 3 | 10-13 | 9 |
| 10. ვალენსია | 6 | 2 | 2 | 2 | 8-8 | 8 |
| 11. ხეტაფე | 6 | 2 | 1 | 3 | 7-10 | 7 |
| 12. ვალეკანო | 6 | 2 | 1 | 3 | 7-13 | 7 |
| 13. ლევანტე | 6 | 2 | 1 | 3 | 7-13 | 7 |
| 14. სელტა | 6 | 2 | 0 | 4 | 7-8 | 6 |
| 15. სარაგოსა | 6 | 2 | 0 | 4 | 5-8 | 6 |
| 16. დეპორტივო | 6 | 1 | 3 | 2 | 8-12 | 6 |
| 17. გრანადა | 6 | 1 | 2 | 3 | 4-9 | 5 |
| 18. ბილბაო | 6 | 1 | 2 | 3 | 8-14 | 5 |
| 19. ოსასუნა | 6 | 1 | 1 | 4 | 7-10 | 4 |
| 20. ესპანიოლი | 6 | 0 | 1 | 5 | 7-12 | 1 |

## უცხოური ფეხბურთი

### ბრაზილია. სერია A. XXVII ტური

**ვასკო და გამა–ფიგეირენსე 3:1**

**გოლები:** 0:1 კაიო (13), 1:1 ლუანი (34), 2:1 კ. ტენორიო (51), 3:1 ჟუნინიო (80).

**პორტუგეზა–ატლ. მინეირო 1:1**

**გოლები:** 1:0 ლეო სილვა (51), 1:1 ბერნარდი (66).

**ნაუტიკო–ატლ. გოიანიენ. 2:0**

**გოლები:** 1:0 კიეზა (19-პენ), 2:0 კიეზა (41).

**პალმეირასი–პონტე პრეტა 3:0**

**გოლები:** 1:0 ბარკოსი (12), 2:0 ბარკოსი (15), 3:0 მარკოს ასუნსაო (60).

**ფლამენგო–ფლუმინენსე 0:1**

**გოლი:** 0:1 ფრედი (18).

**კორინთიანსი–სპორტ რესიფე 3:0**

**გოლები:** 1:0 პაულინიო (55), 2:0 რომარინიო (71), 3:0 რომარინიო (85).

**კურიტიბა–სან პაულო 1:1**

**გოლები:** 1:0 ევერტონ რიბეირო (60-პენ), 1:1 ოსვალდო (84).

**ბაია–ბოტაფოგო 2:0**

**გოლები:** 1:0 ფაელი (19), 2:0 ელდერი (86).

**გრემიო–სანტოსი 1:1**

**გოლები:** 1:0 ვერლეი (34), 1:1 ბრუნო როდრიგო (58).

**კრუზეირო–ინტერნასიონ. 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფლუმინენსე | 27 | 17 | 8 | 2 | 44-18 | 59 |
| 2. ატლ. მინეირო | 27 | 15 | 8 | 4 | 41-20 | 53 |
| 3. გრემიო | 27 | 15 | 5 | 7 | 38-22 | 50 |
| 4. ვასკო და გამა | 27 | 13 | 8 | 6 | 35-27 | 47 |
| 5. სან პაულო | 27 | 13 | 4 | 10 | 39-29 | 43 |
| 6. ინტერნასიონ. | 27 | 10 | 11 | 6 | 33-23 | 41 |
| 7. ბოტაფოგო | 27 | 11 | 7 | 9 | 41-35 | 40 |
| 8. კორინთიანსი | 27 | 10 | 9 | 8 | 33-26 | 39 |
| 9. კრუზეირო | 27 | 10 | 6 | 11 | 32-36 | 36 |
| 10. ნაუტიკო | 27 | 10 | 4 | 13 | 33-42 | 34 |
| 11. ფლამენგო | 27 | 9 | 7 | 11 | 28-37 | 34 |
| 12. ბაია | 27 | 8 | 10 | 9 | 29-30 | 34 |
| 13. სანტოსი | 27 | 8 | 10 | 9 | 32-36 | 34 |
| 14. პონტე პრეტა | 27 | 8 | 10 | 9 | 30-35 | 34 |
| 15. პორტუგეზა | 27 | 8 | 9 | 10 | 29-31 | 33 |
| 16. კურიტიბა | 27 | 8 | 5 | 14 | 39-47 | 29 |
| 17. სპორტ რესიფე | 27 | 6 | 9 | 12 | 23-38 | 27 |
| 18. პალმეირასი | 27 | 7 | 5 | 15 | 28-36 | 26 |
| 19. ფიგეირენსე | 27 | 5 | 7 | 15 | 30-48 | 22 |
| 20. ატლ. გოიანიენ. | 27 | 4 | 8 | 15 | 27-48 | 20 |

**ბომბარდირები:** 13 – ფრედი (ფლუმინენსე); 11 – ლუის ფაბიანო (სან პაულო), ბრუნო მინეირო (პორტუგეზა), ვაგნერ ლავი (ფლამენგო); 9 – ალეკსანდრო (ვასკო და გამა); ბარკოსი (პალმეირასი); კაიო (ფიგეირენსე), ალოიზიო (ფიგეირენსე), კიეზა (ნაუტიკო), ველინგტონ პაულისტა (კრუზეირო).

# ფლუ გაფრინდა

## ატლეტიკო მინეირო აშკარად კრიზისშია



ფლუმინენსემ ფრედის ულამაზესი გოლით მოიგო

**სერია A-ს 27-ე ტურის შემდეგ, სხვაობა ლიდერსა და მდევრებს შორის კიდევ უფრო გაიზარდა. "ფლუმინენსემ" გამარჯვება ბრაზილიის ყველაზე დიდ და ცნობილ დერბში მოიპოვა, ხოლო "ატლეტიკო მინეიროს" და "გრემიოს" კვლავ ფეხი დაუცდათ...**

### ფლა-ფლუ

ტურის ცენტრალური მატჩი, რა თქმა უნდა, რიოში, **ჟოაო ავულანჟის** სახელობის ოლიმპიურ სტადიონ, იმავე "ენჟენაოზე" გაიმართა. "ფლა" და "ფლუ" ბრაზილიის ჩემპიონატში 49-ე თამაშს ატარებდნენ, სულ კი ეს მათი 307-ე შეხვედრა იყო. "ფლამენგომ" რამდენიმე დღით ადრე საკუთარ მოედანზე "ატლეტიკო მინეირო" დაამარცხა და "ფლუს" საჩუქარი გაუკეთა. "ფლას" ქომაგების მხურვალე მხარდაჭერის და უამრავი საგოლე მომენტის შექმნის მიუხედავად, გამარჯვება მაინც სტუმრებს დარჩათ. ერთადერთი გოლი მატჩის მე-18 წუთზე **ფრედმა**, მაკრატელა დარტყმით გაიტანა. მასპინძლებს დიდი უპირატესობა ჰქონდათ, **ვაგნერ ლავმა** გაიტანა კიდეც, თუმცა ბურთი თამაშგარე მდგომარეობის გამო არ ჩაითვალა. შეხვედრა, როგორც დერბის შეეფერება, უხეში იყო და მატჩის მთავარ არბიტრ **მარსელო დე ლიმა ენრიკეს** ჯიბიდან ბარათის ამოღება ხშირად უწევდა – საბოლოოდ მან ფეხბურთელებს 9 ყვითელი ბარათი და ერთი წითელი (ბოლო წუთზე "ფლამენგოს" მცველმა **რამონმა** მიიღო) უჩვენა.

"ფლას" შეეძლო მატჩის გადარჩენა - 87-ე წუთზე მასპინძლებმა პენალტის დარტყმის უფლება მიიღეს, მაგრამ გუნდის არგენტინელმა ლეგიონერმა **დარიო ბოტინელიმ დიეგო კავალიერის** ვერ აჯობა. საბოლოოდ 0:1 და ეს გამარჯვება "ფლუსთვის" მე-100 გამოდგა ფლამენგოსთან მატჩებში, თუმცა 107 მოგებით "მენგო" ჯერ ისევ წინ არის, კიდევ 99 მატჩი ფრედ დასრულდა. რაც შეეხება "ბრაზილეიროს" სტატისტიკას, აქ ასეთი სიტუაციაა: 16 მატჩი "ფლამენგომ" მოიგო, 14 ფრედ დასრულდა, ხოლო "ფლუმინენსემ" მე-19 შეხვედრაში იმარჯვა.

მიუხედავად მარცხისა, "ფლამენგოს" ერთ-ერთი ლიდერი **ლიედსონი** საკუთარი გუნდის თამაშით კმაყოფილი იყო: *"ჩვენ ძალიან კარგად ვითამაშეთ, უპირატესობას მთელი მატჩის განმავლობაში ვფლობდით და გოლებიც უნდა გაგვეტანა. გაცილებით უკეთეს შედეგს ვიმსახურებდით. მათ ჩვენი შეცდომით ისარგებლეს და გოლი ჯარიმის შემდეგ გაგვიტანეს, ეს იყო და ეს, სხვა საგოლე მომენტი არ ჰქონიათ, ჩვენ კი, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, პენალტი ვერ გამოვიყენეთ და გარდა ამისა ვაგნერ ლავის გოლი არ ჩაგვითვალეს. მიუხედავად მარცხისა, მე კმაყოფილი ვარ ჩვენი თამაშით, "ფლამენგო" აშკარად წინ მიდის და ამას ყველა ხედავს".*

### გამარჯვების ტოლფასი ქულა

"გრემიომ" ზედიზედ მესამე ფრე ითამაშა, ამჯერად შინ "სანტოსთან", რომელსაც შეუძლია ამ ქულით იამაყოს. საქმე იმაშია, რომ სტუმრებს შეხვედრის მთავარმა არბიტრმა **ნილსონ ნოგეირა დიასმა, ნეიმარი**, უკვე 53-ე წუთზე გაუძევა. "სანტოსმა" ანგარიშის გათანაბრება ამის შემდეგ შეძლო და ბოლოს კინალამ მოიგო – შეტევებში დიდი ძალებით წასულ "გრემიოს" 94-ე წუთზე სტუმართა სწრაფი კონტრშეტევა გამოეპარა. **ბერნარდო მარსელო გრეოსთან** ერთი-ერთზე გავიდა, მაგრამ მასპინძელთა საყრდენმა **ლეო გაგომ** დარტყმა არ აცადა და ზედ საჯარიმოს ხაზთან წააქცია. გაგომ წითელი მიიღო, ჯარიმა კი იმავე ბერნარდომ დაარტყა და ბურთი ხარიხას მოხვდა, მატჩიც აქვე დასრულდა.

შეხვედრის შემდეგ მსაჯის მოქმედებით აღშფოთებულნი იყვნენ, როგორც ნეიმარი, ასევე "სანტოსის" მწვრთნელი **მურისი რამალიო.** "გრემიოს" ფეხბურთელები ნეიმარს მთელი მატჩის განმავლობაში ფეხებზე ურტყამდნენ, რაც მის საფუძვლიან აღშფოთებას იწვევდა. ერთ ეპიზოდში, როდესაც მან არბიტრს უსაყვედურა, ნოგეირა დიასმა ნეიმარს ყვითელი უჩვენა, ზუსტად ორ წუთში კი, იმის გამო, რომ "სანტოსის" ლიდერმა ყოფილ თანაგუნდელ **პარას** ფეხი დაადგა, პირდაპირ წითელი ბარათი ამოუღო.

*"ნეიმარს მთელი მატჩის განმავლობაში განზრახ ურტყამდნენ, მაგრამ მსაჯს ამაზე რეაქცია არ ჰქონდა, შემდეგ კი ის პარასთან ორთაბრძოლისას დაეცა და არბიტრმა მას წითელი უჩვენა, არადა, პარას იმ ეპიზოდში არც არაფერი ტკენია და არც კი გაუფორმებია. დიასმა ზედმეტი სიმკაცრე გამოიჩინა, რისი მიზეზიც, მხოლოდ და მხოლოდ, ნეიმარის ფაქტორი იყო. მას აშკარად განსხვავებულად ექცევიან და თითქოს არბიტრები მასთან ჯიბრში დადგომას საკუთარ მოვალეობად თვლიან. ჩემი აზრით ნეიმარმა ბრაზილია უნდა დატოვოს, რადგან მისთვის ასეთ პირობებში თამაში შეუძლებელია"* – განაცხადა აღშფოთებულმა მურისი რამალიომ.

სხვათა შორის, ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ნეიმარს მოედნიდან საეჭვო სიტუაციაში აძევებენ. ცოტა ხნით ადრე მან წითელი გოლის აღნიშვნის დროს, ტრიბუნებიდან გადმოგდებული ნიღბის გაკეთებისთვის მიიღო.

### ატლეტიკომ ისევ ვერ მოიგო

ისევ ვერ მოიგო **რონალდინიოს** "ატლეტიკო მინეირომ". **კუკას** გუნდმა, ამჯერად "პორტუგეზა" ვერ დაამარცხა და მოუგებელი სერია ოთხ მატჩამდე გაზარდა. მინას-ჟერაესის შტატის გუნდი აშკარად კრიზისშია და თუ ასე გააგრძელა, მალე მეორე ადგილის დათმობაც მოუწევს.

ამ ტურში ასევე "პალმეირასის" ზედიზედ მეორე გამარჯვება უნდა გამოვყოთ. **ერნან ბარკოსის** დუბლის და **მარკოს ასუნსაოს** გოლის წყალობით, **ჟილსონ კლეინას** გუნდმა "პონტე პრეტა" დაამარცხა და ახლა, მე-16 ადგილზე მყოფ "კურიტიბას" მხოლოდ 3 ქულით ჩამორჩება.

### არგენტინა. ტორნეო ინისიალი. IX ტური.

**კილმესი–ბელგრანო 1:1**

**გოლები:** 1:0 კაუტერუკიო (63), 1:1 ფარე (68).

**ოლ ბოისი–ლანუსი 2:1**

**გოლები:** 0:1 ვ. აიალა (26), 1:1 ბორგელიო (30), 2:1 ვილდოსო (66-პენ).

**გოდოი-ესტუდიანტესი 1:0**

**გოლი:** 1:0 ობოლო (67).

**ატლ. რაფაელა–არ. ხუნიორსი 5:3**

**გოლები:** 1:0 კარინიანო (7-პენ), 1:1 ინიგესი (26), 2:1 კარინიანო (37), 2:2 მ. ფიგეროა (51), 2:3 ანანგონო (55), 3:3 ფონტანინი (58), 4:3 ფონტანინი (70), 5:3 კარინიანო (75).

**რასინგი–სან ლორენსო 4:0**

**გოლები:** 1:0 ს. სახა (17-პენ), 2:0 ჯენტილეტი (49-საკ. კარში), 3:0 კამპორა (63), 4:0 პროსპერი (78-საკ. კარში).

**არსენალი–რივერი 0:4**

**გოლები:** 0:1 პონსიო (41), 0:2 კ. ლუნა (70), 0:3 როხელიო ფუნეს მორი (81), 0:4 როხელიო ფუნეს მორი (90).

**ველესი–კოლონი 2:4**

**გოლები:** 0:1 გიგლიოტი (6), 0:2 გიგლიოტი (20), 0:3 აჩუკარო (33), 1:3 კაბრალი (42), 2:3 პრატო (80), 2:4 კურუჩეტი (87).

**უნიონი–ინდეპენდიენტე 1:2**

**გოლები:** 0:1 ფარიასი (29), 0:2 ფარიასი (49), 1:2 ჩიაპელო (73).

**ბოკა–სან მარტინი 1:1**

**გოლები:** 0:1 ბოგადო (34-პენ), 1:1 სკიავი (45).

**ტიგრე–ნიუელსი 0:0**

# გოლების წვიმა არგენტინაში

## როგორც იქნა, რივერმა და ინდეპენდიენტემ მოიგეს

**არგენტინაში უჩვეულოდ შედეგიანი ტური გაიმართა – 10 შეხვედრაში გუნდებმა 33 გოლი გაიტანეს, რაც არგენტინის ჩემპიონატისთვის ფანტასტიკური მაჩვენებელია. ისევ ვერ მოიგო "ბოკამ", სამაგიეროდ ხანგრძლივი მოუგებელი სერია დაასრულა "ინდეპენდიენტემ"...**

### ლიდერები ვერ იგებენ

ტორნეო ინისიალის ოთხი ლიდერიდან გამარჯვება ვერც ერთმა მოიპოვა. დაუმარცხებელი "ნიუელს ოლდ ბოისი" ამ ტურამდე მოუგებელ "ტიგრეს" ეწვია და უგოლო ფრეს დასჯერდა. **როდოლფო არუაბარენას** "ტიგრეს" ძალიან კარგი შემადგენლობა ჰყავს, მაგრამ გუნდი 3 ქულის აღებას ვერაფრით ახერხებს. ამ ფრის შემდეგ, ყველანაირი ლოგიკით, **ხერარდო მარტინოს** გუნდს ლიდერობა უნდა დაეთმო, თუმცა "ძველ ბიჭებს" სხვა ლიდერებმაც მიბაძეს.

"ველეს სარსფილდმა" **რობერტო სენსინის** "კოლონს" უმასპინძლა და 2:4 წააგო. სტუმრებს ზედიზედ 4 მატჩში არ ჰქონდათ მოგებული და როგორც იქნა ეს ცუდი სერია დაასრულეს. "კოლონის" მხრიდან დუბლით **ემანუელ გიგლიოტი** გამოირჩა.

ტურის მთავარი სენსაცია "ბომბონერაზე" დაფიქსირდა, სადაც "ბოკა ხუნიორსმა" სან ხუანის "სან მარტინს" ვერ მოუგო, თანაც სტუმრები 39-ე წუთიდან მინდორზე 10 კაცით იყვნენ, რადგან არბიტრმა მათ ლიდერი, **გასტონ კაპრარი** გაუძევა. შეხვედრა ძალიან მოსაწყენი იყო, მაგრამ რამოდენიმე გამორჩეული ფაქტი მაინც მოხდა და ყველას მონაწილე ვეტერანი **როლანდო სკიავი** გახლდათ. 39 წლის ფეხბურთელმა მატჩის 30-ე წუთზე, საკუთარ საჯარიმოში წესები დაარღვია, დაინიშნა პენალტი, რომელიც გოლად **მაურო ბოგადომ** აქცია (კაპრარი პენალტებს მას შემდეგ აღარ ურტყამს, რაც "რასინგთან" მატჩში, გაძევებული მეკარის ნაცვლად კარში ჩამდგარმა ნახევარმცველმა **პელეტიერიმ** მოიგერია მისი დარტყმული). გაშვებული გოლიდან ზუსტად 5 წუთში, **სანტიაგო სილვას** დარტყმული ხელით, მცველების დასახმარებლად ჩასულმა **გასტონ კაპრარიმ** შეაჩერა, რისთვისაც წითელი ბარათი მიიღო. პენალტი სკიავიმ დაარტყა, მაგრამ კარს ააცილა. ტაიმის ბოლო წუთზე კი, ერთბაშად ორი შეცდომის გამოსასწორებლად შეტევაში წასულმა მცველმა, გოლი საჯარიმოს გარედან შესრულებული დარტყმით გაიტანა. მოკლედ, სკიავი ამ მატჩის მთავარი მოქმედი პირი იყო.



როლანდო სკიავიმ (მარჯვნივ) საოცარი მატჩი ჩაატარა

ვერ მოიგო "ბელგრანომაც" – სეზონის ერთ-ერთმა აღმოჩენამ სტუმრად "კილმესის" დამარცხება ვერ შეძლო.

### ბრწყინვალე რასინგი, შესანიშნავი რივერი

ლიდერების უნიათობით "რასინგმა" ისარგებლა, რომელმაც შინ "სან ლორენსო" გაანადგურა და ჩემპიონატში მეორე ადგილზე გადავიდა. ეს შეხვედრაც სავსე იყო უცნაური მოვლენებით: ჯერ იყო და მატჩის მე-17 წუთზე დანიშნული პენალტი გოლად "რასინგის" მეკარემ, **სებასტიან სახამ** აქცია, არადა, სახას ბოლო 11-მეტრიანი 5 წლის წინ ჰქონდა შესრულებული. გარდა ამისა, გოლები საკუთარ კარში **სანტიაგო ჯენტილეტიმ** და **გონსალო პროსპერიმ** გაიტანეს, ხოლო იმავე ჯენტილეტიმ და სტუმართა მცველმა **აბელ მასუეროშ** არბიტრისგან წითლები მიიღეს. რომ შევაჯამოთ: "სან ლორენსომ" 4 გოლი გაუშვა, აქედან ერთი პენალტით მეკარემ გაუტანა, ორი საკუთარმა ფეხბურთელებმა გაიტანეს და ამასთან ერთად, გუნდი 68-ე წუთიდან მოყოლებული მოედანზე 9 კაცით იყო.

ასევე დიდი ანგარიშით მოიგო "რივერ პლეიტმა" და **მატიას ალმეიდამ** დროებით ამოისუნთქა. "ლოს მილიონარიოსის" მსხვერპლი მოქმედი ჩემპიონი, სარანდის "არსენალი" გახდა. ამ შეხვედრაში ორი გოლი **როხელიო ფუნეს მორიმ** გაიტანა, მაგრამ ამაზე მნიშვნელოვანი **კარლოს ლუნას** გოლი იყო – წინა ჩემპიონატის (კლაუსურა) საუკეთესო ბომბარდირმა, როგორც იქნა, ახალი კლუბის მაისურით თავისი პირველი გოლი გაიტანა.

ტურის მოვლენებიდან ასევე "ინდეპენდიენტეს" გამარჯვება უნდა გამოვყოთ. **ერნესტო ფარიასის** დუბლმა არგენტინის ერთ-ერთ ისტორიულ გუნდს 15 მატჩიანი მოუგებელი სერია დაასრულებინა, თუმცა "ინდეპენდიენტე" ჯერ კიდევ რჩება გასავარდნ ზონაში.

ასევე გვერდს ვერ ავუვლით "ატლეტიკო რაფაელა" - "არხენტინოს ხუნიორსის" საოცარ თამაშს, რომელშიც გულშემატკივარმა 8 გოლი იხილა. ჰეთთრიქი "ბაზელის" ყოფილმა ფორვარდმა **სესარ კარინიანომ** გაიფორმა, ხოლო დუბლით თავი მცველმა **ფაბრისიო ფონტანინიმ** გამოიჩინა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნიუელსი | 9 | 5 | 4 | 0 | 10-4 | 19 |
| 2. რასინგი | 9 | 5 | 2 | 2 | 14-5 | 17 |
| 3. ველესი | 9 | 5 | 2 | 2 | 14-8 | 17 |
| 4. ბოკა | 9 | 5 | 2 | 2 | 13-11 | 17 |
| 5. ბელგრანო | 9 | 4 | 4 | 1 | 10-6 | 16 |
| 6. გოდოი კრუსი | 9 | 5 | 1 | 3 | 9-7 | 16 |
| 7. კოლონი | 9 | 4 | 3 | 2 | 15-12 | 15 |
| 8. ატლ. რაფაელა | 9 | 3 | 4 | 2 | 13-10 | 13 |
| 9. ესტუდიანტესი | 9 | 4 | 1 | 4 | 7-8 | 13 |
| 10. რივერი | 9 | 3 | 3 | 3 | 14-11 | 12 |
| 11. არ. ხუნიორსი | 9 | 3 | 3 | 3 | 13-17 | 12 |
| 12. ლანუსი | 9 | 3 | 2 | 4 | 8-6 | 11 |
| 13. კილმესი | 9 | 2 | 5 | 2 | 9-10 | 11 |
| 14. არსენალი | 9 | 3 | 2 | 4 | 7-14 | 11 |
| 15. ოლ ბოისი | 9 | 2 | 4 | 3 | 12-13 | 10 |
| 16. სან ლორენსო | 9 | 2 | 3 | 4 | 6-11 | 9 |
| 17. სან მარტინი | 9 | 2 | 1 | 6 | 11-13 | 7 |
| 18. ინდეპენდიენტე | 9 | 1 | 4 | 4 | 6-11 | 7 |
| 19. ტიგრე | 9 | 0 | 5 | 4 | 9-16 | 5 |
| 20. უნიონი | 9 | 0 | 3 | 6 | 8-15 | 3 |

**სარელეგაციო ცხრილი**

| | თ | ქ | საშ. |
|---|---|---|---|
| 14. რივერი | 9 | 12 | 1.333 |
| 15. ნიუელსი | 85 | 109 | 1.282 |
| 16. კილმესი | 9 | 11 | 1.222 |
| 17. სან ლორენსო | 85 | 100 | 1.176 |
| 18. სან მარტინი | 47 | 55 | 1.170 |
| 19. ინდეპენდიენტე | 85 | 97 | 1.141 |
| 20. უნიონი | 47 | 53 | 1.128 |

**ბომბარდირები:** 6 – ბორგელიო (ოლ ბოისი), სკოკო (ნიუელსი); 5 – კარინიანო (ატლ. რაფაელა), როხელიო ფუნეს მორი (რივერი).

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**

სერია A. VI ტურის შეჯამება

# კონტე ლიპის და ტრაპატონის შეადარეს

## სიმბოლურში არც ერთი უცხოელი არაა!



ანტონიო კონტემ ზდენეკ ზემანს ტრიბუნებიდან აჯობა

ტურის სიმბოლური ნაკრები 3-4-3 ტაქტიკით განვალაგეთ, რაც იმას ნიშნავს, რომ გასულ უქმეებზე ფორვარდებს თავი არ შეურცხვენიათ. რჩეულ თავდამსხმელებზე ერთად შვიდი გოლი მოდის, რომელთაგან სამი **ფაბრიციო მიკოლის** ანგარიშზეა, ორ-ორი კი **როლანდო ბიანკისა** და **ალბერტო ჯილარდინოზე**. დიახ, გასულ ტურში იტალიელმა ფორვარდებმა გაიბრწყინეს, განსაკუთრებით კი ეს ვეტერან მიკოლიზე ითქმის, რომელიც ბოლო პერიოდში, სათადარიგოთა სკამს ხეხავდა. ფაბრიციომ დაამტკიცა, რომ "პალერმოსთვის" უდიდესი ძალაა, მასზე ქვემოთაც გვექნება საუბარი.

ნახევარდაცვაში სამი ტურინელია, ორი "იუვენტინო" და ერთი "გრანატა"... **ანდრეა პიორლომ** და **კლაუდიო მარკიზიომ** "რომას" განადგურებაში დაიდეს ლომის წილი, **ალესანდრო გაციმ** კი "ატალანტასთან" გაიბრწყინა. იქვეა **დანიელ გალოპა**, რომელმაც "მილანთან" შეხვედრაში შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვა და გოლითაც გამოირჩა.

რაც შეეხება დაცვის ხაზს, იქ **დამბროზიოს**, **ტერლიცის** და **კანავაროს** ვხედავთ - პირველმა ორმა ყველა სიკეთესთან ერთად გოლები გაიტანეს, აი მესამე კი "სამპდორიასთან" შეხვედრაში კედელივით იდგა. კარში **ანტონიო მირანტე** დგას, რომელმაც ზუსტად ცხრაჯერ მოიგერია "მილანელთა" დარტყმული...

ბოლოს ისიც ალვნიშნოთ, რომ სიმბოლურ გუნდში არც ერთი უცხოელი არაა, რასაც ორი ახსნა შეიძლება ჰქონდეს: 1. იტალიური კლუბები სულ უფრო ხშირად ენდობიან ადგილობრივ კადრებს და ეს მათი გამიზნული პოლიტიკაა; 2. ფინანსური კრიზისის გამო, იტალიური კლუბები ველარ ყიდულობენ უცხოელ ვარსკვლავებს და ამით, ძალაუნებურად გზას უხსნიან იტალიელ ფეხბურთელებს. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს ამბავი ყველაზე მეტად "სკუადრა აძურას" მთავარ მწვრთნელს **ჩეზარე პრანდელის** აწყობს.

### ტურის გმირი

ტურის გმირი ფაბრიციო მიკოლი გახლავთ, რომლის ჰეთთრიკმაც "პალერმოს" პირველი შეხვედრა მოაგებინა მიმდინარე სეზონში. როდესაც "პალერმოს" **ჯუზეპე სანინიო** ჩაუდგა სათავეში, პირველი ის განაცხადა, რომ ახალ გუნდს აკეთებდა და ვეტერანები თადარიგში გაამწესა, მათ შორის ფაბრიციო მიკოლი. სანინიომ სამი ტური ინვალა, რასაც მისი გათავისუფლება და მთავარი მწვრთნელის პოსტზე **ჯამპიერო გასპერინის** დანიშვნა მოჰყვა. ეს უკანასკნელი მალევე მიხვდა, რომ მიკოლის იგნორირება არცთუ კარგი საქმე იყო და გასულ უქმეებზე, ძირითად შემადგენლობაში დააყენა. შედეგი სახეზეა, მიკოლიმ სამი ბურთი მიართვა "კიევოს" და კიდევ ერთხელ დაგვანახვა მისი უმაღლესი ოსტატობა. მატჩის შემდეგ ფაბრიციო ემოციებს ვერ მალავდა:

*"ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე ბედნიერი დღე ჩემს საფეხბურთო კარიერაში. "პალერმოში" მეექვსე წელია ვთამაშობ და ამ ზაფხულს პირველად ვიგრძენი თავი ზედმეტად... მიუხედავად ამისა, ყურები არ ჩამომიყრია და საბრძოლველად განვეწყვე. ახლიდან, ნულიდან დავიწყე ყველაფერი და მიხარია, რომ ეს გოლებით დამიფასდა. დარწმუნებული ვარ, გასპერინისთან ერთად კრიზისს მალე დავაღწევთ თავს და ცხრილის ზედა ნაწილში ავინაცვლებთ".*

### ტურის მატჩი

ტურის ცენტრალური შეხვედრა ტურინში რომ გაიმართა და "იუვენტუსმა" "რომას" შავი დღე აყარა, გეცოდინებათ... იტალიური სპორტული პრესა ცივი გონებით აფასებს იმას, რაც ამ მატჩში მოხდა და ერთხმად თანხმდება, რომ ეს იყო "ვეკია სენიორას" ერთ-ერთი საუკეთესო თამაში, რაც გუნდს **ანტონიო კონტე** ჩაუდგა სათავეში. მაგალითად, ტურინული გრანდის ცოცხალი ლეგენდა **დინო ძოფი** მიიჩნევს, რომ ასეთი "იუვე" მას მხოლოდ **ჯოვანი ტრაპატონის** და **მარჩელო ლიპის** პერიოდებში ახსოვს:

*"კონტეს "იუვენტუსი" მომავლის ფეხბურთს თამაშობს, თუმცა ამავდროულად, წარსულს მახსენებს. დიახ, ეს "იუვე' იმ ფორმაციის გუნდებს მახსენებს, რომლებსაც ჯოვანი ტრაპატონი და მარჩელო ლიპი წვრთნიდნენ. "რომასთან" თამაშის შემდეგ დავრწმუნდი, რომ "ბიანკონერის" ყველა მწვერვალის დაპყრობა შეუძლია. კარგი იქნება თუ კონტეს სასჯელს მოუხსნიან და მას მშვიდად მიეცემა თავისი მოვალეობის შესრულების საშუალება".*

მოკლედ, "იუვეს" ბანაკში სრული იდილიაა, აი "რომანისტები" კი კარგ შემთხვევაში დაბნეულები არიან... ისინი გაცილებით მეტს ელოდნენ **ზდენეკ ზემანისგან**, რომელიც ზაფხულში ირწმუნებოდა, რომ გუნდი სეზონის სტარტისთვის სრულ მზადყოფნაში იყო. დაიწყო ჩემპიონატი და მას შემდეგ, ჩეხი სპეციალისტი სულ იმას გაიძახის, რომ ეს ის არ არის, რაზეც შეგირდებთან ერთად ვარჯიშებზე მუშაობდა. მოკლედ, ზემანი შეგირდებით უკმაყოფილოა, კლუბის მესვეურები კი მთლიანად გუნდის თამაშით არიან აღშფოთებულნი. მართალია, **როზელა სენსი** "რომას' პრეზიდენტი აღარ არის, მაგრამ კლუბის აქციებს ჯერ კიდევ ფლობს და აქა-იქ, თავის მოსაზრებებსაც აფიქსირებს:

*"ვფიქრობ, რომ ფეხბურთელთა ნაწილი უბრალოდ ვერ შეეწყო ზემანის საფეხბურთო სტრატეგიას და მსოფლმხედველობას. ზდენეკი იმ მწვრთნელთა კატეგორიას მიეკუთვნება, რომელიც საჭირო დროს, საჭირო ადგილზე უნდა აღმოჩნდეს, თორემ საქმე არ გამოუვა. სწორედ ასე იყო "პესკარაში" და ძალიან დამწყდება გული, თუ ასე არ მოხდება "რომას" შემთხვევაში. ზამთრის სატრანსფერო პერიოდში, ზემანმა კიდევ უნდა იზრუნოს გუნდის გაძლიერებაზე და მისთვის სასურველი ფეხბურთელების მოყვანაზე - წინააღმდეგ შემთხვევაში, სეზონის კრახით დასრულების ალბათობა დიდი იქნება".*

### ტურის მოულოდნელობა

ზოგადად, "ტორინოს" მიერ "ატალანტას" ძლევა, თუნდაც გასვლაზე სენსაციათა კატეგორიას არ მიეკუთვნება, მაგრამ თვითონ ანგარიში ნამდვილად გაოცებას იწვევს. ტურინელებმა ბერგამოელებს შავი დღე აყარეს და მეტოქე 5:1-ზე გაანადგურეს. შესანიშნავი შეხვედრა ჩაატარა როლანდო ბიანკიმ, რომელიც შეუჩერებელი იყო, დუბლი შეასრულა და საგოლე პასიც მიითვალა აქტივში. თუმცა, "ტორინოს" წარმატების საიდუმლო უფრო გუნდურობაშია, ვიდრე ინდივიდებში და ეს ასეა ჯერ კიდევ გასული სეზონიდან, როდესაც "გრანატამ" სერია B-ში იპირველა. არადა, საფეხბურთო ექსპერტთა უმეტესობა ელიტაში გაცილებით მეტს "პესკარასგან" მოელოდა, ვიდრე "ტორინოსგან", რადგან "დელფინებს" ერთი შეხედვით ინდივიდუალურად უფრო გამორჩეული ფეხბურთელები ჰყავთ.



ფაბრიციო მიკოლიმ გოლები ტრადიციულად აღნიშნა

მოკლედ, "ტორინომ" ყველა გააკვირვა, რისი ბოლო აკორდიც "ატალანტას" მისსავე მოედანზე განადგურება გახლდათ. გუნდის მთავარი მწვრთნელი **ჯამპიერო ვენტურა** გულშემატკივრებს ჰპირდება, რომ მისი შეგირდები კიდევ უკეთესად ათამაშდებიან: *"ეს ჯერ კიდევ არ არის ყველაფერი და აგერ ნახავთ, ჩემი გუნდი უკეთესად ათამაშდება. ბევრი ფიქრობდა, რომ "ტორინო" გადარჩენისთვის იბრძოლებდა, მაგრამ რეალობა ჯერჯერობით სხვაგვარია. შორს ვარ თვითკმაყოფილებისგან, პირიქით, ჯერ არაფერი მოგვიგია, მაგრამ საკუთარ თავში დარწმუნებულები უნდა ვიყოთ. "ტორინოს" შესწევს იმის ძალა, რომ ევროსაგზურისთვის იბრძოლოს და იმედი მაქვს, ეს ასეც იქნება".*

### ტურის ფრაზები

**ზდენელ ზემანი (რომას მთავარი მწვრთნელი):** *"მოიგო თუ არა ეს მატჩი "იუვენტუსმა" კაბინეტში? - თქვენი კითხვის ქვეტექსტი გასაგებია და გპასუხობთ, რომ ამჯერად, ტურინულმა გუნდმა სამართლიანად მოიგო".*

**მასიმილიანო ალეგრი (მილანის მთავარი მწვრთნელი):** *"გასულ სეზონში, საშუალო დონის გუნდებთან სტაბილურად ვიგებდით და ძლიერებთან ვაგებდით, იქნებ წელს პირიქით იყო... მერე რას მოგვცემს ეს? - წარმოდგენა არ მაქვს".*

**ანდრეა სტრამაჩონი (ინტერის მთავარი მწვრთნელი):** *"ძნელბედობამ "ინტერი" გააძლიერა და სწორ გზაზე დააყენა. როგორც ჩანს, ჩავარდნა ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო, რადგან დღეს, თითოეულ ჩემს შეგირდში უდიდეს მოტივაციას ვხედავ".*

**ლაშა წიკლაური**

VI ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით




მსაჯობა



სევილიელები მსაჯის გადაწყვეტილებას აპროტესტებენ

## მსაჯი, რომელსაც წყობიდან გამოჰყავხარ

### სევილია-ბარსას რეფერი ორივე მხარემ შერისხა

„სევილია" **მატეუ ლაოსის** მსაჯობით აღშფოთებული დარჩა. შეგახსენებთ, რომ ანდალუსიელთა და კატალონიელთა დაპირისპირებაში, რომელიც „ბარსელონამ" **დავიდ ვილიას** მიერ 93-ე წუთზე გატანილი გოლის წყალობით 3:2 მოიგო, ვალენსიელმა მსაჯმა ორი სევილიელი გააძევა, გუნდის ჩილელი ნახევარმცველი **გარი მედელი** და მთავარი მწვრთნელი **მიჩელი**. „სევილიამ" ბოლო 7 მატჩიდან 6 წააგო და ერთი ფრედ დაასრულა, როცა მსაჯი ლაოსი იყო.

გასულ სეზონში მატეუ ლაოსმა „რეალთან" მატჩში დაჩაგრა „სევილია" - „სანტიაგო ბერნაბეუზე" მან **ფედერიკო ფასიოს** 100%-იანი გოლი გააუქმა, შემდეგ კი **გრანეროს** მაშინაც კი არ აძევებდა, როცა მეორე ყვითელი ბარათი აჩვენა.

**ხოსე მარია დელ ნიდო**, „სევილიას" პრეზიდენტი, რომელიც, როგორც წესი, იშვიათად ლაპარაკობს მსაჯობაზე, უსამართლობაზე ამახვილებს ყურადღებას. ამიტომაც, საფეხბურთო კლუბმა „სევილიამ" გადაწყვიტა უჩივლოს მატჩის არბიტრს და გაასაჩივროს **ივან რაკიტიჩის** ყვითელი ბარათი, რომელიც ხორვატი ნახევარმცველისთვის მე-5 გამოდგა და ის ვიგოში თამაშს გამოტოვებს, აგრეთვე მედელისა (**სესკ ფაბრეგასმა**, თითქოს, ისიმულიანტა) და მიჩელის გაძევებები (მიჩელი მე-4 მსაჯთან კამათისთვის გააძევეს). „სევილია" ფეხბურთის ფედერაციისგან სამივე ამ ეპიზოდის შესწავლას მოითხოვს. მატეუ ლაოსის რაპორტში წერია, რომ მიჩელმა მსაჯობას უსირცხვილო უწოდა.

მატეუ ლაოსი ისეთი მსაჯია, რომ ამ შეხვედრის მეორე მხარეც კი უკმაყოფილო დატოვა - **ჩავი ერნანდესი** ამტკიცებს, რომ ლაოსი იმ ჯაიდის მსაჯია, რომელსაც შეუძლია თავისი უაზრო გადაწყვეტილებებით წყობიდან გამოგიყვანოს. *„ეს რეფერი ორივე გუნდს ვნებს. ის თამაშის სადავეებს ხელიდან უშვებს. ის საფეხბურთო თვალსაზრისით წყობიდან გამოგიყვანს, იმიტომ, რომ აშკარა ჯარიმებს არ დებს, თანაც ამას ყოველგვარი მიკერძოების გარეშე აკეთებს. მაგრამ ამავე დროს, ვიცით მისი სტილი და შესაბამისად ვმოქმედებთ"*, - განაცხადა ჩავიმ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სკანდალი

## ლორენტე ვარჯიშიდან გაიქცა

ბილბაოს „ატლეტიკში" სულ მალე დასრულდება ან **ფერნანდო ლორენტეს**, ან **მარსელო ბიელსას** ეპოქა. ამ ორის ერთად ყოფნა უკვე შეუძლებელი მოჩანს. „მეფე-ლომი", როგორც მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონს „ბილბაოს" გულშემატკივრები ეძახიან, ზაფხულში, თითქოს, „იუვენტუსში" გადადიოდა, მაგრამ **ხავი მარტინესის** „ბაიერნში" გაყიდვის (40 მილიონ ევროდ) შემდეგ, ლორენტეს ტრანსფერი შეაფერხეს. ამიტომაც ის კარგა ხანს გუნდთან ერთად არც იყო.

მარსელო ბიელსა ძირითადად შეცვლაზე ათამაშებს ტანმაღალ ფორვარდს. ასე იყო ნაგებულ ბასკურ დერბიშიც. არგენტინელი სპეციალისტი 26 წლის ფორვარდის თამაშით უკმაყოფილო დარჩენილა, რის გამოც მათ შორის ვარჯიშზე კამათი მოხდა, საბოლოოდ, ლორენტემ ბაზა ნაადრევად დატოვა. სავარაუდოდ, ლორენტე იანვარში დატოვებს ბასკურ კლუბს და იტალიაში გადავა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ფერნანდო ლორენტესა და მარსელო ბიელსას შორის შავმა კატამ გაირბინა

ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. სამშაბათის მატჩების წინ

# იუვეს მორიგი გამოცდა

## მომავალი ელ კლასიკო ბენფიკას შანსია?

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მეორე ტურის პირველი დღე განსაკუთრებულ მატჩს არ გვთავაზობს, თუმცა თავისებურად ყველა დუელი საინტერესოა. კლუბების სახელებით თუ ვიმსჯელებთ, ყველაზე ეფექტური „ბენფიკასა" და „ბარსელონას" ჯახია, რომელიც „ესტადიო და ლუჟზე" უნდა გაიმართოს.**

### E ჯგუფი

**ნორდსიელანდი-ჩელსი 22:45**

„იუვენტუსთან" საშინაო ფრე „ჩელსისთვის" ჩემპიონთა ლიგაში მისალები სტარტი გამოდგა, მეორე ტურში კი ლონდონელები ვალდებულები არიან, სამი ქულა მოიპოვონ, რადგან ჩემპიონთა ლიგის დებიუტანტ „ნორდსიელანდს" სტუმრობენ. ლოგიკურად, **რობერტო დი მატეოს** გუნდს დანიის ჩემპიონთან პრობლემა არ უნდა შეექმნას. თანაც, „ჩელსი" კარგ ფორმაშია: თუ არ ჩავთვლით „იუვენტუსთან" და „ქუინზ პარკ რეინჯერსთან" დაფიქსირებულ ფრეებს, „არისტოკრატებმა" სეზონი იდეალურად დაიწყეს, გასულ უქმეებზე კი დედაქალაქურ დერბიში „არსენალი" 2:1 დაამარცხეს.

„ჩელსისთვის" მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბოლოს და ბოლოს ათამაშდა **ფერნანდო ტორესი** - „ელ ნინიომ" „არსენალთან" ანგარიში გახსნა და როცა მატჩის შემდეგ ჟურნალისტებმა ის დრო გაახსენეს, მთელი საფეხბურთო ინგლისი რომ დასცინოდა, ესპანელმა თავდამსხმელმა თქვა: *„დასაწყისი ურთულესი იყო, მაგრამ ეგ დრო წარსულს ჩაბარდა. ახლა „ჩელსიში" ყველა პატივს მცემს"*

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ნორდსიელანდი (4-2-3-1):** ჰანსენი – პარხურსტი, ოკორე, რუნიე, მტილიგა – სტოკჰოლმი, ადუ – ლორენტზენი, კრისტენსენი, იონი – ბეკმანი.

**ჩელსი (4-2-3-1):** ჩეხი – ასპილიკუეტა, ტერი, ლუისი, ბერტრანი – მიკელი, ლამპარდი – მატა, აზარი, ოსკარი – ტორესი.

**არბიტრი:** მარიო სტრაჰონია (ხორვატია)

**იუვენტუსი-შახტარი 22:45**

თავიანთ ჩემპიონატებში იდეალურად ასპარეზობენ ტურინის „იუვენტუსი" და დონეცკის „შახტარიც", რომელსაც ზედიზედ 25 ოფიციალური მატჩი აქვს მოგებული. გასულ უქმეებზე „ბებერმა ქალბატონმა" ტურინში „პერსონა ნონ გრატად" გამოცხადებული **ზდენეკ ზემანის** „რომა" 4:1 გაანადგურა.

„იუვესა" და „შახტარის" დაპირისპირება ბევრი გარემოების გამო საინტერესო. პირველი და უმთავრესი, რა თქმა უნდა, ის არის, რომ დონეცკურ კლუბს საკმაო გამოცდილება აქვს საიმისოდ, რომ იტალიის ჩემპიონს მედგრად დაუდგეს. გაგახსენებთ: „შახტარს" „რომა" რომში ჰყავს დამარცხებული. ამასთან, უკრაინულ გრანდს რუმინელი **მირჩა ლუჩესკუ** წვრთნის – მწვრთნელი, რომელიც იტალიური ფეხბურთის ექსპერტად მიიჩნევა. ლუჩესკუ მუშაობდა „პიზაში", „ბრეშიაში", „რეჯანასა" და მილანის „ინტერში", ხოლო 2004 წლიდან 67 წლის სპეციალისტი დონეცკში მოღვაწეობს.

*„იუვენტუსის" ლიდერი დღეს ანდრეა პირლოა, რომელსაც ძალიან კარგად ვიცნობ,* - ასე დაიწყო გუშინდელი პრესკონფერენცია ლუჩესკუმ, - *„ბრეშიაში" რომ ვმუშაობდი, პირლოც იქ იყო და მაშინ 15 წლის გახლდათ. მას მერე ანდრეასთან კონტაქტი არ გაგვიწყვეტია. პირლო თანამედროვეობის საუკეთესო ნახევარმცველია. მასთან ერთად, „იუვენტუსიდან" ყველაზე მეტად კვალიარელას ვაფასებ. ვფიქრობ, ჩემს გუნდს შესწევს იმის უნარი, რომ ტურინიდან ხელცარიელი არ წამოვიდეთ."*



იუვენტუსელები ანდრეა პირლო და ფაბიო კვალიარელა – შახტარის თავკაცი მირჩა ლუჩესკუ ყველაზე მეტად ამ ორ ფეხბურთელს უფრთხის

**სავარაუდო შემადგენლობები**

**იუვენტუსი (3-5-2):** ბუფონი – ბონუჩი, ბარძალი, კიელინი – ლიხტშტაინერი, ვიდალი, პირლო, მარკიზიო, ასამოა – ვუჩინიჩი, მატრი (ან ჯოვინკო).

**შახტარი (4-2-3-1):** პიატოვი – სრნა, კუხერი, რაკიცკი, რაცი – სტეპანენკო, ფერნანდინიო – ვილიანი, ადრიანო, ილსინიო – მხითარიანი.

**არბიტრი:** ბას ნიჰუისი (ჰოლანდია)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შახტარი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| 2. იუვენტუსი | 1 | 0 | 1 | 0 | 2-2 | 1 |
| 3. ჩელსი | 1 | 0 | 1 | 0 | 2-2 | 1 |
| 4. ნორდსიელანდი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |

### F ჯგუფი

**ბატე-ბაიერნი 22:45**

9 მოგება 9 ოფიციალურ მატჩში – ამაზე უკეთეს დასაწყისს „ბაიერნში" ვერავინ ინატრებდა და ერთადერთი, რისიც მიუნხენში ახლა ეშინიათ, გადამეტებული თავდაჯერებაა. სწორედ ამაზე ისაუბრეს ამ დღეებში ბავარიული გრანდის სპორტულმა დირექტორმა **მათიას ზამერმა** და ვიცე-პრეზიდენტმა **კარლ-ჰაინც რუმენიგემ**, რომელმაც თქვა, მეც არ მომწონს, „ბაიერნს" ყოველდღე რომ აქებენო. შაბათს მიუნხენურმა გრანდმა „ვერდერს" გვიანი გოლებით მოუგო, დღეს კი ბატე-სთან ექნება საქმე – გუნდთან, რომელსაც ჯგუფში პირველი ტურის შემდეგ ასევე სამი ქულა აქვს.

სერიოზული მეტოქეა თუ არა ბატე „ბაიერნისთვის", ამაზე მსჯელობა და დასკვნის გაკეთება თქვენთვის მოგვინდვია, ჩვენ კი მხოლოდ იმით შემოვიფარგლებით, რაც შავით თეთრზე წერია: ბატე-ს შიდა ასპარეზზე 16-მატჩიანი წაუგებელი სერია აქვს და ჩემპიონთა ლიგის პირველ ტურში „ლილი" სტუმრად 3:1 დაამარცხა. ამ გამარჯვებით ბელარუსებმა მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგეს იქითკენ, რომ „ვალენსიას" კონკურენტებად მოვიხსენიოთ და ფაქტია, „ბაიერნთანაც" მაქსიმალური კონცენტრაციით ითამაშებენ.

კითხვაზე, რა შანსი აქვს ბატე-ს ისეთ გრანდთან, რომელსაც მინიმუმ 40-ჯერ მეტი ფული აქვს, ბორისოველთა პრეზიდენტმა **ანატოლი კარპსკიმ** ასე უპასუხა: *„რაც არის არის... ჩვენ ვიცით, რომ ფეხბურთში ფული არ არის მთავარი."*

ბატე-სთვის მთავარი ის არის, რომ გუნდის ლიდერები **გლები, როდიონოვი, გორბუნოვი** და დაცვის ბურჯი **რადკოვი** სრულ მზადყოფნაში არიან. რეკორდმაისტერს ბელარუსში ვერ გაჰყვა **არიენ რობენი**, რომელსაც მცირე ტრავმა აწუხებს. შეგახსენებთ, რომ დიდი ხანია დაშავებულია **მარიო გომესიც**, თუმცა მას **მარიო მანჯუკიჩი** იდეალურად ცვლის.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ბატე (4-4-1-1):** გორბუნოვი – პოლიაკოვი, რადკოვი, შიმიჩი, ბორდაჩევი – ლიხტაროვიჩი, ოლეხნოვიჩი, პავლოვი, ა. ვოლოდკო – გლები – როდიონოვი.

**ბაიერნი (4-2-3-1):** ნოიერი – ლამი, ბოატენგი, დანტე, ბადშტუბერი – ხავი მარტინესი, შვაინშტაიგერი – თ. მიულერი, კროოსი, რიბერი – მანჯუკიჩი.

**არბიტრი:** ალექსანდარ სტავრევი (მაკედონია)

**ვალენსია-ლილი 22:45**

„ვალენსიასა" და „ლილის" დაპირისპირება პირველ ტურში დამარცხებულთა დუელია, რომელიც „მესტალიაზე" გაიმართება და ფავორიტად, რა თქმა უნდა, ესპანელები მიიჩნევიან. „ღამურებმა" ამ უქმეებზე „სარაგოსას" 2:0 მოუგეს და მდგომარეობა ოდნავ გაიუმჯობესეს – „ვალენსია" პრიმერადივიზიონში ახლა მე-10 ადგილზეა. თუმცა „ლილს" უფრო მძიმე მდგომარეობა აქვს: ფრანგულმა კლუბმა შვიდი მატჩიდან მხოლოდ ერთი მოიგო და საფრანგეთის ჩემპიონატში მე-15 პოზიციაზეა, გასულ უქმეებზე კი „რენთან" 0:2 დამარცხდა. მიუხედავად ამისა, „ვალენსიას" ფრანგი მარცხენა მცველი **ალი სისოხო** თანაგუნდელებს აფრთხილებს, „ლილი" ძალიან კარგი, სწრაფი და ტექნიკური გუნდია, რის გამოც სიფრთხილე გვმართებსო.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ვალენსია (4-4-1-1):** გუაიტა – პერეირა, რამი, რუისი, სისოხო – ფეგული, ტინო კოშტა, გაგო, ვიერა – ხონასი – სოლდადო.

**ლილი (4-5-1):** ლანდრო – ბერია, ბასა, შედიუ, დინიე – მენდესი, პედრეტი, მავუბა, გეიე, პაიე – რუ.

**არბიტრი:** ჯანლუკა როკი (იტალია)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბატე | 1 | 1 | 0 | 0 | 3-1 | 3 |
| 2. ბაიერნი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| 3. ვალენსია | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |
| 4. ლილი | 1 | 0 | 0 | 1 | 1-3 | 0 |

### G ჯგუფი

**სპარტაკი-სელტიკი 20:00**

ტრადიციულად, რუსული კლუბი საშინაო შეხვედრას სხვებზე ადრე, ჩვენი დროით 20:00-ზე გამართავს: **ჯანო ანანიძის** „სპარტაკი" „სელტიკს" მასპინძლობს. მოსკოველებმა პირველ ტურში „ნოუ კამპზე" მედგრად იბრძოლეს და „ბარსას" უგებდნენ, თუმცა საბოლოოდ მაინც დამარცხდნენ. გამოჩნდა, რომ „სპარტაკს" ჯგუფიდან გასვლისთვის ბრძოლა შეუძლია და ეს მოსაზრება **უნაი ემერის** გუნდმა შოტლანდიურ გრანდთან საშინაო მატჩში უნდა გაამყაროს. გლაზგოელებმა პირველ ტურში „ბენფიკასთან" 0:0 დააფიქსირეს.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**სპარტაკი (4-2-3-1):** პესიაკოვი – დ. კომბაროვი, სუხი, ინსაურალდე, კ. კომბაროვი – კალსტრიომი, დე ზეეუვი – მაკგიდი, არი, ბილიალეტდინოვი – ძიუბა.

**სელტიკი (4-4-2):** ფორსტერი – მეტიუზი, ლუსტიგი, ვილსონი, ისაგირე – ფორესტი, ვანიამა, ბრაუნი, მულგრიუ – სამარასი, ჰოპერი.

**არბიტრი:** ტონი შაპრონი (საფრანგეთი)

**ბენფიკა-ბარსელონა 23:45**

„ბარსა" „ბენფიკას" სტუმრობს, „ესტადიო და ლუჟზე" წარმატების მიღწევა კი არცისე ადვილია. **ტიტო ვილანოვას** შეგირდებმა შაბათს „სევილია" ძლივს დაამარცხეს (3:2), მომდევნო უქმეებზე კი „რეალთან" „ელ კლასიკო" ელით, რაც იმას ნიშნავს, რომ უნდათ თუ არ უნდათ, ლისაბონში ძალების დაზოგვაზე ფიქრი მოუწევთ, რადგან მიუხედავად იმისა, რომ პრიმერადივიზიონში „ბარსელონა" „რეალს" 8 ქულით უსწრებს, კატალონიური გრანდი ყოველთვის ვალდებულია, „ნოუ კამპზე" მოსისხლე მტერი დაამარცხოს. აქვე გეტყვით, რომ „ბარსას" **ტიაგო ალკანტარა** დაუშავდა, რომელიც ლაზარეთში დაახლოებით ორ თვეს გაატარებს.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ბენფიკა (4-4-2):** არტური – პერეირა, გარაი, ჟარდელი, მელგარეო – სალვიო, აიმარი, ენცო პერესი, გაიტანი – როდრიგო, ლიმა.

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი – დანი ალვეში, პუიოლი, მასკერანო, ალბა – ჩავი, ბუსკეტსი, ინიესტა – ფაბრეგასი, მესი, ვილია.

**არბიტრი:** ჩიუნეით ჩაქირი (თურქეთი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 1 | 1 | 0 | 0 | 3-2 | 3 |
| 2. სელტიკი | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| 3. ბენფიკა | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| 4. სპარტაკი | 1 | 0 | 0 | 1 | 2-3 | 0 |

### H ჯგუფი

**კლუჟი-მანჩესტერ იუნ. 23:45**

სტუმრად თამაშობს „მანჩესტერ იუნაიტედიც" - **სერ ალექს ფერგიუსონის** შეგირდები რუმინეთში ჩადიან და ეთამაშებიან „კლუჟს", რომელმაც პირველ ტურში პორტუგალიური „ბრაგა" ლამის უპრობლემოდ დაამარცხა და მანკუნიანელთა დარად, აქტივში სამი ქულა აქვს.

ზედიზედ ექვსი გამარჯვების შემდეგ „იუნაიტედმა" „ტოტენჰემთან" საშინაო მარცხი იწვნია (2:3) და აქვე შეგახსენებთ, რომ „ჰოთსპურმა" „ოლდ ტრაფორდზე" 1989 (!) წლის მერე პირველად მოიგო.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**კლუჟი (4-2-3-1):** ფელგერიაში – პინტუ, კადუ, რადა, სეპსი – მურესანი, ალბერტო – სოუგუ, ბასტოსი, კამორა – კაპეტანოსი.

**მანჩესტერ იუნაიტედი (4-3-3):** დე ხეა – რაფაელი, ფერდინანდი, ევანსი, ბიუტნერი – კლევერლი, ფლეტჩერი, ანდერსონი – ნანი, რუნი, უელბეკი.

**არბიტრი:** ალბერტო უნდიანო მალენკო (ესპანეთი)

**გალათასარაი-ბრაგა 23:45**

ეს კი დამარცხებულთა დუელია, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ შეხვედრას ორივე გუნდისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ეს განსაკუთრებით „გალათასარაიზე" ითქმის, რადგან თურქეთის ჩემპიონი საკუთარ მოედანზე თამაშობს. **ფათიჰ თერიმის** გუნდმა პირველ ტურში „ოლდ ტრაფორდზე" მაგრად იბრძოლა და მხოლოდ მინიმალური ანგარიშით დამარცხდა, ამ უქმეებზე კი „გალამ" თურქეთის ჩემპიონატშიც მოულოდნელი მარცხი განიცადა - 0:2 „ორდუსპორთან".

**სავარაუდო შემადგენლობები**

**გალათასარაი (4-3-3):** მუსლერა – ებუე, კრისი, კაია, ბალთა – ფელიპე მელო, ინანი, ჰამით ალთინთოფი – უმუთ ბულუთი, ბ. ილმაზი, ელმანდერი.

**ბრაგა (4-3-3):** ბეტუ – ბაიანო, დუგლაო, ნუნო, ელდერსონი – ამორიმი, კუშტოდიო, ვიანა – ალანი, ედერი, ბარბოსა.

**არბიტრი:** ტომ ჰარალდ ჰაგენი (ნორვეგია)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კლუჟი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| 2. მანჩესტერ იუნ. | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 3. გალათასარაი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 4. ბრაგა | 1 | 0 | 0 | 2 | 0-2 | 0 |

**გოტფრიდ ლენცი**

გერმანია. ბუნდესლიგა. VI ტურის შეჯამება

# სად არის გეგმა B, ლუსიენ?

## შაბათს საბოლოოდ დავრწმუნდით, რომ გლადბახის აღმაფრენაც დროებითი ყოფილა

**ბუნდესლიგის მეექვსე ტურმა რამდენიმე დასკვნა გაგვაკეთებინა: მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ შარშანდელი სენსაციური სვლა მართლა დროებითი ყოფილა; „ბაიერნი“ მართლა ძალიან ძლიერი და საშიშია; ერთადერთი გუნდი, რომელიც რეკორდმაისტერს შეებრძოლება, სავარაუდოდ ისევ „დორტმუნდია“...**



მიონხენგლადბახის ბორუსიას მთავარმა მწვრთნელმა ლუსიენ ფავრმა აღარ იცის, რა მოიმოქმედოს

მიონხენგლადბახის „ბორუსია“ არის გუნდი, რომელიც შარშანწინ ძლივს გადაურჩა მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებას, ხოლო შარშან, ყველასათვის მოულოდნელად, ბრწყინვალე ფეხბურთი ითამაშა და მეოთხე ადგილი დაიკავა. მართალია, ისტორიულად დიდი „გლადბახი“ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ვერ შეძვრა, მაგრამ ეს ამ გუნდის მიღწევას მაინც ვერ აკნინებს. ამ სეზონში **ლუსიენ ფავრის** გუნდი ისევ ძველებურად უნიათოა - ამ უქმეებზე „დორტმუნდთან“ 0:5 განადგურდა და ექვსი ტურის შემდეგ მე-13 ადგილზეა, რაც გასავარდნ ზონასთან ძალიან ახლოს ყოფნას ნიშნავს. ზედიზედ მეხუთე მოუგებელი მატჩი და 12 მიღებული გოლი - „გლადბახი“ ისევ შავ დღეშია, მის შვეიცარიელ დამრიგებელს კი გეგმა B, როგორც ჩანს, არ აქვს.

*„ეს უდიდესი დარტყმა იყო. ისე ითამაშეს, თითქოს მოყვარულები არიან და მოედანზე პირველად გავიდნენ. როგორც ჩანს, ზოგიერთს ჰგონია, რომ უკანახაზელებს არ უნდა მიეხმაროს. ბევრმა ვერ გაიგო, რომ წარმატების მისაღწევად ფეხბურთის ინტელიგენტურად თამაშია საჭირო. დორტმუნდის „ბორუსია“ დიდი გუნდი და გერმანიის ზედიზედ ორგზის ჩემპიონია, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ გუნდთან წაგება კატასტროფა არ არის, მაგრამ წაგებაცაა და წაგებაც - ხოლო ის, რაც შაბათს მოხდა, სირცხვილია. ორი დღეა ვფიქრობ, აცნობიერებენ თუ არა ზოგ-ზოგიერთები, სად თამაშობენ. ეს ხომ ბუნდესლიგაა,“* - წუხდა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე 54 წლის ფავრი.

### კაპიტანი: ნუ მივტირით წარსულს!

როგორც ხედავთ, მწვრთნელი მესამე პირში ლაპარაკობს და ეს იმის დასტურია, რასაც ჩვენი გერმანელი კოლეგები რამდენიმე კვირაა ვარაუდობენ - ფავრსა და ფეხბურთელებს შორის „შავმა კატამ გაირბინა“. ამის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ისაა, რომ მას მერე, რაც სეზონი დაიწყო, ფავრი ყველა ინტერვიუში იხსენებს იმ ფეხბურთელებს, რომლებმაც ზაფხულში გუნდი დატოვეს - **როისს, დანტეს** და **ნოიშტედტერს** ვგულისხმობთ. შვეიცარიელი მუდმივად იმეორებს, ახალი გუნდის შენება დავიწყე და ეს არც ისე იოლიაო.

*„ასე ცუდად რომ ვთამაშობთ, ეს სულაც არაა იმის ბრალი, რომ როისმა, დანტემ და ნოიშტედტერმა დაგვტოვეს. გასულ სეზონზე ლაპარაკი უნდა შევწყვიტოთ,“* - კომენტარებში ნერვებს ველარ თოკავს 22 წლის მცველი **ტონი იანჩკე**.

*„როისი, დანტე და ნოიშტედტერი „გლადბახისთვის“ უკვე წარსულია და თანაც, ამასაც რომ თავი დავანებოთ, გუნდი გაძლიერდა კიდეც და თანაც, ძალიან სერიოზულად,“* - ეს კი კაპიტან **ფილიპ დემსის** სიტყვებია.

შაბათს განცდილი კრახის შემდეგ განგაშის ზარებს მიონხენგლადბახელთა მენეჯერმა **მაქს ებერლმაც** შემოჰკრა: *„ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი, რომ წონასწორობას ასე მალე და მარტივად დავკარგავდით. ისეთ ელემენტარულ შეცდომებს ვუშვებთ, რომ გაოგნებული ვარ. ნაცვლად იმისა, რომ ზომიერად აგრესიულები იყვნენ, ყველა ფეხბურთელი კრეატიულობას ცდილობს და ჯამში არაფერი გამოგვდის!“*

„გლადბახისთვის“ ყველაზე ცუდი ის არის, რომ ლუსიენ ფავრს იდეები მართლა გამოელია - სათადარიგო გეგმის უქონლობაზე აღარაფერს ვამბობთ...

### დორტმუნდი დაბრუნდა, იფეთქებს როისი ევროპაშიც?

„გლადბახის“ ჯოჯოხეთი „დორტმუნდის“ სამოთხეა - გერმანიის ჩემპიონებმა მიონხენგლადბახელთა ძლევით (5:0), რაც პირველ რიგში მარკო როისის დამსახურება იყო (დუბლი), მინი-კრიზისს (1 ქულა ბოლო ორ მატჩში) თავი დააღწიეს და თამამად შეიძლება ითქვას, რომ **იურგენ კლოპის** გუნდი დაბრუნდა.

მატჩის შემდეგ როისმა თქვა, ვიცი, რასაც გრძნობენ ახლა ჩემი ყოფილი თანაგუნდელებიო. დორტმუნდელ ფანებს ახლა იმის იმედი აქვთ, რომ მარკო ჩემპიონთა ლიგაშიც იფეთქებს და „ბორუსიას“ დაეხმარება იმაში, რომ სიკვდილის ჯგუფიდან გავიდეს. *„იმედია, ეს 5:0 თავდაჯერებას შეგვმატებს, რაც „მანჩესტერ სიტისთან“ უმნიშვნელოვანესი მატჩის წინ ძალიან გვჭირდება,“* - უთხრა როისმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს.

კლოპმა კი მალევე იგნოსა, რომ ნამეტანი არც თავდაჯერებულობა ვარგა და თქვა: *„გლადბახი“ მიწასთან გავასწორეთ, რაც ძალიან კარგია, მაგრამ არ გვაქვს იმის უფლება, რომ ხმამაღალი განცხადებები ვაკეთოთ. „მანჩესტერ სიტი“ მსოფლიო დონის ვარსკვლავებით დაკომპლექტებული გუნდია. თუმცა მე ვიცი, როგორ უნდა ვითამაშოთ მანჩესტერში, რომ არ წავაგოთ!“*

### მარიო რომ დაბრუნდება, რა ბედი ეწევა მეორე მარიოს?

მიუნხენში სრული იდილიაა, რასაც პირველ რიგში იმით ვხვდებით, რომ „ბაიერნში“ მთავარი სალაპარაკო თემა ორი მარიოა - **მარიო გომესი** და **მარიო მანჯუკიჩი**. ხორვატმა თავდამსხმელმა ბრემენში მორიგი გოლი გაიტანა და მის ანგარიშზე ბუნდესლიგის ექვს ტურში ამდენივე გოლია. ზოგადად კი, ამ სეზონში ჩატარებულ 9 ოფიციალურ შეხვედრაში 9 გოლი აქვს გატანილი.

ეს ასპროცენტიანი კვოტაა, რაც რეკორდმაისტერის მთავარ მწვრთნელ **იუპ ჰაინკესს** არ უტოვებს იმის შანსს, რომ გამოჯანმრთელებული გომესი მანჯუკიჩს ამჯობინოს. ასეთი შედეგით ხორვატი თავდამსხმელი „ბაიერნის“ ნომერ პირველი გოლეადორია და მისი ფორმიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მანჯუკიჩი გოლების გატანას მომავალშიც არ შეწყვეტს.

ოპერაციის შემდეგ გომესმა მსუბუქად ვარჯიში დაიწყო და მალე სრულ მზადყოფნაში იქნება. ძალიან საინტერესოა, რა ელის „პირველ მარიოს“, რომელსაც შარშან ამ დროს, ბუნდესლიგის ექვს ტურში რვა გოლი ჰქონდა გატანილი...

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

### საუკეთესო ფეხბურთელები

VI ტურის შემდეგ, „კიკერის“ შეფასებების მიხედვით

| ფეხბურთელი | კლუბი | შეფასება | ს/შ |
|---|---|---|---|
| 1. ჟაბოლჩ ჰუშტი | ჰანოვერი | 5 | 1.63 |
| 2. რენე ადლერი | ჰამბურგი | 6 | 1.67 |
| 3. კევინ ტრაპი | აინტრახტი | 6 | 2.08 |
| 4. თომას მიულერი | ბაიერნი | 5 | 2.10 |
| 5. სებასტიან როდე | აინტრახტი | 6 | 2.17 |
| 6. ბასტიან შვაინშტაიგერი | ბაიერნი | 6 | 2.20 |
| 7. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 3 | 2.33 |
| 8. მარიო გიოტცე | ბორუსია (დ) | 6 | 2.38 |
| 9. პირმინ შვეგლერი | აინტრახტი | 6 | 2.40 |
| 10. აარონ ჰანტი | ვერდერი | 6 | 2.42 |

### გოლს პლუს პასის რეიტინგი

| ფეხბურთელი | კლუბი | თამაში | გოლი | პასი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ჟაბოლჩ ჰუშტი | ჰანოვერი | 5 | 3 | 7 | 10 |
| 2. თომას მიულერი | ბაიერნი | 5 | 4 | 5 | 9 |
| 3. მარიო მანჯუკიჩი | ბაიერნი | 6 | 6 | 1 | 7 |
| 4. იაკუბ ბლაშჩიკოვსკი | ბორუსია (დ) | 6 | 3 | 3 | 6 |
| 5. ტაკაში ინუი | აინტრახტი | 6 | 3 | 3 | 6 |
| 6. ჰიროში კიოტაკე | ნიურნბერგი | 6 | 1 | 4 | 5 |
| 7. მაქს კრუსე | ფრაიბურგი | 6 | 3 | 2 | 5 |
| 8. ალექს მაიერი | აინტრახტი | 6 | 4 | 1 | 5 |
| 9. ბასტიან ოჩიპკა | აინტრახტი | 6 | 0 | 5 | 5 |
| 10. მარკო როისი | ბორუსია (დ) | 6 | 4 | 1 | 5 |



### VI ტურის გმირი

**მარკო როისი ბორუსია (დ)**

ციფრები გნებავთ? ახლავე! სანამ შეცვლიდნენ, **მარკო როისმა** შაბათს 9.78 კილომეტრი ირბინა, ბურთს 73-ჯერ შეეხო, 21 აჩქარება გააკეთა და მისი პასების 82 პროცენტი ზუსტი იყო. გაცილებით მნიშვნელოვანია ის, რომ როისმა ორი მოხდენილი გოლი გაიტანა და დორტმუნდის პუბლიკა ალაფრთოვანა. მარკოს გოლს, რომელმაც „გლადბახთან“ ანგარიში 3:0 გახადა, „დორტმუნდის“ სპორტულმა დირექტორმა **მიხაელ ცორკმა** ულამაზესი უწოდა და დასძინა, სწორედ ამიტომ გადავიხადეთ მასში 17 მილიონიო. როისმა პირველი გოლი საერთოდ არ იზეიმა, მეორე კი მოკრძალებულად აღნიშნა, რადგან პატივს სცემს „გლადბახს“ - გუნდს, სადაც მისივე თქმით, სამი ულამაზესი სეზონი გაატარა.

### VI ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით






## ქართული სპორტი

● თავისუფალი ჭიდაობა. კიევის და ყაზახეთის ტურნირები


დავით მარსაგიშვილი

# თავისუფალთა კიევური წარმატება

## ხუთკაცა გუნდის ოთხი მედალი

**საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრები წარმატებით გამოვიდა კიევში, „უკრაინის სომეხთა კავშირის თასზე" - 1 ოქრო, 2 ვერცხლი, 1 – ბრინჯაო და ერთიც მეხუთე ადგილი, ასეთია ჩვენი ხუთკაცა გუნდის მონაგარი. ტურნირის გამარჯვებული ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოსა და ოლიმპიური პრიზიორი დავით მარსაგიშვილი (84) გახდა, ოლიმპიადისა და ევროპის ვიცე-ჩემპიონი ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (60) და ელიზბარ ოდიკაძე (96) ვერცხლის მედლებს დაეუფლნენ, ევროპისა და მსოფლიოს ბრინჯაოს მედალოსანი დავით ხუციშვილი (74) კი მესამეზე გავიდა. ბრინჯაოსთვის იჭიდავა ახალგაზრდა გენო პეტრიაშვილმაც (120), მაგრამ დამარცხდა და მეხუთეზე დარჩა. ეს ინფორმაცია გუშინ ოპერატიულადაც გაუწყეთ. დღეს შედეგებს ვრცლად მიმოვიხილავთ.**

ნაოლიმპიადევი მარსაგიშვილი ჯერაც შორსაა სასურველი ფორმისგან, თუმცა კიევის სპორტის სასახლეში მაქსიმალური შედეგი მაინც აჩვენა. პირველ შეხვედრაში რუსი **ვლადისლავ ვალიევი** ძალიან იოლად, ორი პერიოდის ჯამში 8:0 დაამარცხა, თუმცა მომდევნო შეხვედრებში - უკრაინელ **ელდარ მანსუროვთან** და კანადელთაოს **ტამერლან ტაგიევთან** ცოტა არ იყოს, გაუჭირდა. უკრაინელს ჯამში 2:1 აჯობა, თუმცა მეორე პერიოდი მხოლოდ ბოლო ქულის დამსახურებით მოუგო, ტაგიევთან კი ორივე სეტში ერთნაირი ანგარიშით 2:1 იმარჯვა. საბედნიეროდ, ამის შემდეგ ბრჭყალები ბოლომდე გამოაჩინა და ზედიზედ სძლია რუსებს – ნახევარფინალში **ახმედ მაგომაიევი** დადო ბეჭებზე, ფინალში კი **მაგომედ ზუბაიროვს** დააყრევინა ფარ-ხმალი, თუმცა საამისოდ დამატებითი დრო დასჭირდა. აქ პირველი პერიოდი ჩვენებურმა საკმაოდ უსიამოვნო ანგარიშით – 0:3 დათმო, მაგრამ მომდევნოებში 1:0;1;0 იმარჯვა და ჩემპიონი გახდა.

ხინჩეგაშვილი პირველად ჭიდაობდა 60 კილოგრამში, სადაც საბოლოოდ გადაბარგდა და შეიძლება ითქვას, ურიგოდ არ უასპარეზია. მით უფრო, რომ ფინალში მსაჯთა სიმპათიები აშკარად მასპინძლის, ევროპის სამგზის ჩემპიონის, მსოფლიოსა და ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონ **ვასილ ფედორიშინის** მხარეს იყო. ჩვენებურმა ყველა შეხვედრაში ბლომად დააგროვა ქულები, ანუ იჭიდავა ჩვეულად ტექნიკურად, სწრაფ ტემპში, შემტევ სტილში და ლამაზად. მას ოთხი შეხვედრიდან ორში დამატებითი დრო კი დასჭირდა, მაგრამ ეს მის გამოსვლას არ აკნინებს. მით უფრო, რომ მესამე პერიოდში ბრძოლა მეორედ ფინალში გაუგრძელდა, პირველად კი სადავო პერიოდი 1:1-ზე ბოლო ქულის გამო დათმო.

ხინჩეგაშვილმა პირველ შეხვედრაში მასპინძელი **ვიტალი რუდენკო** უპრობლემოდ, ორი პერიოდის ჯამში 8:3 აოტა. დიდი პრობლემები არც ახალგაზრდებში სომეხთა ევროპისა და მსოფლიოს წლევანდელ მესამე პრიზიორ **ვალოდია ფრანგულიანთან** შეჰქმნია იმის მიუხედავად, რომ დამატებითი დრო პირველად მასთან დასჭირდა. ჩვენებურმა პირველი პერიოდი 4:0, მესამე კი 4:1 მოიგო – ვფიქრობთ, ანგარიში ყველაფერზე მეტყველებს. ხინჩეგაშვილმა მეორე პერიოდი 1:1-ზე დათმო, რაც მის გამოსვლას არ აკნინებს. მესამე შეხვედრაც გორელის დიდი უპირატესობით წარიმართა მურშიდ მუტალიმოვთან და ხინჩეგაშვილის დამაჯერებელი გამარჯვებით დასრულდა საერთო ანგარიშით 6:1. აი, ფინალი ის შემთხვევა გამოდგა, როცა ქართველი მსაჯებს ვერ გადაახტა. ყველაფრიდან ჩანდა, რომ არბიტრები მასპინძელს გზას უკაფავდნენ ჩემპიონობისკენ. ამის დასტურად თუნდაც შეხვედრის მალ-მალე შეჩერება გამოდგება, რაც 31 წლის ვეტერანს ახალგაზრდა, ენერგიულ და მოძრავ ვიზავისთან შეხვედრაში სულის მოთქმის საშუალებას აძლევდა. ამ ყველაფრის მიუხედავად, ლადომ მეორე პერიოდში 2:0 მოგება მაინც მოახერხა, თუმცა დანარჩენები 0:1 დათმო.

ოდიკაძემ, რომელიც ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონის, ოლიმპიადის ორგზის ბრინჯაოს მედალოსან გიორგი გოგშელიძის ყველაზე რეალურ შემცვლელად მოიაზრება, წინა კვირას ბაქოში „ოქროს დიდი პრიზის" ფინალური ტურნირი მოიგო, კინალამ ზედიზედ მეორედ იზეიმა ჩემპიონობა, თუმცა მორიგი ტრიუმფი ქვედა წონიდან ამონაცვლებულმა რუსმა მსოფლიოს შარშანდელმა პრიზიორმა **ალბერტ სარიტოვმა** არ დაანება. ქართველმა ფინალამდე ორი შეხვედრა მოიგო უკრაინელებთან – **ერნესტ მარდოვნცი** 3:0; 6:0 გაანადგურა, ევროპის პრიზიორ **პავლო ოლეინიკთან** ასე ბლომად ქულების აღება კი გაუჭირდა, თუმცა ძირითად დროში საერთო ანგარიშით 3:0 მაინც მოუგო. სარიტოვთან შეხვედრაში გადამწყვეტი სიტყვა, ალბათ, მაინც ოდნავ უფრო მეტმა გამოცდილებამ და კლასმა თქვეს – ჩვენებური ორ პერიოდში 0:3 დამარცხდა.

ხუციშვილი რუსთა ნაკრების სათადარიგო **მუსლიმ დადაევთან** დამარცხდა. ჩვენებურმა ძირითადად მაინც არ უღალატა თავის სტილს და უფრო პრაგმატულად იჭიდავა, ბევრი ქულა არ მოუპოვებია, თუმცა იყო გამონაკლისებიც – მეორე წრეში უკრაინელ **დმიტრო პრიადკოს** ორ პერიოდში 8:0 მოუგო, ბრინჯაოსთვის პაექრობაში კი კიდევ ერთი მასპინძელი **ოლეგ ზახარევიჩი** 8:1 დაჯაბნა. სამაგიეროდ, კიდევ ერთ უკრაინელ **სერგეი ოდინაკთან** და მოლდოველ **ევგენი ნედეალკოსთან** მინიმალურ უპირატესობას დასჯერდა. ხუციშვილმა დადაევთან შეხვედრაც მოგებით დაიწყო – პირველ პერიოდში 1:0 იმარჯვა, მაგრამ მეტი ველარ მოახერხა და მომდევნოები 1:2; 2;4 დათმო.

კიევიდან უმედლოდ დაბრუნება პეტრიაშვილმა საკუთარ თავს უნდა დააბრალოს. ცხადია, 18 წლის ბიჭს დალევინება, გამოცდილება აკლია, რასაც დრო მოიტანს, თუმცა ლეიბზე მეტი ყურადღება, მეტი კონცენტრაციაა საჭირო – ეს აუცილებელი თვისებები თავად უნდა გამოიმუშაოს. კიევშიც რომ ასე ეჭიდავა სლოვაკთა ოს **სოსლან გაგლოევთან** ბრინჯაოსთვის შეხვედრაში, მედალი ნამდვილად მას დარჩებოდა.

**ირაკლი თავაძე**

# ქართული მედლები ყაზახეთში

**საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა მთავარი გუნდისა არ იყოს, ამ უქმეებზე სათადარიგო ნაკრებმაც წარმატებით იჭიდავა უცხოეთში. ისინი ყაზახეთის ქალაქ ტარაზში მონაწილეობდნენ საერთაშორისო ტურნირში, რომელიც ჯამბილის მხარის ხელმძღვანელთა ინიციატივით გაიმართა.**

ტურნირში 130 სპორტსმენი მონაწილეობდა ყაზახეთის ყველა რეგიონიდან, საქართველოდან, ყირგიზეთიდან, ტაჯიკეთიდან, რუსეთიდან, უზბეკეთიდან, მონღოლეთიდან და შრი ლანკადან. გამარჯვებულები ჯილდოდ 5 000 დოლარს იღებდნენ, ვერცხლის მედალოსნები – 3 000, ბრინჯაოსი – 1 000 - 1 000 დოლარს. 1 000 ერგებოდა ჩემპიონის მწვრთნელსაც.

ჩვენგან ტურნირის გამარჯვებულები **ზურაბ იაკობაშვილი** (66) და **გიორგი საკანდელიძე** (120) გახდნენ, **გიორგი ედიშერაშვილი** (55) მეორეზე გავიდა, **თორნიკე სვანიძე** (84) და **მამუკა კორძაია** (96) – მესამეზე.

ფინალში ჩვენებურებმა მასპინძლები დაამარცხეს - იაკობაშვილმა **აზამატ ომირჯანოვს** 1:0; 0:3; 1:0 სძლია, საკანდელიძემ კი **ბახტიარ სულთანბეკს** 7:2; 2:1 მოუგო. ოღონდ ომირჯანოვი თუ ატირაუდანაა, სულთანბეკი ჯამბილელია, მაგრამ საკანდელიძემ ყველას და ყველაფერს აჯობა. სამწუხაროდ, ედიშერაშვილმა ეს ვერ შეძლო – ფინალი ჯამბილელ **რუსლან სექსემბეკოვთან** წააგო და ვერცხლს დასჯერდა.

სვანიძისა და კორძაიას გარდა ბრინჯაოს მედალი კიდევ ორმა ქართველმა მოიპოვა – **ცოტნე ბარამიძემ** (66) და **ასლან კახიძემ** (84), ოღონდ ორივე ყაზახეთის სახელით ჭიდაობს. ამათგან ბარამიძე რამდენიმე წლის წინ გადავიდა აზიაში საცხოვრებლად, კახიძე კი იქაური ქართველია.

**ირაკლი თავაძე**



● სამბო

# ფოთში სამბოსატ აფასებენ და ამაგდარსატ

ფოთში სამბოს დამფუძნებლის, ამ ქალაქის საპატიო მოქალაქის, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, **ზურაბ ტულუშის** სპორტული კარიერა ფოთის ჰიდრომელიორაციულ ტექნიკუმში ქართული ჭიდაობით დაიწყო...

ზურაბის მოწაფეები, როგორც წესი, მრავალი წელია საქართველოს სამბისტთა ასაკობრივი ნაკრები გუნდების წარმატებული წევრები არიან...

ფოთში ზურაბ ტულუშის სახელობის ჭაბუკთა (1996-98 წ.წ.) მეოთხე ტურნირზე მთავარი პრიზი თავად ზურაბმა გადასცა ზუგდიდელ ჩემპიონ **ბექა ჩიქავას** (65 კგ), ხოლო ქალაქის სპორტის სამსახურის უფროსმა **ზურაბ ტიბუამ** 70 კგ-ში გამარჯვებულისთვის დაწესებული მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის, მცხეთელი **არჩილ ჩოხელის** სახელობის თასით მესტიელი **ბექა ფალიანი** დააჯილდოვა.

საქართველოს შიდა ასპარეზობები სამბოში თითზე ჩამოსათვლელია. ფოთის ტურნირი კარგ სამსახურს უწევს სამბოს განვითარებას ჩვენს ქვეყანაში. სასურველია ფოთს მიჰბაძონ ბათუმში, ოზურგეთში, ჭიათურაში, სიღნაღში, კასპში, ტყიბულში...

### კვარცხლბეკი

**35 კგ.** 1. გურამ მუსელიანი (წყალტუბო), 2. თამაზ კვერნაძე (თერჯოლა), 3. გიორგი გიორგაძე (ვანი), 3. ლუკა ნაზაროვი (ფოთი).

**38 კგ.** 1. ცოტნე ალანია (აბაშა), 2. საბა ლიპარტელიანი (წყალტუბო), 3. თენგიზ გედენიძე (ფოთი); 3. დავით ჭანტურია (ზუგდიდი).

**42 კგ.** 1 გიორგი ცერცვაძე (ქუთაისი), 2. გიორგი ნარსია (ფოთი), 3. ლუკა კვანჭიანი (მესტია), 3. გიორგი ჟორჟოლიანი (ზუგდიდი).

**46 კგ.** 1. გიორგი ბაჯაძე, 2. გიორგი ნაროუშვილი (ორივე — ვანი), 3. კახა გახოკიძე (წყალტუბო), 3. სპარტაკ ხანთაძე (ფოთი).

**50 კგ.** 1. თემურ შუშანია, 2. ჯეირან წულაია (ორივე — ფოთი), 3. დავით საჯაია (ხობი), 3. ზურაბ კაკაბაძე (სამტრედია).

**56 კგ.** 1. ანზორ მაჩიტაძე (ფოთი), 2. რომან რატიანი (მესტია), 3. გიორგი რუხაძე, 3. გიორგი გაბელაია (ორივე — აბაშა).

**60 კგ.** 1. ზურაბ მუსელიანი (წყალტუბო), 2. ლომერ ტყეშელაშვილი (ვანი), 3. ირაკლი გულედანი (მესტია), 3. შოთა ალანია (ფოთი).

**65 კგ.** 1. ბექა ჩიქავა (ზუგდიდი), 2. დავით წურწუმია (ფოთი), 3. არჩილ ლანჩავა (ქუთაისი), 3. თედო ბოკერია (სამტრედია).

**70 კგ.** 1. ბექა ფალიანი (მესტია), 2. შმაგი დადუნაშვილი (ვანი), 3. თამაზ ხანთაძე (სამტრედია), 3. მალხაზ ქურსუა (ზუგდიდი).

**75 კგ.** 1. გოჩა საჯაია (სენაკი), 2. ომარ ვაშაკიძე (სამტრედია), 3. ერეკლე ზარნაძე (თერჯოლა), 3. თანდილა შანავა (ზუგდიდი).

**+75 კგ.** 1. ოთარ გოგისვანიძე (სამტრედია), 2. გაგა სამინავა (ფოთი), 3. ბექა ჩარქსელიანი (სამტრედია), 3. რომან მეფარიშვილი (ფოთი).

**გაბრიელ ბარჯაძე**

ავტორის ფოტო


ტურნირის გამარჯვებულები

## თვის ქრონიკარი

### სექტემბერი

1. რაგბი. დაიწყო საქართველოს მორიგი ჩემპიონატი.

2. კალათბურთი. ევრობასკეტ 2013-ის საკვალიფიკაციო მატჩში საქართველო სტუმრად ეთამაშა რუმინეთს და 91:74 დაამარცხა.

**3. ჩოგბურთი.** ამერიკის ღია პირველობის მერვედფინალში **ანა ტატიშვილმა** ითამაშა, სადაც ბელარუს ვიქტორია აზარენკასთან წააგო - 2:6, 2:6.

**4-5. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.** ტაილანდში მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ვერცხლის მედლები მოიპოვეს **თორნიკე ძამაშვილმა** (74 კგ) და შოთა გოგისვანიძემ (120), ბრინჯაოს მედალი **იაკობ ქაჯაიამ** (96) მოიპოვა.

**5. კალათბურთი.** ევრობასკეტ 2013-ის საკვალიფიკაციო მატჩში საქართველო შინ ბოსნიასთან დამარცხდა - 103:107.

**7. ფეხბურთი.** მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი ნაკრებმა გამარჯვებით დაიწყო, შინ ბელარუსი სძლია - 1:0.

**8. კალათბურთი.** ევრობასკეტ-2013-ის საკვალიფიკაციო მატჩში საქართველომ სტუმრად დაამარცხა ლატვია 73:70 და ფინალური ეტაპის საგზური ნაადრევად მოიპოვა.

**8-9. თავისუფალი ჭიდაობა.** ტაილანდში მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ვერცხლის მედლები მოიპოვეს **ლაშა ტალახაძემ** (55 კგ) და **კონსტანტინე ხაბალაშვილმა** (66), ბრინჯაო კი - **ჯუმბერ ყველაშვილმა** (74) და **გენო პეტრიაშვილმა** (120).

**10. ჭადრაკი.** ქართველებმა წარუმატებლად იასპარეზეს საჭადრაკო ოლიმპიადაზე (ქალები - მე-8, ვაჟები - 36-ე). პირველ დაფაზე მცირე ვერცხლი აილო **ნანა ძაგნიძემ**, სათადარიგო დაფაზე მცირე ბრინჯაო **კოკა შანავას** ხვდა.

**10-17. მკლავჭიდი.** ბრაზილიაში, მსოფლიოს ჩემპიონატზე ქართველებმა 2 ოქრო, 2 ვერცხლი და 2 ბრინჯაო მოიპოვეს. **გენადი კვიკვინიამ** (110 კგ) მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა, როგორც ცაციებში, ისე მემარჯვენეებში.

**11. კალათბურთი.** ევრობასკეტ 2013-ის ბოლო შესარჩევ მატჩში საქართველომ ჰოლანდია 97:89 დაამარცხა და საბოლოოდ ჯგუფში მე-2 ადგილზე გავიდა.

**11. ფეხბურთი.** მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში საქართველომ ესპანეთს უმასპინძლა და 0:1 დამარცხდა.

**13. ძიუდო.** ეროვნულ ნაკრებს **ირაკლი ცირეკიძე** უხელმძღვანელებს.

**14-16. წყალბურთი.** გაიმართა ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ტურნირი, თბილისის „ლიგამუსმა" ჯგუფური ეტაპის საგზური მოიპოვა.

**15. ჩოგბურთი.** თბილისის საერთაშორისო ტურნირი (15 ათასი დოლარი) **ნიკოლოზ ბასილაშვილმა** მოიგო.

**21. სუმო.** კარიერა დაასრულა **ლევან ცაგურიამ** (კოკაი).

**21-23. ძიუდო.** ხორვატიაში ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატში ჩემპიონი გახდა **ლევან მატიაშვილი** (მძიმე წონა), ვერცხლის მედლები მოიპოვეს: **ლერი ჭელიძემ** (55 კგ), **ვაჟა მარგველაშვილმა** (60), **ფრიდონ გიგანმა** (73) და **ბექა ლვინიაშვილმა** (81). ბრინჯაოს მედალი **ლევან გუგავამ** (73) და **გურამ თუშიშვილმა** (100) მოიგეს.

**21-23. თავისუფალი ჭიდაობა.** ჰეიდარ ალიევის სახელობის ოქროს დიდ პრიზზე ჩემპიონები **ელიზბარ ოდიკაძე** (96 კგ), **გიორგი საკანდელიძე** (120) გახდნენ.

**24-29. ჩოგბურთი.** თელავში გაიმართა საერთაშორისო ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი 50 ათასი დოლარი იყო.

მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

მოგონებები ქართულ ფეხბურთზე

# სუსკაც, პაიჭაძე გალისა!!!

## ვიმედოვნებთ, ახალგაზრდობა ოცნებით მაინც წარმოიდგენს ქართული ფეხბურთის სიდიადეს...

**ბორის პაიჭაძეზე ბევრი თქმულა და დაწერილა ჩვენშიც და უცხოეთშიც, მაგრამ ქართული ფეხბურთის მზესავით ბრწყინვალე ვარსკვლავი ისეთი დიდია, ყველაფერი მასზე ნათქვამიც და დაწერილიც ამ გენიოსი ფეხბურთელის მხოლოდ აჩრდილია.**

ეს ამბავი საქართველოს მეზობლად, სომხეთში, ერევნის სტადიონზე მოხდა 1950 წელს. საბჭოთა კავშირის პირველობაზე „ა" კლასის (ასე ერქვა უმაღლეს ლიგას) ახალბედა ადგილობრივი გუნდი თბილისის „დინამოს" მასპინძლობდა. იმ წელს რამდენიმე მოკავშირე რესპუბლიკის სუსტი გუნდი „ამნისტიით" დაუშვეს „ა" კლასში, მათ შორის სომხეთის „სპარტაკიც" („არარატის" წინამორბედი). და აი, ასეთი გუნდი მასპინძლობს სახელგანთქმულ თბილისის „დინამოს". ბორის პაიჭაძის, გაიოზ ჯეჯელავას, ავთანდილ ღოღობერიძის და სხვა სახელოვან ფეხბურთელთა გვარები შიშის ზარს სცემენ მოწინააღმდეგეს და მთელ გადაჭედილ სტადიონს. სომხები კარგად იცნობენ თბილისის „დინამოს", იციან, რომ „დინამო" სსრკ-ს პირველობის ვერცხლის მედლის ორგზის მფლობელი და თასის პირველი ფინალისტია, იციან, „დინამოს" ბრწყინვალე ტურნეს შესახებ რუმინეთში 1945 წელს. იციან, რომ ქართველებმა რუმინეთში ყველა თამაში მოიგეს და აღფრთოვანებულმა რუმინელებმა ბორის პაიჭაძეს ფეხბურთის კარუზო უწოდეს, რითაც ბორის პაიჭაძის თამაში მსოფლიოს უდიდესი ტენორის ღვთაებრივ სიმღერად აღიქვეს. იციან სომხებმა, რომ სტუმრად ჩვენმა „დინამომ" 10:5 გაანადგურა ბუქარესტის „იუვენტუსი"!



ბორის პაიჭაძე (მარჯვნივ)

ისიც იციან მასპინძლებმა, იმ თამაშის შემდეგ რომ მივიდნენ რუმინეთის სომხები დინამოელებთან და მილოცვის მაგივრად გამარჯვებულებს შესთავაზეს კალათბურთში შეგვეჯიბრეთო. გაცინებიათ დინამოელებს, კალათბურთი სომხეთში არ არსებობს და აქ რა კალათბურთი აგიტყდათო, მოკლედ, სულ ბდღვირი უდენიათ ქართველ ფეხბურთელებს სომეხი „კალათბურთელებისათვის" და ამის შემდეგ გამარჯვებულები ბანკეტზე მიუწვევიათ წაგებულებს. ისიც კარგად იციან სომეხმა გულშემატკივრებმა, დიდი ურუგვაელები რო უწოდეს თბილისის „დინამოს" საბჭოთა ჟურნალისტებმა და ამით ქართველების საყვარელი გუნდი მსოფლიოს პირველ ჩემპიონს ურუგვაის ნაკრებსაც კი ამჯობინეს. ისიც იციან მასპინძლებმა, მოსკოვის „დინამომ" რომ ტრიუმფით მოიარა ფეხბურთის სამშობლო, დაამარცხა „არსენალი" და საბჭოთა კავშირში დაბრუნებულმა პირველი თამაში თბილისის „დინამოსთან" წააგო. სხვაც ბევრი რამ იციან სომხებმა ქართველებზე და ამიტომ არის, მათი დედაქალაქის, ერევნის გადაჭედილი სტადიონი რომ ცახცახებს თბილისის „დინამოს" შემყურე.

მარტო სომხეთში კი არა, მთელ საბჭოთა კავშირში ქუხდა ქართველი ფეხბურთელების სახელი! სადაც თბილისის „დინამო" თამაშობდა, სტადიონებზე ტევა აღარ იყო. საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ ქართველ ფეხბურთელებს ყველა ქალაქში მოწიწებით და პატივისცემით ხვდებოდნენ (გარდა მსაჯებისა, რომლებიც თბილისშიც კი არ ინდობდნენ ჩვენს „დინამოს"!)

მარტო ის რად ღირს, გენიალური კომპოზიტორი დიმიტრი შოსტაკოვიჩი გენიალური ფეხბურთელის თამაშის სანახავად რო მოუწოდებდა ყველას: „პაშლი ნა პაიჩადზე!" მისთვის სულ ერთი იყო, თბილისის „დინამო" რუსეთის რომელ გუნდს ხვდებოდა, ოღონდ პაიჭაძის თამაში ენახა!

საოცარია, რუმინელებმა პაიჭაძის თამაში კარუზოს ღვთაებრივ სიმღერას შეადარეს და პაიჭაძის თამაშით აღფრთოვანებული კომპოზიტორი თავად გახლდათ ღვთაებრივი მუსიკის შემოქმედი!..

თვით საფეხბურთო პერიფერიებშიც კი ერთი სული ჰქონდათ, ენახათ თბილისის „დინამოს" თამაში. ამის შესახებ შესანიშნავად წერს რუსული ფეხბურთის ერთ-ერთი მამამთავარი ა. სტაროსტინი წიგნში „დიდი ფეხბურთი". იგი იმოწმებს კუიბიშეველი (ახლა სამარა) გულშემატკივარის წერილს, საიდანაც ვგებულობთ, რომ რაც მათი გუნდი „კრილია სოვეტოვი" უმაღლეს ლიგაში გადავიდა, ის სულმოუთქმელად ელოდა თბილისის „დინამოს" თამაშის ხილვას. განსაკუთრებით დინამოელთა განსაცვიფრებელი კაპიტანის, შეუდარებელი ცენტრფორვარდის, ბორის პაიჭაძის თამაშის ნახვაზე ვოცნებობდიო. და აი, დადგა ნანატრი დღე და უსაზღვროდ გახარებული გავქანდი სტადიონზე, მაგრამ რას ვხედავ, პაიჭაძე შეუძლოდ გამხდარა და მის მაგივრად გუნდი მოედანზე გაიოზ ჯეჯელავამ გამოიყვანა. დამწყდა გული, არა და არ მეღირსა პაიჭაძის ხილვა. თავი იმითღა ვინუგეშე, თბილისის „დინამოს" თამაშს მაინც ვნახავდი. ქართველმა ფეხბურთელებმა ბრწყინვალედ ითამაშეს, მატჩი მოიგეს და განსაკუთრებით გაიოზ ჯეჯელავამ აღაფრთოვანა მაყურებელი. მაშინ გავიფიქრე, თუ ჯეჯელავა ასეთ სასწაულებს სჩადის მოედანზე, ნეტავ რამხელა ფეხბურთელი უნდა იყოს პაიჭაძე, ასე პირწმინდად რო აჯადოებს მაყურებელს, განურჩევლად ეროვნებისა!

დიახ, ყველგან ასე იყო, მაგრამ ერევანში კი აი, რა მოხდა: დაიწყო თუ არა მატჩი, გადაირია სტადიონი. დინამოელებმა ეს გულშემატკივარის ჩვეულებრივ საქციელად ჩათვალეს და მშვიდად განაგრძეს თამაში. ორიოდე წუთში გაირკვა, სომეხი ფეხბურთელები ისე უსუსურად თამაშობენ, „დინამოს" ნახევარზეც კი ვერ ახერხებენ გადასვლას და მოედნის ცენტრშივე კარგავენ ბურთს. ასეთი მოწინააღმდეგის დამარცხება, თანაც დიდი ანგარიშით, გარდაუვალი იყო, მაგრამ ვინ გაცალა, თამაშში მეტისმეტად ენერგიულად ჩაერია... არა, ამჯერად არა მსაჯი, არამედ სომეხი გულშემატკივარი. წამოიწყებდა თუ არა „დინამო" შეტევას და „სპარტაკის" ნახევარზე გადავიდოდა, ყურთასმენის წამღებ ღრიანცელს ვინ ჩივის, მყისვე ატყდებოდა ბოთლების, ქვების და სხვა საგნების მოედანზე ცვენა. საქმე იქამდე მივიდა, მოგებაზე კი არა, თავის გადარჩენაზე იწყეს ფიქრი დინამოელებმა. ასეთ აუტანელ ვითარებაში ერთი გოლის გატანაზეც კი არავის უფიქრია. პირველი ტაიმი 0:0 დამთავრდა. შესვენებაზე, გასახდელში, გუნდის უფროსმა მწვრთნელმა, ქართული ფეხბურთის მამამთავარმა ანდრო ჟორდანიამ, პირველი ტაიმის ჩვეულებრივი გარჩევის მაგივრად, ერთადერთი კითხვა დასვა: — ვინ გაიტანს გოლს? წამით სიჩუმე ჩამოვარდა და უცბად გაისმა ახალგაზრდა მარცხენა გარემარბის კაკო (ნიკოლოზ) თოდრიას მტკიცე ხმა: — მე გავიტან!

დაიწყო მეორე ტაიმი. ისევ გაგიჟებული ტრიბუნები, წივილ-კივილი, ღრიალი, ისევ ქვების, ბოთლების და სხვა ნივთების მოედანზე ცვენა... და ასეთ არაადამიანურ პირობებში თოდრიამ სიტყვა შეასრულა! თბილისის „დინამომ" 1:0 მოუგო ერევნის „სპარტაკს". მოგებით კი მოიგო „დინამომ", მაგრამ სტადიონიდან გასვლა არ გინდა? გადარეული მაყურებელი მიასკდა გასასვლელს და ხელისუფლება იძულებული გახდა, მილიციის კორდონით დინამოელები ავტობუსამდე უვნებლად გაეტარებინა. ბრბო მძვინვარებდა, სტუმარ ფეხბურთელებთან ერთად, ახლა თავისი ქალაქის მილიციელებსაც „ამკობდა" და ემუქრებოდა. ჩოჩქოლის გამო კორდონი ხან ვიწროვდებოდა, ხან სწორდებოდა. ვითარება სულ უფრო მძიმდებოდა, ცოტაც და გაცოფებული ბრბო კორდონს გადათელავდა... და ამ საშინელებაში უცბად გაისმა ეკლესიის ზარივით განწირული კივილი: „სუსკაც, პაიჭაძე გალისა!!! (გაჩუმდით, პაიჭაძე მოდის!!!) და მოხდა სასწაული! ელვისებურად დადუმდა გონს გადასული ბრბო და მყისვე ხალხად გადაიქცა! უჩვეულო სიჩუმე ჩამოწვა. კაციშვილი ხმას არ იღებდა, აღარ იქნევდა ხელებს, აღარ იმუქრებოდა! თითქოს აღარც კი სუნთქავდა ეს ზღვა ხალხი და მხოლოდ საკუთარი გულისცემა ესმოდათ გაოგნებულ გულშემატკივრებს. უკლებლივ ყველა, განცვიფრებისაგან გაფართოებული თვალებით იცქირებოდა გასასვლელისაკენ, საიდანაც წამის წინ მხრების ჩვეული რხევით გამოვიდა ბორის პაიჭაძე, ამაყად თავაწეულმა მსუბუქი ნაბიჯით გაიარა კორდონი და გასაოცარ სიჩუმეში მშვიდად ავიდა ავტობუსში!

ავიდა ეს ზღაპრული მზეჭაბუკი ავტობუსში და თვალს მიეფარა თუ არა, დამთავრდა ღვთაებრივი სასწაული! ისევ ბრბოდ იქცა ხალხი, ისევ ატყდა ღრიანცელი, გასასვლელიდან გამომავალი დინამოელების დანახვაზე, ოღონ წელანდელი გაცოფება სადღაც დაიკარგა, გატყდა ბრბო, ინერციითღა ღრიალებდა. მალე გამარჯვებული დინამოელებით სავსე ავტობუსიც დაიძრა და დამარცხებულ სპარტაკელთა ნირწამხდარი გულშემატკივრებიც დაიქსაქსნენ.

ნეტავ, რა ძალა ჰქონდა პაიჭაძეს, მისი გვარის გაგონებამ და რამდენიმე წამით მისმა ახლოდან დანახვამ, გაცოფებული ბრბო ხალხად რო გადააქცია?!

ვინ იცის, რამდენი სტუმარ-მასპინძლის სიცოცხლეც იხსნა იმ დღეს ბორის პაიჭაძემ...

> „თუ უწინ იყვნენ ჩემის სისხლის და ხორცის დიდებულნი და სახელოვანნი კაცნი, რა მიზეზია, ხვალაც არ გამოჩნდნენ, თუ გარემოების იგივეობას ვიგულისხმებთ"
>
> **ილია ჭავჭავაძე**

**ზურაბ რატიანი**
**ოთარ ღვაბერიძე**

**ეს ამბავი დიდი ხნის წინათ გვიამბო თვითმხილველმა, ჟურნალისტმა მინდია მოსაშვილმა**

ჩოგბურთი

# წყვილებშიც ვერ იუღბლა



ნიკოლოზ ბასილაშვილი

ქართველი ჩოგბურთელი **ანა ტატიშვილი** ჩინეთის ღია პირველობას (საპრიზო ფონდი 4.828.050 დოლარი), ფაქტობრივად, მოუმზადებელი შეხვდა. ეტყობა, ტრავმის ბოლომდე მოშუშება ვერ მოასწრო. ამიტომაც ერთეულთა თანრიგის საკვალიფიკაციო ეტაპის, სადაც რეიტინგფავორიტად მიიჩნეოდა, პირველივე შეხვედრა დათმო, გუშინ კი, ასევე, სტარტზევე წააგო წყვილთა პაექრობა: ყაზახ გალინა ვოსკობოევასთან ერთად, მართალია, პირველი ხელი ტიმეა ბაშინსკის (შვეიცარია) და მარია ხოსე მარტინეს სანჩეს 7:6 მოუგო, მაგრამ მომდევნო ორი სეტი მეტოქეებისა იყო — 6:2, 10:4. ასე რომ, ჩვენებური ჩინეთის დედაქალაქს დაემშვიდობა.

წინა კვირის მონაცემების გათვალისწინებით (ანას არსად უთამაშია) ქალთა საჩოგბურთო ასოციაციის (WTA) რეიტინგში 1162 ქულით ტატიშვილმა თავისი სარეკორდო 52-ე ადგილი შეინარჩუნა. 51-ე საფეხურზე მყოფ ჩეხ ლუსი ჰრადეცკას 37 ქულით ჩამორჩება.

მსოფლიო რეიტინგში დანარჩენ ქართველ ჩოგბურთელ ქალთა მდგომარეობა ასეთია: 283 (290). **სოფიო შაფათავა** (181 ქულა); 330 (300). **მაკა ჩახნაშვილი** (139); 396 (380). **სოფიო ქვაცაბაია** (98); 459 (472). **ეკატერინე გორგოძე** (74); 541 (662). **ოქსანა კალაშნიკოვა** (52); 606 (607). **ნათია გეგია** (42). 860 (718). **თათია მიქაძე** (16); 928 (950). **ანი გოგავაძე** (12); 1073 (1069). **თამარ ჭალაგანიძე** (6).

**ვაჟები.** ATP-ს კლასიფიკაციით **ნიკოლოზ ბასილაშვილმა** 143 ქულით 309-ედან 305-ე ადგილზე გადაინაცვლა. 929 (929). **ალექსანდრე მეტრეველი** (11), 1431 (1429). **გიორგი ჯავახიშვილი** (2); 1537 (1532). **გიორგი ცივაძე** (2).

**ვაჟა დანელია**

ჭადრაკი

# ექვსი ქულა და დაკარგული პუნქტები

ვენესუელაში დამთავრდა მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის 450-ზე მეტი წარმომადგენელი მონაწილეობდა. სულ გათამაშდა 10 ტური. ქართველთაგან მხოლოდ **სოფიკო გურამიშვილმა** იასპარეზა. 9 ტურის შემდეგ მას 6 ქულა ჰქონდა. ბოლო ტურში შავი ფიგურებით იგი კოლუმბიელ ედისონ რუჟესთან დამარცხდა და შეჯიბრება 6 ქულით დაასრულა, რამაც მას რეიტინგში 15 პუნქტი დააკარგვინა. 8,5-8,5 ქულით პირველი-მეორე ადგილები სლოვენიელმა ალექსანდრ ბელიავსკიმ და ურუგვაიელმა ანდრეს როდრიგესმა გაინაწილეს. ასპარეზობის რეიტინგფავორიტმა ედუარდო იტურისაგამ (ვენესუელა) 8 ქულითა და უკეთესი კოეფიციენტით მესამე ადგილი დაიკავა.



სოფიკო გურამიშვილი

**ვაჟა დანელია**

# ტიტულისთვის ბრძოლაში ქართველთა ოთხეულიც ჩაებმება

წლეულს 11 ნოემბრიდან 2 დეკემბრის ჩათვლით რუსული ხანტი-მანსიისკი მოჭადრაკე ქალთა 2012 წლის მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. შეჯიბრებაში სხვადასხვა ქვეყნის 64 წარმომადგენელი ჩაებმება. გამარჯვებულს ნოკაუტსისტემა გამოავლენს. სულ ექვსი რაუნდი გათამაშდება. პირველ ხუთში მეტოქეები ორ-ორ კლასიკურ პარტიას ითამაშებენ, ფინალში - ოთხ პარტიას. ისინი უძლიერესს თუ ვერ გამოავლენს, ტაიბრეიკები დაინიშნება.

ტიტულისთვის ექვს ქართველ დიდოსტატს უნდა ეთამაშა, მაგრამ ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონმა **მაია ჩიბურდანიძემ** აქტიურ სპორტულ ცხოვრებას ჩამოვშორდიო და ჩემპიონატში მონაწილეობაზე უარი თქვა, **ნანა ძაგნიძეს** კი საპატიო მიზეზი აქვს - მალე დედა გახდება და, ცხადია, ხანტი-მანსიისკში გამგზავრებას ვერ შეძლებს. სამაგიეროდ, ქვეყნის სპორტული ღირსების დასაცავად იბრძოლებენ **ბელა ხოტენაშვილი,** 2008 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის გამარჯვებულები - **ლელა ჯავახიშვილი, ნინო ხურციძე** და **სოფიკო ხუხაშვილი.** ჩემპიონატის სტარტზე თუ ვის შეხვდებიან ისინი, ამის თაობაზე მოგვიანებით გაუწყებთ.

ამჟამად ქალთა შორის მსოფლიოს ჩემპიონია ჩინელი **ჰოუ იფანი.** ხანტი-მანსიისკში მას ტიტულის დაცვა მოუწევს. თუ ეს ვერ მოახერხა (რაც ნაკლებად სავარაუდოა. თუმცა ნოკაუტსისტემით გამართულ შეჯიბრებაში ყველაფერია მოსალოდნელი), მატჩ-რევანშის შანსი გარანტირებული აქვს: ფიდეს 2011-2012 წლების ქალთა გრან პრის ბოლო ეტაპი გუშინ დასრულდა ანკარაში, სადაც მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა **ჰამფი კონერუმ** (ინდოეთი) 8,5 ქულით გაიმარჯვა, თუმცა ორწლიანი გათამაშების ოთხი ეტაპის ქულათა ჯამით (415) მხოლოდ მეორე ადგილი ერგო ჰოუ იფანის (480) შემდეგ. 405 ქულით მესამეა სლოვენიელი **ანა მუზიჩუკი,** რომელმაც თურქეთში გრან პრის ბოლო ეტაპზე 8 ქულით მეორე ადგილი დაიკავა.

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციაში გვითხრეს, რომ ჩვენი ოთხეული მონდომებით ემზადება მსოფლიოს ჩემპიონატისთვის. ხანტი-მანსიისკში გამგზავრებამდე მათთვის საწვრთნელი შეკრებაც მოეწყობა.

**ვაჟა დანელია**

კალათბურთი

ინტერვიუ გიორგი ცინცაძესთან

# საქართველოს ნაკრები ერთი დიდი ოჯახია

## ბუდიველნიკის წინადადებაზე ბევრი არ მიფიქრია



გიორგი ცინცაძე ბუდიველნიკის ფორმით

უკრაინული „ბუდიველნიკის“ საიტზე გამოქვეყნდა ინტერვიუ **გიორგი ცინცაძესთან,** რომელიც მოგვითხრობს საქართველოს ნაკრების, ახალი კლუბის და უკრაინული კარიერის შესახებ.

**- ტრადიციული შეკითხვა: როგორია პირველი შთაბეჭდილებები?**

- დიდი ხანი არ არის, რაც გუნდს შევუერთდი. შეიძლება ითქვას, რომ სანაკრებო გამოსვლის შემდეგ დასვენება ცოტა გამიგრძელდა კიდეც. მოუთმენლად ველი სეზონის დაწყებას, რათა დავამტკიცო, რომ ტყუილად არ ჩამოვსულვარ. აქ ყველაფერი მომწონს, სიმპათიური ქალაქია, კარგი კლიმატი... მახარებს ისიც, რომ ენის ბარიერი არ მაქვს, თავისუფლად ვლაპარაკობ რუსულად და ინგლისურად. ადაპტაციის საკითხში ეს დიდი პლუსია. ამასთან, კარგად ვიცნობ არტურ დროზდოვს, რომელთანაც „დონეცკში“ ვთამაშობდი.

**- რატომ აირჩიეთ „ბუდიველნიკი“?**

- გამოგიტყდებით, შეთავაზება რომ მივიღე, დიდხანს არ მიფიქრია. ტრავმის გამო ვერა და ვერ მოვახერხე სათანადო დონეზე ასვლა. ბევრი სპორტსმენისთვის ნაცნობ სიტუაციაში აღმოვჩნდი: ტრავმის შემდეგ რეაბილიტაციამ დიდი დრო წამართვა, ფორმის აღდგენასაც დრო დასჭირდა. ყოველივე ამის გადატანა იოლი არ იყო, ძალიან მინდოდა მალე მეთამაშა ისე, როგორც შემიძლია. ამ ზაფხულს მთავარი ამოცანა საქართველოს ნაკრების დახმარება იყო, შემდეგ ისეთი კლუბის პოვნა, რომელიც ევროარენაზე გამოდიოდა. სანაკრებო ბატალიებისას აგენტმა დამირეკა და მითხრა - „ბუდიველნიკია“ დაინტერესებული, რომელიც ევროთასზე იასპარეზებსო. შეთავაზების ფინანსურ დეტალებს გავეცანი და წინადადება მივიღე. ნაკრებთან ერთად დასახული ამოცანა შევასრულე, კლუბთან კი ახალი მიზნებისთვის საბრძოლველად ვემზადები.

**- სად შეიძლება აღმოჩენილიყავით, რომ არა „ბუდიველნიკში“?**

- გუნდის დასახელებისგან თავს შევიკავებ, მხოლოდ ვიტყვი, რომ საფრანგეთის ჩემპიონატის წარმომადგენელია.

**- სპორტული სააგენტოებით ბევრი არ არის კმაყოფილი. მათ შორის გუნდის თავკაცი აინარს ბაგაცკისი...**

- არ ვიცი, სხვები რას ფიქრობენ, მაგრამ ჩემს მენეჯერს დიდი ხანია, ვიცნობ და მასთან მეგობრული ურთიერთობა მაკავშირებს. ბოლომდე ვენდობი. სხვათა შორის, რამდენიმე წლის წინათ „დონეცკში“ გადასვლა სწორედ მან მირჩია. რაც შეეხება მწვრთნელს, აინარს ბაგაცკისს პირადად ვიცნობდი - ჩვენი გზები მაშინ გადაიკვეთა, როცა იგი საქართველოში მუშაობდა.

**- „დონეცკში“ თამაშის პერიოდი როგორ დაგამახსოვრდათ?**

- კარგი შემადგენლობა შეიკრიბა, ტაქტიკას გავეცანით, ცოტა წავითამაშეთ და ყველაფერი მალე დამთავრდა. უცნაური შეგრძნება იყო - შუა სეზონში გუნდის ყველა ლეგიონერს დაგვემშვიდობნენ.

**- თქვით: ძალიან მინდოდა მეთამაშა ისე, როგორც შემიძლიაო. რა დონეს გულისხმობთ?**

- ძნელია საკუთარ შესაძლებლობებზე მსჯელობა, თუმცა პასუხის გაცემას მაინც ვეცდები. დღევანდელ მდგომარეობაზე ლაპარაკი ევრობასკეტის შესარჩევ ეტაპზე გამოსვლით შემიძლია. გუნდმა დასახული ამოცანა შეასრულა, ევროპის ჩემპიონატის საგზური მოიპოვა. ნამდვილად არ მქონდა უმნიშვნელო როლი, გარდა თამაშის ორგანიზებისა, უკმაყოფილო არ ვარ სხვა ასპექტებში საკუთარი გარჯით - მოხსნებში, ჩაჭრებში, ტყორცნებში. შესარჩევ ეტაპზე საქართველოს ნაკრებში ყველაზე მეტი სათამაშო დრო მქონდა.

**- გუნდის გამოსვლით კმაყოფილი თუ ხართ?**

- ძალიან კმაყოფილი ვარ. ეს მეორე შემთხვევაა სპორტის გუნდურ სახეობაში ქართული ნაკრების ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრისა! სხვათა შორის, პირველადაც ჩვენ გავედით ევროპაზე - 2011 წელს ლიტვაში ვითამაშეთ. მოხარული ვარ ეროვნული ნაკრების წევრობით, მერვე წელიწადია ამ გუნდში ვარ, ყოველთვის სიხარულით ჩავდივარ. იქ ყველა ერთმანეთის მეგობარია, ერთი დიდი ოჯახი ვართ.

**- ყველაზე ახლოს ვისთან ხართ?**

- როგორც ვთქვი, ყველასთან დიდი ხანია ოჯახებით ვმეგობრობ, მანუჩართან, თორნიკესთან, ზაზასთან...

**- და მაინც, ყველაზე მეტად?**

- თუ ასე დაჟინებით მეკითხებით, გიპასუხებთ: ვიქტორ სანიკიძესთან.



საქართველო-რუსეთი. ცინცაძე შვედის წინააღმდეგ

**- ბოლო წლებში შეიცვალა გიორგი ცინცაძე? რას უნდა ელოდნენ კიეველი ქომაგები მისგან?**

- მნიშვნელოვნად. ოსტატობის დონეზე არაფერს ვიტყვი, შევიცვალე ფსიქოლოგიის, კალათბურთთან დამოკიდებულების თვალსაზრისით. კარგი მაგალითი იტალიაში გამართული „ადიდასის კემპი“ იყო, სადაც ძალიან ახალგაზრდა ჩავედი. იქ უამრავი სკაუტი გახლდათ, როგორც ევროპული, ისე ამერიკული კლუბებიდან. თითოეული კალათბურთელი საკუთარი თავის წარმოჩენაზე ფიქრობდა, გუნდურად არავინ თამაშობდა. არც მე ვიყავი გამონაკლისი. მოკლედ, მაშინ ყველაფერი კარგად გამომივიდა და რამდენიმე დღეში არაერთი საინტერესო წინადადება მივიღე. ასეთსავე კემპზე 20 წლისაც მიმიწვიეს და მოხდა საპირისპირო: პლეიმეიქერად თამაშის საკმარისი გამოცდილება მქონდა და როცა კალათისკენ დავიძრებოდი, თავისუფალი პარტნიორის გამოჩენისთანავე პასს ავტომატურად ვაძლევდი. ასეთმა ცინცაძემ სკაუტებზე შთაბეჭდილება ვერ მოახდინა. ახლა კიდევ უფრო გამოცდილი, პასზე ორიენტირებული გამთამაშებელი ვარ. სწორედ ასეთს მნახავენ „ბუდიველნიკის“ ქომაგები.

**- ლეგიონერები უკრაინის ჩემპიონატს დროებით, ბუფერულ პუნქტად განიხილავენ. „მშენებელთა“ შორის კიდევ რამდენ ხანს აპირებთ დარჩენას?**

- „ბუდიველნიკს“ დროებით გუნდად არ განვიხილავ. თუ ასეთი გუნდი შეიძლება დასახელდეს, ეს თბილისის „ოლიმპი“ იყო, რომელიც სათანადოდ დამეხმარა ტრავმისშემდგომი რეაბილიტაციისას. რაც შეეხება „ბუდიველნიკს“, იგი ერთი წლის წინათ უკრაინის ჩემპიონი გახდა, ახლა ევროთასზე ასპარეზობს და მაღალ მიზნებსაც ისახავს. მინდა, მისი პროგრესის გზას მეც გავყვე. დანარჩენს სეზონის ბოლოს ვნახავთ. თუ კლუბს დავჭირდები და მეც კმაყოფილი ვიქნები, სიამოვნებით დავრჩები. სამუშაო ადგილი არაერთხელ გამოვიცვალე და აქ გაჩერება ურიგო ნამდვილად არ იქნება.

ლეგიონის კვირა

# 12 მატჩი, 9 მოგება

დღეიდან ჩვენი გაზეთის საკალათბურთო გვერდზე, ყოველ შაბათს გაეცნობით ლეგიონერების კვირის მონაგარს. შემოგთავაზებთ მათი თამაშების გამოხმაურებებს, მოგითხრობთ ისეთ დეტალებზე, რომლებზეც უშუალოდ მიმოხილვისას ვერ გავამახვილეთ ყურადღება და ბოლოს ერთად შევაჯამოთ წარმატებელი იყო თუ არა ლეგიონის კვირა.

განვლილ 7 დღეში ევროპაში ქართველების მონაწილეობით 12 მატჩი ჩატარდა, რომელთაგან 9 ჩვენიანთა გუნდის გამარჯვებით დასრულდა. **მანუჩარ მარკოიშვილმა** ევროლიგის საკვალიფიკაციო ეტაპი გაიარა წარმატებით, **ვიქტორ სანიკიძემ** იტალიის ჩემპიონატში ორი შეხვედრა მოიგო, **გიორგი შერმადინმა** და **გიორგი ცინცაძემ** არაოფიციალური შეჯიბრებები მოიგეს. მათი გუნდები ოფიციალურ ტურნირებში ამ კვირიდან ჩაერთვებიან და სტატისტიკას უფრო სრულყოფილადაც შემოგთავაზებთ.

ცხრილი 10 ოქტომბრის შემდეგ კიდევ უფრო „დაიხუნძლება“ - ამოქმედდებიან NBA-ს გუნდებში მოთამაშე ქართველები, **ზაზა ფაჩულია და თორნიკე შენგელია.** ირანში კი **ნიკა ცქიტიშვილი** ათამაშდება, რომელიც გასული სეზონის შემდეგ „მაჰრამიდან“ „აზადში“ გადავიდა.

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა



ტრიუმფი ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის შემდეგ

ლეგიონის კვირა

| მოთამაშე | გუნდი | თარიღი | შეჯიბრება | Vs | ანგარიში | წუთი | ქულა | მოხსნა | პასი | ჩაჭრა | დაფარება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მანუჩარ მარკოიშვილი | კანტუ (იტ) | 25.09 | ევროლიგა | VS აკადემიკი (ბულ) | 87:79 | 33 | 15 | 0 | 3 | 0 | 0 |
| | | 27.09 | ევროლიგა | VS ნიმბურკი (ჩეხ) | 89:83 | 23 | 8 | 3 | 1 | 0 | 0 |
| | | 28.09 | ევროლიგა | VS ლე მანი (საფ) | 80:66 | 31 | 10 | 4 | 3 | 1 | 0 |
| ვიქტორ სანიკიძე | მონტეპასკი (იტ) | 26.09 | იტალიის ჩემპ. | VS ბრინდისი | 92:65 | 23 | 9 | 3 | 2 | 1 | 1 |
| | | 30.09 | იტალიის ჩემპ. | რეჯო ემილია VS | 57:61 | 18 | 4 | 6 | 0 | 1 | 0 |
| გიორგი შერმადინი | მაქაბი (ისრ) | 29.09 | პარიზის ტურ. | პარიზი VS | 79:87 | - | 12 | 11 | 2 | 0 | 3 |
| | | 30.09 | პარიზის ტურ. | VS გალათასარაი | 69:63 | - | 12 | 4 | 0 | 0 | 5 |
| გიორგი ცინცაძე | ბუდიველნიკი (უკრ) | 29.09 | პეტერბ. ტურ. | VS კალევი (ესტ) | 74:61 | - | 15 | - | 4 | 4 | 0 |
| | | 30.09 | პეტერბ. ტურ. | სპარტაკი (რუს) VS | 75:76 | - | 0 | 2 | 2 | 0 | 0 |
| ბექა ბურჯანაძე | კახასოლი (ესპ) | 30.09 | ესპანეთის ჩემპ. | VS მურსია | 77:93 | 4 | 3 | 1 | 0 | 0 | 0 |
| სერგო ათუაშვილი | პალანგა (ლიტ) | 26.09 | ლიტვის ჩემპ. | VS ჟალგირისი | 59:101 | 29 | 5 | 6 | 4 | 1 | 1 |
| | | 30.09 | ლიტვის ჩემპ. | რუდუპისი VS | 110:81 | 16 | 6 | 4 | 0 | 1 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# პირველი მარცხი და ლიდერის ცვლა ელიტაში

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში მე-7 ტურის შეხვედრები გაიმართა, რომლის შემდეგაც სატურნირო ცხრილში ლიდერის ცვლილება მოჰყვა. დავით ქუბრიაშვილის, კონსტანტინე მიქაუტაძისა და ლევან ჩილაჩავას „ტულონმა“ პირველი მარცხი განიცადა, რის გამოც პოზიციის დათმობამ მოუწია.**


უკანა პლანზე კონსტანტინე მიქაუტაძე

გათამაშებას სათავეში **დავით ზირაქაშვილისა** და **ვიქტორ კოლელიშვილის** „კლერმონი“ ჩაუდგა, რომელმაც შინ დაამარცხა **ზურაბ ჟვანიას** „სტად ფრანსე“ - 28:25. აღსანიშნავია, რომ პირველი ტაიმი სტუმრების, პარიზელი მორაგბეების უპირატესობით წარიმართა. „ვულკანებმა“ თამაშის დალაგება ვერაფრით მოახერხეს და შესვენებაზე 12-ქულიანი ჩამორჩენით წავიდნენ - 10:22.

მეორე ნახევარში კლერმონელებმა მდგომარეობის გამოსწორება შეძლეს და 66-ე წუთზე ანგარიში გაათანაბრეს - 22:22. თუმცა „სტად ფრანსემ“ ხუთ წუთში საჯარიმოთი ისევ შეძლო დაწინაურება - 25:22. გამარჯვების მიღწევა მასპინძლებმა დასკვნით ორ წუთში მოახერხეს. ცხრა ნომერმა **მორგან პარამ** 78-ე წუთზე საჯარიმოთი ანგარიში გაათანაბრა, რასაც მგეზავმა **ბრუკ ჯეიმზმა** ბოლო წუთზე არეკნიც მიაყოლა - 28:25. აღსანიშნავია, რომ პარამ ხუთი საჯარიმო და ერთი გარდასახვა გაიტანა (17 ქულა), ჯეიმზმა კი ორი არეკნი (6 ქულა).

ზირაქაშვილი ტრავმირებულია და არ უთამაშია, კოლელიშვილი განაცხადში იყო, ჟვანია პარიზელთა თადარიგში გახლდათ, თუმცა მოედანზე არ გამოჩენილა.

„კლერმონს“ ამ გამარჯვების შემდეგ 27 ქულა დაუგროვდა და, როგორც უკვე ვთქვით, პირველ ადგილზეა. ამდენივე ქულა აქვს და სატურნირო ცხრილის მეორე საფეხური **უჭირავს დავით ქუბრიაშვილის, კონსტანტინე მიქაუტაძისა და ლევან ჩილაჩავას** „ტულონს“. ჩვენებურთა ეს გუნდი მე-6 ტურამდე დაუმარცხებელი იყო, მაგრამ ამჯერად სტუმრად ვერას გახდა საფრანგეთის ჩემპიონთან, **ჯაბა ბრეგვაძისა და ვასილ კაკოვინის** „ტულუზთან“ - 9:32.

მასპინძლებმა საკმაოდ გადახალისებული შემადგენლობით მოთამაშე მეტოქესთან უპირატესობა დასაწყისშივე მოიპოვეს და 27-ე წუთისთვის 16:0 იგებდნენ. „ტულონმა“ მონაგარს პირველი ქულები 33-ე წუთზე შესძინა. საჯარიმო ზუსტად **ჯონი ვილკინსონის** შემცვლელმა მგეზავმა **ფრედერიკ მიშალაკმა** გაიტანა. მან კიდევ ორი საჯარიმო მიითვალა, თუმცა ამას მატჩის საბოლოო ანგარიშზე გავლენა არ მოუხდენია.

ტულუზელებმა მატჩი აღმავლობით ჩაატარეს და ჩემპიონატში უმთავრესი კონკურენტი დამაჯერებლად დაამარცხეს. თუმცა ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ სტუმართა გუნდს ძირითადი შემადგენლობის 14 მორაგბე აკლდა. „ტულონის“ მთავარმა მწვრთნელმა **ბერნარ ლაპორტმა** მათ დასვენების საშუალება მისცა. საქართველოს ნაკრების შერკინების ბურჯმა დავით ქუბრიაშვილმა კი ტრავმის გამო არ ითამაშა. ახლახან ფრანგულ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ „დუდუ“ გამოჯანმრთელდა და მომდევნო ტურში აუცილებლად ითამაშებს.

ქართველი მორაგბეებიდან ამ შეხვედრაში მხოლოდ კონსტანტინე მიქაუტაძემ იასპარეზა. ის ძირითად შემადგენლობაში იყო და 58-ე წუთზე შეცვალეს, ბრეგვაძე და კაკოვინი დაშავებულნი არიან, ჩილაჩავა განაცხადში არ იყო. „ტულუზს“ ახლა 24 ქულა აქვს და მე-3 ადგილზეა.

საკმაოდ დაძაბული გამოდგა **მამუკა გორგოძის, მიხეილ ნარიაშვილისა და გიორგი ჟღენტის** „მონპელიეს“ საშინაო დაპირისპირება **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრთან“. მასპინძლებმა, რომლებსაც რამდენიმე ტრავმირებული და არგენტინის ნაკრებში მივლინებული ექვსი მორაგბე აკლია, უმძიმეს ბრძოლაში უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვეს უშუალო კონკურენტთან - 19:12.

მიუხედავად იმისა, რომ სათამაშო უპირატესობას მონპელიელები ფლობდნენ, ანგარიში მე-16 წუთზე სტუმრებმა გახსნეს სამხრეთაფრიკელი ცხრა ნომრის, **რორი კოკოთის** საჯარიმოს წყალობით. „მონპელიემ“ ანგარიშის გათანაბრება 30-ე წუთზე შეძლო, თუმცა ტაიმი მაინც წააგო - 3:6.

შესვენების შემდეგ, 57-ე წუთისთვის კასტრელები ცხრა ქულის სხვაობით დაწინაურდნენ - 12:3. მასპინძლები ამის შემდეგ კიდევ უფრო გააქტიურდნენ და ანგარიში დაწინაურება 66-ე წუთზე შეძლეს - 13:12. საბოლოოდ კი **ბენუა პეილონგმა** კიდევ ორჯერ გაიტანა საჯარიმო.

გორგოძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა, ჟღენტი ძირითად შემადგენლობაში იყო და 57-ე წუთზე შეცვალეს, ნარიაშვილი და ფეიქრიშვილი ტრავმირებულნი არიან.


მარცხნივ გიორგი ჟღენტი

### I დივიზიონი

#### VII ტური

**კლერმონი-სტად ფრანსე 28:25, მონპელიე-კასტრი 19:12, პერპინიანი-მონ დე მარსანი 15:6, გრენობლი-მეტრო რასინგი 27:13, აჟენი-ბორდო 19:15, ტულუზი-ტულონი 32:9, ბიარიცი-ბაიონი 15:16.**

#### სატურნირო მდგომარეობა

**1. კლერმონი - 27 ქულა, 2. ტულონი - 27, 3. ტულუზი - 24, 4. ბიარიცი - 19, 5. გრენობლი - 18, 6. მეტრო რასინგი - 18, 7. მონპელიე - 18, 8. კასტრი - 16, 9. პერპინიანი - 15, 10. აჟენი - 14, 11. სტად ფრანსე - 11, 12. ბაიონი - 11, 13. ბორდო - 10, 14. მონ დე მარსანი - 0.**

#### VIII ტური

**კასტრი-კლერმონი, ბიარიცი-ტულონი, გრენობლი-პერპინიანი, ბაიონი-აჟენი, მეტრო რასინგი-მონპელიე, მონ დე მარსანი-სტად ფრანსე, ბორდო-ტულუზი.**

ელიტურ, მეორე დივიზიონში ამ უქმეებზე შესვენება იყო. შეგახსენებთ, რომ აქ ქართველ მორაგბეთა რვა გუნდი ასპარეზობს. ამათგან სამი „ორიაკი“ **(ლევან დათუნაშვილი, კარლენ ასეიშვილი და გიორგი ნაცარაშვილი)**, „ლიონი“ **(გურამ კათიძე)** და „ტარბი“ **(გიორგი ჩხაიძე, ირაკლი მირცხულავა, დავით დადუნაშვილი და გიორგი ნემსაძე)** მეორე-მეოთხე ადგილებს იყოფენ. გათამაშებას კი დაუმარცხებლად „ოიონაქსი“ ლიდერობს.

პლეი ოფში მოხვედრისთვის იბრძვის **ალექსანდრე თოდუას, ვახტანგა ახობაძის, ვახტანგ მაისურაძის, კახაბერ კობერიძისა** და **ვახტანგ ახობაძის** „ალბი“, რომელიც 13 ქულით მე-6 ადგილზეა. ამავე მიზნის მიღწევის შანსი აქვს **დავით ხინჩაგიშვილის, გოდერძი შველიძისა** და **ირაკლი ნატრიაშვილის** „ბრივს“, რომელიც „ალბის“ ორი ქულით ჩამორჩება.

როგორც ჩანს, დივიზიონში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძოლებენ „მასი“ **(შალვა სუთიაშვილი, დავით აშვეთია)**, „ბეზიე“ **(ბექა შეყლაშვილი)** და „დაქსი“ **(ტარიელ რატიანიძე)**.

### II დივიზიონი

#### სატურნირო მდგომარეობა

**1. ოიონაქსი - 20 ქულა, 2. ორიაკი - 16, 3. ლიონი - 15, 4. ტარბი - 15, 5. პო - 13, 6. ალბი - 13, 7. კარკასონი - 12, 8. ოში - 12, 9. ლა როშელი - 11, 10. ბრივი - 11, 11. ნარბონი - 10, 12. კოლომიე - 10, 13. მასი - 9, 14. ბეზიე - 9, 15. ექსი - 7, 16. დაქსი - 2.**

#### VI ტური

**კარკასონი-ოიონაქსი, ექსი-ტარბი, ალბი-ორიაკი, კოლომიე-ლა როშელი, ბრივი-ოში, ბეზიე-პო, დაქსი-მასი, ლიონი-ნარბონი.**

■ ■ ■

კელტთა ლიგაში მე-5 ტურის მატჩები გაიმართა. საქართველოს ნაკრების მესამეხაზელის **დიმიტრი ბასილაიას** „ედინბურგმა“ სტუმრად წააგო ერთ-ერთ აუტსაიდერთან, უელსურ „ნიუპორტთან“ - 12:32. შოტლანდიური კლუბისთვის ეს ზედიზედ მეორე მარცხი იყო. თამაში ედინბურგელებმა აქტიურად დაიწყეს და მე-11 წუთისთვის დაწინაურდნენ კიდეც - 7:0. ამის შემდეგ ჩვენებურის გუნდს მეორე ტაიმის 64-ე წუთამდე არაფერი შეუმატებია. მასპინძლებმა კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 32 ქულა დააგროვეს და სატურნირო ცხრილის ფსკერს თავი დააღწიეს. „ედინბურგი“ კი 11 ქულით მე-7 ადგილზეა.

დიმიტრი ბასილაია სათადარიგოთა შორის იყო და თამაშში 60-ე წუთიდან ჩაერთო.

### კელტთა ლიგა

#### V ტური

**ნიუპორტი-ედინბურგი 32:12, კარდიფი-ალსტერი 19:48, გლაზგო-ზებრე 22:19, ქონოთი-ლენსტერი 34:6, ბენეტონი-პლანეპლი 22:20, ოსფრიზი-მანსტერი 30:15.**

#### სატურნირო მდგომარეობა

**1. ალსტერი - 17 ქულა, 2. პლანეპლი - 16, 3. მანსტერი - 14, 4. გლაზგო - 14, 5. კარდიფი - 14, 6. ლენსტერი - 13, 7. ედინბურგი - 11, 8. ქონოთი - 10, 9. ოსფრიზი - 10, 10. ნიუპორტი - 9, 11. ბენეტონი - 9, 12. ზებრე - 1.**

#### VI ტური

**ზებრე-ოსფრიზი, პლანეპლი-ნიუპოტი, ალსტერი-ქონოთი, ედინბურგი-ბენეტონი, კარდიფი-გლაზგო, ლენსტერი-მანსტერი.**


ბურთით მამუკა გორგოძე

საქართველოს ჩემპიონატი

# თიბისი ისევ დაუმარცხებელია

საქართველოს ჩემპიონატის პირველი ლიგის აღმოსავლეთ ზონაში მე-5 ტურის შეხვედრები გაიმართა. ისევ დაუმარცხებლად განაგრძობს ასპარეზობას თბილისის „თიბისი“, რომელმაც თანაქალაქელი „დინამო“ დაამარცხა - 34:12. ამ თბილისურ გუნდს, რომელსაც სხვებთან შედარებით ერთით ნაკლები თამაში აქვს გამართული, 18 ქულა დაუგროვდა და პირველ ადგილზეა.

„თიბისის“ სამი ქულით ჩამორჩება და კვალში უდგას პატარძეულის „ვეფხვები“, რომელმაც შინ დიდი ანგარიშით სძლია თბილისის „უნივერსიტეტს“ - 101:7. პატარძეულელებს ერთი ქულით ჩამორჩება და მესამე ადგილზეა გარდაბნის „მგლები“, რომელმაც უმძიმეს ბრძოლაში სტუმრად დაამარცხა სამოყვარულო კლუბი თბილისის „დევები“ - 22:21. მეოთხეადგილოსანმა თბილისის „ხულიგანამ“ კი „ივერიას“ სძლია - 28:20.

### I ლიგა

#### აღმოსავლეთი ზონა

#### V ტური

**ვეფხვები-უნივერსიტეტი 101:7, ივერია-ხულიგანა 20:28, დინამო-თიბისი 12:34, დევები-მგლები 21:22.**

#### სატურნირო მდგომარეობა

**1. თიბისი - 18 ქულა, 2. ვეფხვები - 15, 3. მგლები - 14, 4. ხულიგანა - 13, 5. დინამო - 10, 6. ტორნადო - 8, 7. ივერია - 8, 8. დევები - 6, 9. უნივერსიტეტი - 1.**

#### VI ტური

**მგლები-უნივერსიტეტი, დევები-დინამო, თიბისი-ივერია, ხულიგანა-ტორნადო.**

სტარტი აიღო გათამაშებამ დასავლეთ ზონაში, სადაც უმაღლეს ლიგაში აღზევებისთვის ექვსი გუნდი იბრძვის. პირველ ტურში შეჯიბრების სავარაუდო ფავორიტმა ქუთაისის „ბაგრატმა“ შინ მოუგო დიდი ანგარიშით „მარტვილს“ - 83:0. ფოთის „რაინდებმა“ საკუთარ მოედანზე დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხეს ბათუმის „დელფინები“ - 15:8. ოზურგეთის „არწივებმა“ კი მშრალი ანგარიშით სძლიეს საჩხერის „ჯრუჭს“ - 46:0.

#### დასავლეთი ზონა

#### I ტური

**ბაგრატი-მარტვილი 83:0, რაინდები-დელფინები 15:8, არწივები-ჯრუჭი 46:0.**

#### სატურნირო მდგომარეობა

**1. ბაგრატი - 5 ქულა, 2. არწივები - 5, 3. რაინდები - 4, 4. დელფინები - 1, 5. ჯრუჭი - 0, 6. მარტვილი - 0.**

#### II ტური

**მარტვილი-რაინდები, დელფინები-ჯრუჭი, ბაგრატი-არწივები.**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. NBA. 2012-13 წელი


დენი გრეინჯერი, როი ჰიბერტი და ჯორჯ ჰილი

# სეზონის წინ: ინდიანა პეისერსი

### ინდიანა პეისერსი 2011-12

**თავდასხმა:** საშუალოდ 103,5 ქულა - მე-9 ლიგაში

**დაცვა:** საშუალოდ 100,4 ქულა - მე-10 ლიგაში

### წინა ხაზი

ამ ზაფხულს **როი ჰიბერტის** შენარჩუნება „ინდიანას“ მთავარი ამოცანა იყო. არა იმიტომ, რომ ის იდეალური ცენტრის მაგალითია, არამედ იმის გამო, რომ დღეისთვის რთულია ასოციაციაში იპოვო ასეთი ახალგაზრდა და მაღალი კალათბურთელი, რომელიც „ყველა ვარსკვლავის“ დონეს აკმაყოფილებს და ამასთან, სურს „ინდიანაში“ ითამაშოს.

**შეფასება:** 5 მინუსით

### უკანა ხაზი

ძირითადი გამთამაშებლის საკითხი გადაწყვეტილია. **ჯორჯ ჰილს** სწრაფად შესთავაზეს ახალი კონტრაქტის გაფორმება, **დარენ კოლისონი** კი „დალასში“ გაუშვეს. **ერიკ გორდონის** მიღება ძალიან რთული საკითხი აღმოჩნდა, ასე რომ, შემტევი მცველის პოზიციაზე თამაშს დაიწყებს **პოლ ჯორჯი.**

**შეფასება:** 4

### დაცვა

**დანტეი ჯონსი** საკმაოდ კარგად ართმევდა თავს პერიმეტრზე მეტოქეთა სუპერვარსკვლავების მეურვეობას. მაგრამ „ინდიანას“ ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ უკეთესია გააძლიეროს დაცვის უკანა ხაზი - ამიტომაც, კოლისონთან ერთად ჯონსიც „დალასში“ გაუშვა და სანაცვლოდ ფრანგი ცენტრი **იან მაინმი** აიყვანა.

**შეფასება:** 4 მინუსით

### სათადარიგოთა სკამი

**დიჯეი ოგასტინი** ჰილს შეცვლის. **მაიკლ პლამლი** მიიღებს სათამაშო დროს, რომელიც **ჯეფ ფოსტერისთვის** და **ლუის ამუნდსონისთვის** იყო გამოყოფილი, **ჯერალდ გრინი** კი - იქს-ფაქტორია, რომლისგანაც ყველაფერია მოსალოდნელი. კონკრეტულად რა, ამას ის თავადაც ვერ გეტყვით.

**შეფასება:** 4

### მწვრთნელი

**ფრენკ ვოგელის** სამუშაო „პეისერსის“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე დადებითად უნდა შეფასდეს. გუნდი მისი ხელმძღვანელობით აშკარად პროგრესირებს. სავარაუდოდ, ის შეინარჩუნებს თავის თანაშემწეს **ბრაიან შოს**, რადგან ამ სპეციალისტის ამბიციები - ჩაებარებინა NBA-ის რომელიმე კლუბი, დაუკმაყოფილებელი დარჩა.

**შეფასება:** 4

### საბოლოო შეფასება

ამ ზაფხულს, „ინდიანასთვის“ განვითარების სხვა გზაც არსებობდა. თავიდან გუნდს სურდა **დონი უოლშის** დაბრუნება და **კევინ პრიტჩარდის** გაფორმება. მაგრამ პლეი ოფში წარმატებული გამოსვლისა და მომავალ ჩემპიონებთან ღირსეული მარცხის შემდეგ, მათ კონტრაქტი გაუგრძელეს **ლარი ბერდს**. სწორედ ამ უკანასკნელის დამსახურებაა შარშანდელი პროგრესი. სწორედ ლარიმ შეკრიბა დიდი შრომის წყალობით ეს ორგანიზაცია, რომელმაც, როგორც იქნა, დაიწყო მაყურებლებისთვის სიხარულის მოტანა.

პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ შეუძლებელია განვითარების ამ ეტაპზე გუნდის რეალური ძალის გაგება. სავარაუდოდ, ის გაუსწრებს **დერიკ როუზის** გარეშე დარჩენილ „ჩიკაგო ბულზს“ და მოიგებს ცენტრალურ დივიზიონს. მაგრამ მეტოქის სისუსტის გამოყენება და საკუთარი პროგრესი - განსხვავებული ცნებებია. გუნდს არ უნდა ჰქონდეს ახალბედათა იმედი და პირველ რიგში, პროდუქტიულობით უნდა იყვნენ გამორჩეულნი შარშანდელი მოთამაშეები - ჯორჯი, **გრეინჯერი**, ჰიბერტი, **უესტი** და ჰილი.

**საერთო შეფასება:** 4 პლუსით

# ყველას ლებრონი სჯობია

„მაიამი ჰიტის“ ლიდერი **ლებრონ ჯეიმსი** ამ მომენტისთვის ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის საუკეთესო კალათბურთელად დაასახელეს. გამოკითხვა ავტორიტეტულმა სპორტულმა პორტალმა ESPN-მა ჩაატარა.

104-მა ექსპერტმა ათბალიანი სისტემით შეაფასა თითოეული მოთამაშის დღევანდელი დონე. ჯეიმსმა შეძლო შარშანდელი პოზიციის შენარჩუნება.

NBA-ის საუკეთესო მოთამაშეების რეიტინგი ESPN-ის ვერსიით:

1(1). ლებრონ ჯეიმსი („მაიამი“)
2(6). კევინ დურანტი („ოკლაჰომა“)
3(2). დუაიტ ჰოვარდი („ლეიკერსი“)
4(4). კრის პოლი („კლიპერსი“)
5(8). დერიკ როუზი („ჩიკაგო“)
6(7). კობი ბრაიანტი („ლეიკერსი“)
7(16). კევინ ლავი („მინესოტა“)
8(3). დუეინ უეიდი („მაიამი“)
9(15). რასელ უესტბრუკი („ოკლაჰომა“)
10(9). დერონ უილიამსი („ბრუკლინი“)

**შენიშვნა:** ფრჩხილებში მოცემულია ადგილი 2011 წლის რეიტინგში

ჩოგბურთი. ტურნირების მიმოხილვა

# გასკეს და მონაკოს შვიდიანები

თუ ქალთა ტურში ა ზიური სერია უკვე კარგა ხანია დაწყებულია, ATP-ის ტურში მხოლოდ გასულ კვირას გაიმართა „250“ კატეგორიის პირველი ორი აზიური ტურნირი. ეს სერია ოქტომბრის შუაში, შანხაის მასტერსით დასრულდება.


რიშარ გასკე

შარშანდელისგან განსხვავებით, ბანგკოკისა და კუალა ლუმპურის ტურნირების ორგანიზატორებმა ვერ შეძლეს „დიდი ოთხეულის“ რომელიმე წევრის მიწვევა. შარშან, ბანგკოკში გამარჯვება **ენდი მიურეიმ** მოიპოვა, მაგრამ ბრიტანელმა გადაწყვიტა, არ დაეცვა ტაილანდში შარშანდელი ტიტული. მის არყოფნაში, განთესვის პირველი ნომერი **იანკო ტიპსარევიჩმა** მიიღო, რომელიც ATP-ის რეიტინგში მეცხრე ადგილს იკავებს. სერბს ფინალამდე ერთი ნაბიჯი დააკლდა - ნახევარფინალში წააგო **ჟილ სიმონთან** - 4:6, 4:6. სხვათა შორის, ფრანგმა ექვსი ურთიერთშეხვედრიდან მეხუთედ დაამარცხა სერბი.

რაც შეეხება ფინალში მეტოქეს, სიმონს ის არასოდეს დაუმარცხებია, არადა, ხუთჯერ შეხვდა მას. ლაპარაკია **რიშარ გასკეზე**, რომელიც წელს თავის მესამე ფინალს თამაშობდა. რიშარმა ფინალამდე უფრო მძიმე გზა გაიარა, ვიდრე სიმონმა, რომელმაც ყველა შეხვედრა ორ სეტში მოიგო. თავიდან მან სამ სეტში მოუგო **გრიგორ დიმიტროვს**, რომელმაც 21 ეისი ჩააწოდა. მეოთხედფინალში ასევე რთული ბრძოლა იყო **ბერნარდ ტომიჩის** წინააღმდეგ - 7:6, 6:4. ნახევარფინალში კი ფრანგი ახლო იყო გავარდნასთან, მაგრამ 3:6, 0:4-დან გადაარჩინა თამაში **იარკო ნიემინენთან.**

მაგრამ ფინალში ბრძოლა არ შედგა. სიმონმა პირველივე გეიმში გააკეთა ბრეიკი, მაგრამ ამით მისი წარმატებები დასრულდა. თამაშზე კონტროლი მთლიანად გასკეს მხარეს გადავიდა და მან 68 წუთში გაიმარჯვა - 6:2, 6:1. ეს მეშვიდე ტიტულია 26 წლის გასკეს კარიერაში.

■ ■ ■

კუალა ლუმპურის ტურნირის მთავარი ვარსკვლავი იყო მსოფლიოს მეხუთე ჩოგანი **დავიდ ფერერი.** მაგრამ ესპანელი ვერ გახდა მალაიზიური შეჯიბრების ტრიუმფატორი. დავიდს ჯერ კიდევ მეოთხედფინალში შეექმნა პრობლემები **იგორ სისლინგთან** დაპირისპირებაში. მანამდე ამ უკანასკნელმა სენსაციურად გამოთიშა ბრძოლას მეორე ესპანელი **ფელისიანო ლოპესი,** რომელსაც ორი ტაი-ბრეიკი მოუგო. ჰოლანდიელმა სერიოზული ბრძოლა გაუმართა ფერერს, მაგრამ პირველ სეტში გამარჯვება საერთო წარმატებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. დავიდმა თამაშში გარდატეხა შეიტანა და სამ სეტში მოიგო. ნახევარფინალური მატჩი უფრო გამოცდილ **ჟულიენ ბენეტოსთან** ესპანელისთვის წარუმატებლად დასრულდა. ფერერისთვის ერთ-ერთმა ყველაზე უხერხულმა მეტოქემ ძალიან დამაჯერებლად მოიგო - 6:4, 6:1. ფერერმა მხოლოდ მესამედ წააგო სეზონში TOP30-ის მიღმა მყოფ ჩოგბურთელთან. ბენეტოსთან ურთიერთშეხვედრებში ანგარიში გათანაბრდა - 4:4.

ბენეტოს მეტოქე ფინალში არგენტინელი **ხუან მონაკო** გახდა, რომელიც მეორე ნომრად იყო განთესილი. ნახევარფინალში მან დიდი გაჭირვებით მოუგო **კეი ნიშიკორის.** მესამე სეტში იაპონელი ახლოს იყო გამარჯვებასთან, მაგრამ მატჩბოლებზე სამი უნებლიე შეცდომის გამო, მონაკოს თამაშში დაბრუნების საშუალება მისცა და არგენტინელმა ტაი-ბრეიკზე გაიფორმა გამარჯვება.

ფინალი ბენეტოსა და მონაკოს შორის ძალიან საინტერესო და დაძაბული გამოვიდა. მარტო პირველი სეტი 81 წუთი გაგრძელდა - უფრო მეტი, ვიდრე სიმონისა და გასკეს ფინალი. საერთო ჯამში, ინიციატივას მონაკო ფლობდა, ის უფრო აქტიურად მოქმედებდა და უკანა ხაზზე ჯობდა მეტოქეს. მართალია, ბენეტომ ბრეიკით წაიყვანა ანგარიში - 2:0, მონაკომ მალე გაათანაბრა, ხოლო მერვე გეიმში აღებული ბრეიკით სეტზე ჩაწოდების უფლება მიიღო. როცა არგენტინელმა სამმაგი სეტბოლი მოიპოვა, პარტიას დრამატული დაბოლოება აღარ უნდა ჰქონოდა, მაგრამ მონაკომ შეცდომები დაუშვა და სულ მალე ანგარიში გათანაბრდა - 5:5.

სეტის კულმინაცია იყო მე-12 გეიმი ბენეტოს მოწოდებაზე. ის 20 [illegible]ზე მეტხანს გაგრძელდა და 12-ჯერ იყო ანგარიში „თანაბარი“! ჟულიენმა ამ გეიმში რვა სეტბოლი მოიგერია, თანაც აქტიური მოქმედებებით. ის ხანდახან ბურთებს წაქცეული იგერიებდა და ერთხელ ასეთ მდგომარეობაში ფეხი ძალიან დაიზიანა. და მაინც, გეიმის ბოლოს ფრანგი აშკარად დაიღალა და შეცდომების დაშვება დაიწყო. მეცხრე სეტბოლზე ის ბადესთან გაიქცა და ამ დროს ფეხებში უხერხული დარტყმა მიიღო, რომლის მოგერიება ვერ შეძლო.

ჟულიენმა გამონახა რეზერვი მეორე პარტიისთვის და მხარის ტრავმის მიუხედავად, გააგრძელა ბრძოლა. მან შეძლო მატჩის მესამე სეტში გადაყვანა, მაგრამ გადამწყვეტ პარტიაში მონაკომ მეტი ენერგია შემოინახა და კარიერაში მეშვიდე ტიტული მოიპოვა. ბენეტოს კი ამდენივე ფინალი აქვს წაგებული და ჯერაც არ მოუგია ტურნირი ATP-ის ტურში.

### Thailand Open

ბანგკოკი (ტაილანდი)

**ფინალი**

**რიშარ გასკე (საფ, 2)**-ჟილ სიმონი (საფ, 4) 6:2, 6:1.

### Malaysian Open

კუალა ლუმპური

**ფინალი**

**ხუან მონაკო (არგ, 2)**-ჟულიენ ბენეტო (საფ, 7) 7:5, 4:6, 6:3.

# შარაპოვას ორმაგი სტანდარტი


მარია შარაპოვა

რუსმა ჩოგბურთელმა **მარია შარაპოვამ** მხარი დაუჭირა ქალთა საჩოგბურთო ასოციაციის ბრძოლას ქალ მოთამაშეთა მატჩების დროს ყვირილის წინააღმდეგ ბრძოლის კამპანიას.

როგორც იცით, ეს ბრძოლა WTA-მ უკვე დიდი ხანია დაიწყო. ასოციაციის წარმომადგენლები აპირებენ მსაჯებს დაურიგონ სპეციალური ხელსაწყოები, რომლითაც გაიზომება კორტზე ხმაურის დონე. გარდა ამისა, დაგეგმილია აღმზრდელობითი სამუშაოები ბავშვთა საჩოგბურთო აკადემიებში.

შარაპოვა, რომლის ყვირილის დონე მატჩების დროს უტოლდება პნევმატური სამტვრევისა და მატარებლის ხმაურის დონეს, მხარს უჭერს ამ წამოწყებას.

*„რამდენადაც მახსოვს, მატჩების დროს ყოველთვის ვყვიროდი. არავის მოუცია ასეთი რჩევა, ეს უბრალოდ - ჩვევაა. მხარს ვუჭერ ჩოგბურთის ასოციაციის მიერ შექმნილ გეგმას. აკადემიაში მწვრთნელებმა სუნთქვის სპეციალური ტექნიკა ასწავლეს ბავშვებს, იმიტომ, რომ მოზრდილ ასაკში არ გაუჭირდეთ ამ ჩვევის მოშორება“,* - აღნიშნავს რუსი ჩოგბურთელი.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

● ხელბურთი

# საფრანგეთში ხელბურთელები დააპატიმრეს

## დაკავებულთა შორისაა ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი

გუშინ, საფრანგეთის პოლიციამ ქვეყნის წამყვანი სახელბურთო კლუბის - „მონპელიეს" რვა ხელბურთელი დააპატიმრა. ისინი ეჭვმიტანილნი არიან ჩაწყობილი თამაშების ორგანიზებაში. ამის შესახებ სააგენტო France-Press იუწყება.

დაპატიმრებულთა შორისაა მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ხელბურთელი, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი **ნიკოლა კარაბატიჩი** და მისი ძმა - **ლუკა კარაბატიჩი**. ისინი „პარი სენ-ჟერმენთან" კალენდარული მატჩის შემდეგ აიყვანეს. ამ შეხვედრაში „მონპელიე" 24:38 დამარცხდა.

ადრე ვწერდით იმის შესახებ, რომ პროკურატურის წარმომადგენლებმა ჩაწყობილ მატჩებთან დაკავშირებით დაჰკითხეს „მონპელიეს" მოთამაშეები და გუნდის თანამშრომლები. სულ 12 ადამიანი იყო ეჭვმიტანილი. გუშინ კი ჩატარდა სპეციალური ოპერაცია და ხელბურთელებს პირდაპირ გასახდელში მიაკითხეს. ლაპარაკია საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს სამსახურზე, რომელიც უშუალოდ არის დაკავებული სპორტულ ტოტალიზატორებთან დაკავშირებული საქმეების გამოძიებით.

ფრანგული კანონების თანახმად, წინასწარი დაკავების ვადაა - 24 საათი. სავარაუდოდ, დღეს პრესისთვის განმარტებას გააკეთებს ქალაქ მონპელიეს პროკურორი, რომლის ხელმძღვანელობით მიმდინარეობს გამოძიება.

შეგახსენებთ, „მონპელიე" ჩაწყობილ თამაშებში მას შემდეგ დაადანაშაულეს, რაც რამდენიმე დღის წინ, ფრანგულმა პრესამ გამოაცხადა, რომ კლუბის მოთამაშეებმა შეგნებულად წააგეს მატჩი, რომელიც 2012 წლის გაზაფხულზე გაიმართა. იმ თამაშზე ფსონები ჰქონდათ გაკეთებული მოთამაშეთა მეგობრებსა და ნათესავებს. პრესის ცნობით, ფსონის საერთო ოდენობა 5 ათასი დოლარი იყო, მოგებულმა თანხამ კი 200 ათასი დოლარი შეადგინა.

● კრივი

# კლიჩკოს ოლიმპიადაზე არ გაუშვებენ

საშუალო წონაში WBC-ის ჩემპიონმა **სერხიო მარტინესმა** ესპანური ტელეარხისთვის მიცემულ ინტერვიუში ბრძოლაში გამოიწვია მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მოკრივე, პირველ საშუალო წონაში მსოფლიოს ჩემპიონი **ფლოიდ მეივეზერი**. 37 წლის მარტინესი ამჟამად აღდგენით პროცესს გადის იმ ტრავმებისგან, რომელიც **ხულიო სესარ ჩავესთან** ბრძოლაში მიიღო, მაგრამ არგენტინელი ირწმუნება, რომ მომავალი წლის ნოემბრამდე შეხვდება დაუმარცხებელ ამერიკელს. რაც შეეხება **მენი პაკიაოსთან** სავარაუდო ბრძოლას, მარტინესმა განაცხადა, მასთან წონაში დიდი სხვაობაა.

*„როგორც კი ხელში ჩაგიგდებ, ისევე დაგიმტვრევ ძვლებს, როგორც ეს ჩავესთან ბრძოლაში გავაკეთე, - ამბობს მარტინესი. - ჩავესს განადგურებას დავპირდი და პირობა ავასრულე. მოემზადე ფლოიდ, 2013 წელს მოგძებნი. ის ცაში დაფრინავს, მაგრამ, როგორც კი ჩემს სიტყვებს გაიგონებს, მიწაზე დაეცემა.*

*პაკიაოსთან ბრძოლა შეუძლებელია. წონაში დიდი სხვაობაა. მაქსიმალური წონა, რომელიც მან შეიძლება აკრიფოს, 65 კილოგრამია, ჩემი მაქსიმალური წონა კი 70 კილოგრამს შეადგენს".*

■ ■ ■

ბერლინური პრომოუტერული კომპანია Sauerland Event-ის ხელმძღვანელებმა - **ვილფრიდ და კალე ზაუერლანდებმა** სამ სუპერმძიმეწონოსანს სთავაზობენ WBA-ის, IBF-ისა და WBO-ის ჩემპიონ **ვლადიმერ კლიჩკოს**.

პირველი ვარიანტია WBA-ის რეგულარულ ჩემპიონთან **ალექსანდრ პოვეტკინთან** შეხვედრა. ამ ბრძოლის გამართვის სავარაუდო თარიღი 2013 წლის გაზაფხულია.


ვლადიმერ კლიჩკო

მეორე ვარიანტის მიხედვით, Sauerland Event-ის მებრძოლმა **კუბრატ პულევმა** მიიღო უკრაინელ ჩემპიონთან შეხვედრის შანსი მას შემდეგ, რაც 29 სექტემბერს, ჰამბურგში დაამარცხა **ალექსანდრ უსტინოვი** და IBF International-ის ტიტული მოიპოვა.

მესამე ვარიანტი: **რობერტ ჰელენიუსმა** უნდა გაიუმჯობესოს საკუთარი პოზიციები IBF-ის რეიტინგში, რათა მიიღოს მსოფლიოს ჩემპიონთან შეხვედრის უფლება.

*„ასე რომ, მივიღებთ ჩემპიონის ტიტულის მოგების სამ შანსს და მოვაწყობთ უმაღლესი კლასის ბრძოლებს"*, - განაცხადა ვილფრიდ ზაუერლანდმა.

■ ■ ■

ერთ-ერთ წინა ნომერში ვწერდით იმის შესახებ, რომ ვლადიმერ კლიჩკო 2016 წელს, რიო-დე-ჟანეიროს ოლიმპიადაზე გამოსვლას აპირებდა. უკრაინელს სურდა 1996 წლის ზაფხულის თამაშებზე, ტრიუმფიდან 20 წლის თავზე, ისევ მოეგო ოლიმპიადის ოქროს მედალი. მაგრამ ჩემპიონის ოცნებებს ასრულება არ უწერია.

გერმანიის კრივის ფედერაციის პრეზიდენტმა **იურგენ კიასმა** განაცხადა, რომ ოლიმპიადაზე მონაწილეობა შეუძლიათ 40 წლამდე ასაკის მოკრივეებს, გარდა ამისა, მათ პროფესიულ რინგზე არ უნდა ჰქონდეთ ჩატარებული 15 ბრძოლაზე მეტი. ამჟამად, ვლადიმერ კლიჩკოს ანგარიშზეა 61 ბრძოლა და თან, 2016 წლის ოლიმპიადის დაწყებამდე ოთხი თვით ადრე ის 40 წლის გახდება.

● ამბები

**ჰოკეი**

## სამი უშედეგო მოლაპარაკება

ბოლო დღეებში ჰოკეის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელობამ და მოთამაშეთა პროფკავშირმა მოლაპარაკებათა რამდენიმე რაუნდი ჩაატარეს, მაგრამ ლოკაუტის გაუქმებაზე წინსვლა არ შეიმჩნევა. მხარეები სამი დღის განმავლობაში ხვდებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ ეკონომიკური საკითხები არც კი განხილულა. მხარეებმა ყურადღება მეორეხარისხოვან საკითხებზე გადაიტანეს.

*„გარკვეულ წინსვლას მივაღწიეთ რამდენიმე საკითხში. უკვე ერთგვარი პროგრესია ის, რომ მოლაპარაკებები ჩავატარეთ"*, - განაცხადა მოთამაშეთა პროფკავშირების აღმასრულებელმა დირექტორმა **დონალდ ფერმა**.

**რალი**

## კუბიცას მეორე გამარჯვება

ფორმულა 1-ის ყოფილმა პილოტმა, პოლონელმა **რობერტ კუბიცამ** გამარჯვება მოიპოვა იტალიურ „რალი ჩიტა დი ბასანოზე", რომელიც ეროვნული ტურნირის - International Rally Cup-ის ჩათვლაში შედის. 120-კილომეტრიან დისტანციაზე, რომელიც ცხრა სპეცმონაკვეთად იყო დაყოფილი, კუბიცამ უახლოეს მდევარს წუთზე მეტი მოუგო. პოლონელი Subaru Impreza-ს ავტომობილით გამოდიოდა.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე კვირის წინ, კუბიცამ მოიგო მოკლე რბოლა (36 კმ) - „რონდე გომიტოლო და ლანა". მისი შემდეგი ნაბიჯი შეიძლება გახდეს საკმაოდ ცნობილი ბელგიური „რალი კონდროზი", რომლის სიგრძე 200 კილომეტრზე მეტი იქნება. რბოლა, რომელიც ბელგიის ჩემპიონატის ჩათვლაში შედის, ნოემბრის პირველ უქმეებზე გაიმართება.

**კალათბურთი**

## ლებრონის სახელობის ნარკოტიკი

ამერიკის ქალაქ ფილადელფიაში, პოლიციისა და ფედერალური სამსახურის სპეციალური ოპერაციის შედეგად ლიკვიდირებულია ნარკოტიკების გამავრცელებელი დანაშაულებრივი ჯგუფი. საინტერესოა, რომ ჰეროინით სავსე ყველა ტომარაზე (სულ 140) ეწერა „მაიამის" ფორვარდ **ლებრონ ჯეიმსის** სახელი.

კალათბურთელმა მკვეთრად დაგმო ასეთი რეკლამა.

**ფორმულა 1**

## ბერძნებს დიდი ცირკი უნდათ

გასული წლის აპრილში, საბერძნეთის რეგიონული განვითარების სამინისტრომ მოიწონა ქვეყანაში მრავალფუნქციური ავტოდრომის მშენებლობა, რომელსაც შეეძლება ფორმულა 1-ის რბოლების მიღება. ფინანსური პრობლემების გამო პროექტი დროებით დაილუქა, მაგრამ ამ კვირას გახდა ცნობილი, რომ სახელმწიფო სუბსიდიებიდან მშენებლობის დაწყებისთვის 28.9 მილიონი გამოიყო.

სარბოლო კომპლექსის საერთო ღირებულება 94.6 მილიონად არის შეფასებული. ამ თანხის მოსაზიდად შეიქმნა საინვესტიციო ფონდი - Racetrack Patras SA. ავტოდრომი დედაქალაქ ათენთან ახლოს უნდა აშენდეს.

**გვერდი მოამზადა**
**გია თვალაბეიშვილმა**

● ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ევრო 2013 — UNDER 17**

| | |
|---|---|
| ნორვეგია-ისლანდია | 2:0 |
| მალტა-პორტუგალია | 1:2 |
| ინგლისი-უკრაინა | 1:1 |
| ესტონეთი-ფარერები | 2:1 |

**ინგლისი**

| | |
|---|---|
| ქუინზ პარკი-ვესტ ჰემი | 1:2 |

**იტალია — სერია B**

| | |
|---|---|
| ჩიტადელა-პრო ვერჩელი | 3:0 |
| ჩეზენა-ვარეზე | 2:0 |

**სერია C1/A**

| | |
|---|---|
| ალბინოლეფე-ტრევიზო | 0:0 |

**ესპანეთი**

| | |
|---|---|
| ხეტაფე-მალიორკა | 1:0 |

**გერმანია — II ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| დუისბურგი-ჰერტა | 2:2 |

**საფრანგეთი — II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ოსერი-არლი | 2:1 |

**ჰოლანდია — II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ჰელმონდი-დორდრეხტი | 0:3 |
| ვეენდამი-კამბური | 1:1 |

**დანია**

| | |
|---|---|
| მიდტიულანდი-სონდერიისკი | 1:3 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ფინი-ჰობრო | 4:4 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| ფრედრიკსტადი-ვოლერენგა | 1:2 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| იურგორდენი-მიალბიუ | 0:1 |
| ნორჩოპინგი-გაის | 7:2 |
| სირიანსკა-მალმიო | 0:2 |
| გიოტებორგი-ჰაკენი | 1:1 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| დეგერფორსი-ვარბერგი | 3:1 |
| იონჩოპინგი-ჰალმსტადი | 1:1 |
| ლანდსკრონა-ანგელჰოლმი | 1:0 |
| ჰამარბიუ-ვარნამო | 1:0 |
| ოსტერსი-უმეა | 5:1 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ლაჰტი-ტურკუ | 1:0 |
| ჰაკა-ჰიკ | 2:2 |
| იუვიასკიულა-მარიეჰამნი | 3:2 |
| ვაასა-იარო | 2:1 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| გრასჰოპერსი-სტ. გალენი | 1:0 |

**ჩელენჯლიგა**

| | |
|---|---|
| ვილი-ლოკარნო | 3:1 |
| ვინტერტური-კიასო | 1:1 |

**საბერძნეთი**

| | |
|---|---|
| იანინა-ლევადია | 1:0 |

**თურქეთი**

| | |
|---|---|
| ბეშიქთაში-შივასი | 0:1 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| დენიზლი-გიოზთეფე | 1:0 |

**ირლანდია**

| | |
|---|---|
| დროგედა-შელბურნი | 2:1 |
| სენტ პატრიკი-უნივერსიტი | 5:0 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| იაბლონეცი-დუკლა | 2:2 |

**რუსეთი**

| | |
|---|---|
| კრ. სოვეტოვი-კრასნოდარი | 2:2 |
| მორდოვია-ალანია | 1:1 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| სკა ენერგია-სიბირი | 1:2 |
| მეტალურგი-ხიმკი | 0:0 |
| პეტროტრესტი-ნეფტიხიმიკი | 0:1 |
| ტორპედო-როტორი | 0:0 |

**პოლონეთი**

| | |
|---|---|
| პიასტი-ვისლა | 2:0 |

**რუმინეთი**

| | |
|---|---|
| ჩახლაული-ასტრა | 3:2 |
| დინამო-პანდური | 3:0 |

**ლიტვა**

| | |
|---|---|
| ატლანტასი-ბანგა | 2:2 |

**ისრაელი**

| | |
|---|---|
| ჰაპოელი (ბ-შ)-მაკაბი (თ-ა) | 3:1 |

**ჰოკეი — კჰლ**

| | |
|---|---|
| ავანგარდი-სიბირი | 2:1 (ო) |
| ავტომობილისტი-ლევ პოპრადი | 3:5 |
| ბარისი-ამური | 3:1 |
| მეტალურგი (მ)-ცსკა | 1:2 (ო) |
| ტრაქტორი-სლოვანი | 3:1 |
| იუგრა-მეტალურგი (ნ) | 4:3 |
| სკა-აკ ბარსი | 5:2 |
| დინამო (მ)-ნეფტიხიმიკი | 5:1 |
| დინამო (რ)-ს. იულიაევი | 2:3 (ო) |

**ჩოგბურთი — ATP. პეკინი**

| | |
|---|---|
| ჩილიჩი-კოპილი | 6:3, 6:7, 4:6 |
| ჟანგი-ვუ | 6:4, 6:1 |
| ფ. მაიერი-ფონინი | 6:1, 6:2 |
| მატოშევიჩი-ბერლოკი | 6:3, 2:6, 3:6 |
| გარსია ლოპესი-დოლგოპოლოვი | 0:6, 4:6 |
| ანდერსონი-ბეიკერი | 5:7, 6:3, 6:1 |
| კუერი-ვერდასკო | 5:7, 6:3, 6:4 |

**ATP. ტოკიო**

| | |
|---|---|
| რამოსი-ლაჩკო | 0:6, 2:6 |
| პერი-ბერდიხი | 1:6, 6:7 |
| მორიია-ვავრინკა | 5:7, 6:4, 4:6 |
| ტროიცკი-ჰაასე | 6:2, 6:3 |

**WTA. პეკინი**

| | |
|---|---|
| ლისიცკი-მედინა გარიგესი | 6:3, 5:7, 6:2 |
| არუაბარენა-ჟენგი | 6:2, 6:4 |
| ჰერცოგი-პავლიუჩენკოვა | 5:7, 6:4, 3:0 უარი |
| არვიდსონი-კირსტეა | 2:6, 3:6 |
| ვესნინა-პაჩეკი | 7:6, 6:2 |
| აზარენკა-კორნე | 6:1, 6:0 |
| კვიტოვა-სუარეს ნავარო | 3:6, 2:6 |
| შარაპოვა-ჰალეპი | 5:7, 5:7 |
| სხეპერსი-ვოზნიაცკი | 5:7, 7:6, 2:6 |
| ივანოვიჩი-ლეპჩენკო | 4:6, 7:5, 6:1 |
| პენგი-შვედოვა | 5:7, 7:5, 6:2 |

● TV პროგრამა

**2 ოქტომბერი. სამშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 გერმანიის ჩემპიონატი. VI ტურის მიმოხილვა.
11:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. VII ტურის მიმოხილვა.
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. VI ტური. აინტრახტი-ფრაიბურგი.
14:00 ინგლისის ჩემპიონატი. VI ტური. ფულემი-მანჩესტერ სიტი.
16:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. VII ტური. ვენლო-ეინდჰოვენი.
18:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
19:00 ინგლისის ჩემპიონატი. VI ტურის მიმოხილვა.
20:00 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. სპარტაკი-სელტიკი (LIVE).
22:00 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტურის წინ.
22:45 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. იუვენტუსი-შახტარი (LIVE).
00:45 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ვალენსია-ლილი.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ფეიენოორდი-ნაიმეგენი.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. მემფისი-კლიპერსი.
14:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
15:00 ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. ბოკა ხუნიორსი-სან მარტინი.
17:00 რაგბი. ექვსი ერის თასი. საფრანგეთი-ინგლისი.
19:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
19:30 სპორტ-NEWS.
20:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
21:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. სეული. ს. კორეა.
22:10 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
22:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ON-LINE. ყველა მატჩის საუკეთესო მომენტები (LIVE).
00:45 კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. მემფისი-კლიპერსი.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. შანხაი. ჩინეთი.
12:30 სპორტ-NEWS.
13:00 რაგბი. ოთხი ერის თასი. ავსტრალია-არგენტინა
15:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. შანხაი. ჩინეთი.
17:00 სპორტ-NEWS.
17:30 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-ტვენტე.
19:30 კალათბურთი. ევროლიგა. ოლიმპიაკოსი-მონტეპასკი.
21:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
22:15 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
22:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ვალენსია-ლილი (LIVE).

**I არხი**

22:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ბენფიკა-ბარსელონა (LIVE).

**რუსთავი 2**

22:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური (LIVE).
01:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტურის მიმოხილვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა




# რას აპირებს შუმი?

## გერმანული პრესა მიხაელის მომავალზე

გერმანული პრესა აქტიურად გამოეხმაურა ფორმულა 1-ის სატრანსფერო ბაზარზე ბოლოდროინდელ აქტიურობას, კერძოდ, ლეგენდარული **მიხაელ შუმახერის** „მერსედესიდან" გაშვებას. ახლა, გერმანელი ჟურნალისტები მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონის კარიერის გაგრძელების ვარიანტებზე ბჭობენ.

შუმახერის მომავალს უფრო აქტიურად განიხილავენ, ვიდრე **ლუის ჰემილტონის** „მერსედესში" გადასვლას, რადგან, ფაქტობრივად, გერმანელი გააგდეს გუნდიდან, არადა, ცოტა ხნის წინ ისე ჩანდა, რომ ფორმულა 1-ში მისი მომავალი გამოსვლა მხოლოდ შუმის პირად გადაწყვეტილებაზე იყო დამოკიდებული.

გაზეთ Bild-ის გვერდებზე გამოქვეყნდა პუბლიკაციების სერია - ფაქტის კონსტატაციიდან დაწყებული, ანალიტიკური სტატიებით დამთავრებული. ერთ-ერთი სტატიის სათაური ასეთი იყო - „ყველა დროის უდიადეს ავტომრბოლთან არაღირსეული განშორება". მასალაში ლაპარაკია იმაზე, რომ მიხაელი სერიოზულად რისკავდა, როცა მომავალი სეზონის კონტრაქტზე გადაწყვეტილების მიღებას აჭიანურებდა, რადგან მას საკუთარი მომავალი უსაფრთხოდ მიაჩნდა, „მერსედესში" კი ის ჰემილტონით შეცვალეს.

ჰემილტონის ტრანსფერზე განცხადებისას „მერსედესს" არანაირი ინფორმაცია არ მოუწოდებია იმის შესახებ, თუ რა გზას აირჩევს მომავალში შუმახერი, მაგრამ Bild-ის გუშინდელმა პუბლიკაციამ გარკვეული იმედები ჩაუსახა მიხაელის გულშემატკივრებს - თითქმის 50-პროცენტიანი ალბათობა არსებობს იმისა, რომ შუმი სხვა გუნდში გააგრძელებს კარიერას. ამ მხრივ, საგულისხმოა მიხაელის პრესსამსახურის ხელმძღვანელის **საბინ კემის** ფრაზა - *„ჯერ ყველაფერი შესაძლებელია".*

ჭორების თანახმად, სავარაუდო ვარიანტებს შორისაა - „მერსედესის" წარმომადგენლის როლი, მაგრამ გერმანული ტაბლოიდის აზრით, არ არის გამორიცხული „ზაუბერში", „ლოტუსში" ან „ფერარიში" გადასვლა. ჟურნალისტები ხაზს უსვამენ იმას, რომ მიხაელის მოტივაცია ძველებურად მაღალია და აქ საქმე მხოლოლ ფულში არ არის.

სხვა გამოცემები ნაკლებად ოპტიმისტურად აფასებენ შუმახერის პერსპექტივებს. Die Welt-ს ტრაგედიად მიაჩნია შუმის კარიერის ასეთი ფინალი და ურჩევს მიხაელს გადაერთოს „მერსედესში" ადმინისტრაციულ სამუშაოზე. მათ მიაჩნიათ, რომ სინგაპურში მომხდარმა ავარიამ „მერსედესი" აიძულა გადაეხედა სამომავლო გეგმებისთვის. *„სამი წლის განმავლობაში, შეცდომების მიუხედავად, „მერსედესში" მხარს უჭერდნენ და იცავდნენ თავიანთ პილოტს, მაგრამ სინგაპურში გამართულმა რბოლამ სიტუაცია რადიკალურად შეცვალა და „მერსედესისთვის" ლუისის მიწვევა უფრო მომხიბვლელი ვარიანტი აღმოჩნდა".*

ბერლინური Der Tagesspiegel უფრო შორს მიდის და შუმახერს იმათ ადარებს, რომლებიც ავტოსტოპით ყოველგვარი მიზნის გარეშე მოგზაურობენ. ამასთან, ამ გამოცემას მიაჩნია, რომ მიხაელმა ჯერ ვერ გაარკვია თავისი მომავალი, რადგან სხვა გუნდში იმედოვნებს კარიერის გაგრძელებას. Der Tagesspiegel ეთანხმება „ბილდს" იმაში, რომ მიხაელს არ უნდა გადაედო ოქტომბრამდე კარიერის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება. *„შედეგად, „მერსედესს" საკმარისი დრო ჰქონდა იმისთვის, რომ ჰემილტონს დაკავშირებოდა და ამიტომაც, შუმახერი მოულოდნელად, საკუთარი მომავლის განსაზღვრისას, პასიური მაყურებლის როლში აღმოჩნდა. საბოლოოდ, 91 გრანპრის მომგები ოფიციალური პრესრელიზის „ცივი" ფორმულირებით გააძევეს. ისე, როგორც თავად შუმი ექცეოდა თავის კონკურენტებს".*

გია **თვალაბეიშვილი**




დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

ISSN 2233-3827

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი; მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: გია თვალაბეიშვილი

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:10

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608